დასახული შუალედური შედეგები: მოწესრიგებული ქუჩები, მოედნები და ეზოები; რაიონის ტერიტორიაზე ტრანსპორტის და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხო გადაადგილება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ჩატარდა 58562 კვ.მ ასფალტის საფარის მიმდინარე შეკეთების სამუშაოები. მოასფალტებულ იქნა კორპუსებთან მისასვლელი გზა ვარკეთილის 4 მ/რ 2 რიგი, კორპ 1-ის მიმდებარედ; ქინძმარაულის შესახვევი 26-ა; ბ/ხმელნიცკის ქ 5ა-ს, ბ/ხმელნიცკის კორპ 7 და 8-ას შორის; შეკეთდა აგრეთვე ჯავახეთის ჩიხი, ვარკეთილი 3 მ/რ 3 და 7 კორპუსებს შორის, აეროპორტის დასახლება 120-134 კორპუსებს შორის, ლითონკონსტრუქციის დასახლება N100-126, საქართველოს ერთიანობის მეზრძოლთა ქუჩაზე არსებულ გაზონზე ავტომობილების მობრუნების ადგილი და ა. შ. ასევე მოიხრეშა და დაიგო ასფალტი გუმათჰესის ქუჩა კორპ 17-ის , ვარკეთილი 3 1 მ/რ კორპ 35-ის ,ვარკეთილი 3 2 მ/რ კორპ 1ა და კორპ 1ბ; III მას. III კვ, კორპ გ, III მასივი III კვ. პოლიციის 1 და 2 კორპ მიმდებარედ, ვარკეთილი 3, 4მ/რ 407 კორპუსის მიმდებარედ; გუმათჰესის ქ.კორპ 15-16-ის მიმდებარედ ეზოებში; ცისკარიშვილის ქ კორპ „ი“ მისასვლელი გზა, კაიროს ქ.#42, მე-3 მასივი მე-3 კვ. პოლიციის 1 და 2 კორპუსების მიმდებარედ, კალოუბნის ქ. #8-ის შესასვლელი აეროდრომის მე-7 ქუჩის კვეთამდე, ბარკეთილი 3 მე-2 მ/რ 13 და 14 კორპუსებთან მისასვლელი გზა, აეროპორტის დასახლებაში დავითაშვილის ქუჩაზე, ქიზიყის ქ.#7,ა და 7ბ, შუამთის ქ.კორპუსი „ა“ და „ბ“ მიმდებარედ და ა. შ. ამასთან,

გაწეულია გზების მიმდინარე შესაკეთებელი სამუშაოების დეფექტური აქტების შედგენის ხარჯები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: ჩატარდა 58562 კვ.მ გზის საფარის მოწყობის სამუშაოები.

1.1.16 გზების მოვლა-შეკეთება კრწანისის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კრწანისის რაიონი გამგეობა

2014 წლის გეგმა 1,880.4 ათასი ლარი, დაფინანსდა 1,793.7 ათასი ლარით. რაც გეგმის 95.4%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: მოწესრიგებული ქუჩები, მოედნები და ეზოები; რაიონის ტერიტორიაზე ტრანსპორტის და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხო გადაადგილება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში შეკეთდა 38326 კვ.მ დაზიანებული ასფალტის საფარი (ორმული შეკეთება) შემდეგ მისამართებზე: ი.ცურტაველის ქუჩა; გორგასლის ქუჩა N4, 91; ორთაჭალის პირველი, მე-3, მე-4 და მე-5 ჩიხი; ბერძენის ქუჩა; ტყავის ჩიხი; განჯელის ქუჩა; ორთაჭალის ქუჩა N51; რუსთაველის გზატკეცილი კორპ.269 და 267-ის ეზოები; ზემო ფონიჭალაში კორპუსების N11,12,13,26,27,28-ს ეზოები; თავისუფლებისა და ბზიფის ქუჩები; ფსოუს ქუჩა; კრწანისის ქ.N82; ქვემო ფონიჭალა რუსთავის გზატკეცილი 19 კორპ.N2; რუსთავის გზატკეცილი კორპ.N12,13,16; ჭავჭავაძის ქუჩა; სოფ.ფონიჭალა მტკვრის ქუჩა, თელეთის ქ; კ.აფხაზის ქუჩა N37,36,47; კათალიკოსის ქუჩა, ზემო ფონიჭალა 3 N9,10 კორპუსის ეზოები. ჩამოთვლილ მისამართებს შორის ასევე შეკეთდა დაზიანებული ტროტუარები და ბორდიურები. დაზიანებული ქვაფენილის შეკეთება 1802,20 კვ.მ შემდეგ მისამართებზე: ჟ.კალანდაძის ქუჩა, დეკაბრისტების ქუჩა, ლორთქიფანიძის ქუჩა, ანტონ კათალიკოსის ქუჩა, კოტე აფხაზის ქ.N27,29,40,43,45-ის მიმდებარედ, კ. აფხაზის ქუჩაზე მოეწყო 2 პანდუსი. ამასთან, გაწეულია ასფალტის საფარის და დაზიანებული ქვაფენილების შეკეთების სამუშაოების დეფექტური აქტების

შედგენის, ტექნიკური დავალებების ანალიზის, ტექზედამხედველობისა და ლაბორატორიული კვლევის მომსახურების ხარჯები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: ჩატარდა 38326 კვ.მ გზის საფარის და 1802 კვ.მ. დაზიანებული ქვაფენილის შეკეთების სამუშაოები.

1.1.17 გზების მოვლა-შეკეთება მთაწმინდის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: მთაწმინდის რაიონის გამგეობა

2014 წლის გეგმა 2,700.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 2,155.5 ათასი ლარით, რაც გეგმის 79.8%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: მოწესრიგებული ქუჩები, მოედნები და ეზოები; რაიონის ტერიტორიაზე ტრანსპორტის და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხო გადაადგილება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ჩატარდა 30522,25 კვ.მ ასფალტის საფარის მოწყობის სამუშაოები შემდეგ მისამართებზე: თბილისში - 8 მარტის ქუჩა, ალ. ჭავჭავაძის ქუჩა და I ჩიხი, ანჯაფარიძის ქუჩა, ბარნოვის ქ.#51, ბესიკის ქუჩის გასასვლელი, ბოლო აღმართის ქ.#3, ჩიტაძის ქ.#9, ცხემის ქ.#6-ის მიმდებარედ, ერისთავ-ხოშტარიას ქუჩა, გაბაშვილის ქუჩა, გოგებაშვილის ქ.#26, გოგებაშვილი I შესახ., ჯაფარიძის ქუჩა, კ. მესხის შესახვევი, კეკელიძის ქ.#14-16, კობახიძის ქუჩა, ლეონიძის ქ.#11ა, #18, #20, ლეონიძის ქუჩა #20,11ა,15-ის მიმდებარედ, ლესია უკრაინკას ქუჩა, მაჩაბლის, ლერმონტოვის და ტაბიძის ქუჩები, ნიკოლაძის I ჩიხი, პ. კაკაბაძის და მაყაშვილის ქუჩა, რ. ლალიძის ქ.#4, სარაჯიშვილის ქუჩა და I, II, II ჩიხები, ტატიშვილის ქუჩა, ვ. კოტეტიშვილი შესახვევი, ჭონქაძის ქ.#10, ჭოველიძის ქუჩა (შესასვლელები), ყიფიანის ქუჩა, სვანიძის შესახ. #5, არსენას და ყიფიანის ქუჩების კვეთაზე, ბარნოვის ქ.N67-ის მიმდებარედ, გოგებაშვილის III ჩიხი, კ.მესხის III ჩიხი, კ. მესხის ქუჩა N1-დან N11-მდე, მუსხელიშვილის ქ.N4/11, რუსთაველის გამზ. N18, N32, N36, ს.მესხის ქუჩა, შიო მღვიმელის ქუჩა, ჯავახიშვილის ქუჩა, ვეძინის ქ. N16, ვეძინის ქ.N2, ბარნოვის ქ.N 44, ბელინსკის ქ.N 61, გრიბოედოვის ქ.N 7, ი. გოგებაშვილის ქ.N 50, კ.მესხის

ქუჩა (I ეტაჰი), ლ. ასათიანის ქ. N 28-სთან, ნიკოლაძის I ჩიხი N 5, სარაჯიშვილის ქ. N 31, ვ. ანჯაფარიძის ქ. N 1-ის მიმდებარედ, ვ. ბერიძის ქ. N2, ვირსალაძის ქუჩა. სოფ. შინდისში: 300 არაგველის ქუჩა, ე. თაყაიშვილის ქუჩა, გელაზის I ჩიხი, ი. ნონეშვილის ქუჩა, ჯავახიშვილის ქუჩა, სოფ. ტაბახმელაში: კოჯრის გზატკეცილი VIII ჩიხი, ტაბახმელას ქუჩა, თამარ მეფის ქუჩა (დიდგორის და მაჩაბლის ქუჩებს შორის მონაკვეთი), წავკისში: რუსთაველის ქუჩა (წავკისის და ამაღლების ქუჩებს შორის მონაკვ.), დაბა კოჯორი იუნკერების III ჩიხი და ქუჩა, ვაჟა-ფშაველას ქუჩა III შესახვევიდან. შინდისში: ჩოლოყაშვილის ქუჩა, გელაზის ქუჩა, თბილისი კოჯრის გზატკეცილი, მარო მაყაშვილის ქუჩა. ტაბახმელაში: თარხნიშვილის ქ. N21. წავკისში: სულხან-საბა ორბელიანის ქუჩა და ვახტანგ გორგასლის ქუჩის მონაკვეთი. ჩატარდა 2912,49 კვ.მ ქვაფენილის საფარის მოწყობის სამუშაოები შემდეგ მისამართებზე: თბილისში - ჩიტაძის ქ. #11/2 მიმდებარედ, გაბაშვილის ქ. #14ა, გოგებაშვილის ჩიხი #7-ის მიმდებარედ, გოგებაშვილის შესახ. #2-ის მიმდებარედ, გრიბოედოვის ჩიხი, გუნიას I გასასვლელი, კერესელიძის ქ. #29/27 მიმდებარედ, კერესელიძის ქ. #32-34-ის მიმდებარედ, კოტე მესხის ქუჩა და შესახვევი, მაჩაბლის ქ. #3, მაყაშვილის ქ. #32, რიწის ქ. #5-ის მიმდებარედ, რუსთაველის გამ. #1-ის მიმდებარედ, რუსთაველის გამ. #32, სარაჯიშვილის ჩიხი #7 და #9, სარაჯიშვილის ქ. #53-ის მიმდებარედ, სავანელის ქ. #1, ჭავჭავაძის ქ. #10-ის მიმდებარედ, სარაჯიშვილის ქუჩა, კ. მესხის ქ. N13, კ. მესხის ქ. N14, კ. მესხის ქ. N15, ნიაღვრის ქ. N7, ყიფიანის ქუჩა, არსენას ქ. N18/20, ბარნოვის ქუჩა, ბელინსკის ქუჩა, გ.ლორთქიფანიძის ქ. N1,3,5-ის მიმდებარედ, გერგეთის ქ. N2, გოგებაშვილის ქ. N2, გრიბოედოვის ქუჩა, კაკაბაძეების ქუჩა, კერესელიძის ქ. N5-7, კონსტიტუციის მოედანი, მაჩაბლის ქ. N3, მაყაშვილის ქ. N31-ის მიმდებარედ, ნ.ნიკოლაძის ქ. N3, რიწის ქ. N5-ის მიმდებარედ, სარაჯიშვილის ქ. N32,34,36-ის მიმდებარედ, სარაჯიშვილის ჩიხი N9, თაბუკაშვილი-სობჰაკის ქუჩების მიმდებარედ, ტარიელის ქ. N8, ვეძინის ქ. N28, ალ.ჭავჭავაძის ქ. N10-ის და N11-ის მიმდებარედ, ალ.ჭავჭავაძის ქ. N20, ყიფიანის ქ. N7-9, 22, ყიფიანის ქ. N24,26,38 და 48-ის მიმდებარედ, ზ. ქიქოძის შეს. N3 და N9/7, ზანდუკელის ქუჩა. წავკისში:

ფიროსმანის ქუჩა. დაბა კოჯორში: ვაჟა ფშაველას I, IV შესახვევები და IV გასავალი აღდგენილი და მოწესრიგებული ქუჩები, მოედნები, შიდა ეზოები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: ჩატარდა 30522,25 კვ.მ გზის საფარის და 2912,49 კვ.მ ქვაფენილის მოწყობის სამუშაოები.

1.2 ტრანსპორტის განვითარება დაფინანსებულია 23,752.9 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 29,501.5 ათასი ლარის 80.5%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

1.2.1 სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები განმახორციელებელი ორგანიზაცია: ტრანსპორტის საქალაქო სამსახური

2014 წლის გეგმა 9,814.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 6,741.0 ათასი ლარით. რაც გეგმის 68.7%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: გზაჯვარედინებზე დაბრკოლების წარმოქმნის შემთხვევაში მოძრაობის მართულ რეჟიმში გადაყვანა და ქუჩებისა და მაგისტრალების განტვირთვა ჭარბი სატრანსპორტო ნაკადისაგან; ტრანსპორტით და ფეხით მოსიარულეთა გაუმჯობესებული და უსაფრთხო გადაადგილება; ავტობუსის გაჩერებებზე ელექტროტაბლოებზე ავტობუსის მოძრაობის ინტერვალის შესახებ მიღებული ინფორმაციის საშუალებით მოსახლეობის სატრანსპორტო მომსახურების გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში განხორციელდა დედაქალაქის ქუჩებსა და მაგისტრალებზე განთავსებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების ტექნიკური საშუალებების (საგზაო ნიშნები, შუქნიშნები, ბოჭკინტები, ზღუდარები, ბარიერები, სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის წინასწარი მაჩვენებლები და ა.შ.), მოვლა - შენახვისა და საექსპლუატაციო სამუშაოები, კერძოდ: გამოიცვალა შუქნიშნის კვების 60 ბლოკი, დემონტაჟი გაუკეთდა და დასაწყობდა სხვადასხვა მიზეზით მწყობრიდან გამოსული 328 საგზაო ნიშანი, ადგილბდებარეობა შეეცვალა 90 ნიშანს, შეკეთდა (გასწორდა) 230 ცალი საგზაო ნიშანი და დგარი, შეიღება 1140 დგარი, დამონტაჟდა 800 ცალი ახალი ბოჭკინტი, შეკეთდა (მანათობელი ფირი გამოეცვალა 2 712 ბოჭკინტი,

გამოიყვალა 1066 გრძივი მეტრი სხვადასხვა კვეთის ელექტროსადენი (კაბელი) და 663 გრძივი მეტრი ელექტროსადენის დამჭერი ბაგირი, გასუფთავდა, გაირეცხა 9 640 საგზაო ნიშანი, გადაიბელა 1 325 ძირი ხე;

დატანილია ერთკომპონენტიანი საღებავით 120 272,14 კვ.მ ჰორიზონტალური საგზაო მონიშვნა;

დატანილია ქ.თბილისის ქუჩებისა და მაგისტრალების მიმდებარედ არსებულ საინჟინრო ნაგებობებზე, ბარდიურებზე, თვალამრიდებზე, გზაგამტარების, ესტაკადების, ქვეითთა მიწისზედა გადასასვლელების ბურჯებზე და მალეზე 40 000 კვ.მ ვერტიკალური საგზაო მონიშვნები;

დატანილია დედაქალაქის ქუჩებსა და მაგისტრალებზე თერმო და ცივი პლასტიკით 18 978,1 კვ.მ საგზაო მონიშვნა, ქუჩის (გზის) სავალი ნაწილიდან აღებულია (წაშლილია) მწყობრიდან გამოსული 10 999,05 კვ.მ ჰორიზონტალური საგზაო მონიშვნა;

დატანილია ქუჩის (მაგისტრალის) სავალ ზოლებზე წინასწარ მომზადებული თერმოპლასტიკის სატრანსპორტო საშუალებების მაქსიმალური სიჩქარის შეზღუდვის საგზაო 120 ცალი მონიშვნა (1.24.2 მონიშვნა);

დამონტაჟდა სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის სიჩქარის იმპულსებითი შემცირებისათვის 3300 გრძივი მეტრი „ხელოვნური უსწორმასწორობები“ (ბარიერი);

დამონტაჟდა დედაქალაქის ქუჩებსა და მაგისტრალებზე 4 039 ახალი საგზაო ნიშანი, 1 458 საგზაო ნიშნის დგარი;

განხორციელდა საგზაო მოძრაობის კონტროლისა, მართვის ცენტრისა და ამ ცენტრში ჩართული 81 შუქნიშნის ობიექტის მოვლა-შენახვისა და საექსპლუატაციო სამუშაოები;

ჩატარდა შუქნიშნების ობიექტების სარეკონსტრუქციო და მათი საგზაო მოძრაობის მართვის ავტომატიზირებულ სისტემასთან მიერთების სამუშაოები;

დამონტაჟდა დედაქალაქის ქუჩებისა და მაგისტრალების მრუდეებზე (მოსახვევებში) სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის უსაფრთხოების უზღუნველყოფის მიზნით 10 160 გრძივი მეტრი ლითონის ძელებიანი ზღუდარი.

დემონტაჟი გაუკეთდა დაზიანებულ 700 გრძივი მეტრის სხვადასხვა სახის ზღუდარს;

ჩაუტარდა ექსპერტიზა ახალი შუქნიშნის ობიექტების (თანმდევი მომსახურების დამონტაჟება და მათი მართვის ცენტრთან მიერთება) საინჟინრო და კომპიუტერულ მომსახურებას;

დამონტაჟდა 14 ცალი სფერული სარკე, მიმწოდებლიდან შესყიდულია შემდგომი დამონტაჟებისათვის 9 ცალი სფერული სარკე;

დამონტაჟდა საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებებზე 50 ცალი ელექტრონული ტაბლო;

დამონტაჟდა საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებებზე 50 ცალი ელექტრონული ტაბლოს ელექტროსადენების მიყვანა;

შეძენილია და დამონტაჟებული ელექტროტაბლოების დგარები;

შეთანხმებულია დედაქალაქის ქუჩებსა და მაგისტრალეებზე ჩასატარებელი სხვადასხვა სახის სარემონტო სარეკონსტრუქციო სამუშაოების პერიოდში სატრანსპორტო საშუალებებისა და ქვეითად მოსიარულეთა მოძრაობის 720 დროებითი სქემა;

ჩატარდა დედაქალაქის ქუჩებსა და მაგისტრალეებზე განთავსებული შუქნიშნის ობიექტების უსაფრთხოების სფერული სარკეების და ხმამალა მოლაპარაკე ხელსაწყოების დათვალიერება. გამოვლენილ ნაკლოვანებებზე შედგა დეფექტური აქტი და გადაეცა საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის ტექნიკური საშუალებების მდგომარეობაზე პასუხისმგებელ კომპანიებს;

ჩატარდა შუქნიშნის მუშაობის რეჟიმის საგზაო მოძრაობის მონაწილეთა არსებულ ნაკადებთან შესაბამისობის კვლევა შუქნიშნის 50 ობიექტზე, 45 გზაჯვარედინზე, ქუჩასა და მაგისტრალზე;

დაწესდა სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის მოწესრიგების მიზნით ცალმხრივი მოძრაობა ფადავას, თარხნიშვილის, იუნკრების (ყოფილი რთველადის), წერნაკის ქუჩებზე.

მოხერხდა: გზაჯვარედინებზე დაბრკოლების წარმოქმნის შემთხვევაში მოძრაობის მართულ რეჟიმში გადაყვანა და ქუჩებისა და მაგისტრალის

განტვირთავა ჭარბი სატრანსპორტო ნაკადისაგან; ტრანსპორტით და ფეხით მოსიარულებთა უსაფრთხო გადაადგილება; ავტობუსის გაჩერებებზე ელექტროტაბლოებზე ავტობუსის მოძრაობის ინტერვალის შესახებ მიღებული ინფორმაციის საშუალებით მოსახლეობის სატრანსპორტო მომსახურების გაუმჯობესება.

განმარტება დასახულ და მიღწეულ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე: 2014 წლის ბოლოს დასახულ შუალედურ შედეგებში გათვალისწინებული იყო სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განახლება-რეკონსტრუქცია, კერძოდ, ექსკალატორების კაპიტალური შეკეთება მ/ს „მარჯანიშვილზე“; ექსკალატორების კაპიტალური შეკეთება მ/ს „სადგურის მოედანზე“; „ავტობაზა №1“-ის სატრანსპორტო ჯიხურის მოდერნიზაცია; „ავტობაზა №2“-ის ინფრასტრუქტურის მოწესრიგება; „ავტოსერვისცენტრი“-ს ინფრასტრუქტურის მოწესრიგება. აღნიშნულ ღონისძიებებზე მიმდინარეობს სამუშაოები და შედეგები მიღწეული იქნება მომავალ საანგარიშო პერიოდში.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: სატრანსპორტო საშუალებათა მაქსიმალურად გატარებული ნაკადები; ფეხით მოსიარულებთა და სატრანსპორტო საშუალებათა ავარიული შემთხვევების შემცირებული რაოდენობა; მარშრუტზე ავტობუსის მოძრაობის ინტერვალის შესახებ ინფორმირებული მოსახლეობა.

1.2.2 საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაცია

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ტრანსპორტის საქალაქო სამსახური

2014 წლის გეგმა 400.0 ათასი ლარი დაფინანსდა 400.0 ათასი ლარით.

რაც გეგმის 100%-ია.

დასახული საბოლოო შედეგები: მოდერნიზებული ვაგონებით მგზავრთა კომფორტული გადაადგილება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული საბოლოო შედეგები: ქალაქ თბილისის მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის #31.13.1605 საფუძველზე შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიას“ მეტროს მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაციაზე 2013 წლის ბოლოს

გამოცხადებულია ელექტრონული ტენდერი და გამოვლენილ გამარჯვებულთან 2014 წლის იანვარში გაფორმებულია ხელშეკრულება 14 ვაგონის (7 სათაო, 7 შუა) მოდერნიზაციაზე, ღირებულებით 8 918,0 ათასი ლარი. სატრანსპორტო კომპანიას 2013 წლის ბოლოს მიღებული აქვს ქ.თბილისის 2013 წლის ბიუჯეტის ქვეპროგრამით (1.2.2) გათვალისწინებული ხარჯებიდან 8 500,0 ათასი ლარი, ხოლო ქ.თბილისის მთავრობის 2014 წლის 15 მაისის #13.02.596 დადგენილების შესაბამისად ქ.თბილისის 2014 წლის ბიუჯეტის ხარჯებიდან გადარიცხულია 400,0 ათასი ლარი. საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 14 ვაგონის მოდერნიზაცია, მათ შორის 7 სათაო და 7 შუა ვაგონი. ხელშეკრულების თანახმად შეკეთებულია 18 წევის ძრავი.

მირწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები: მოდერნიზებულია 7 სათაო და 7 შუა ვაგონი; შეკეთდა 18 ძრავი.

1.2.3 მეტროს სადგურების რეკონსტრუქცია, მშენებლობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ტრანსპორტის საქალაქო სამსახური

2014 წლის გეგმა 790.0 ათასი ლარი დაფინანსდა 790.0 ათასი ლარით, რაც გეგმის 100%-ია.

დასახული საბოლოო შედეგები: თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი განახლებული სადისპეტჩერო სისტემით მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტის (მეტრო) მართვა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული საბოლოო შედეგები: ქვეპროგრამის ფარგლებში ქალაქ თბილისის მთავრობის 2013 წლის 14 ნოემბრის #28.09.1365 დადგენილების თანახმად მეტროპოლიტენის მოძველებული სადისპეტჩერო სისტემის განახლება-რეკონსტრუქციის სამუშაოების განსახორციელებლად შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიას“ გადაეცა შემსყიდველი ორგანიზაციის უფლება-მოვალეობები და შემსრულებელთან გაფორმებულ ხელშეკრულებაზე კონტროლი. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს ღირებულება შეადგენს 2 290,0 ათასი ლარს. დადგენილების შესაბამისად შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“ 2013 წელს ქ.თბილისის ბიუჯეტიდან „მეტროს სადგურების

რეკონსტრუქცია, მშენებლობის“ ქვეპროგრამით (1.2.3) დაფინანსებულია 1 500,0 ათასი ლარით, ხოლო 2014 წლის საანგარიშო პერიოდში - 790,0 ათასი ლარით. საანგარიშო პერიოდში შესრულებულია შემდეგი სახის სამუშაოები: სამუშაო პროექტის დამუშავება და სერვერის პროგრამული უზღუნველყოფა; შეძენილია 9 ცალი მონიტორი ვიდეო-კედლისათვის და 23 ცალი ტრანსფორმატორი სადგურებისათვის; 29 000 მეტრი საათების სასიგნალო და 29 000 მეტრი კვების კაბელი; შეძენილია და დამონტაჟდა გასული დროის და უკუსვლის ტაიმერები, კარადები-კონტროლერი; 29 ობიექტზე განხორციელდა საათების მონტაჟი; ჩატარდა პერსონალის ტრენინგი, განხორციელდა საბოლოო დოკუმენტების დამუშავება და სისტემის საბოლოო გაშვება, ტესტირება და შეცდომების გასწორება.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები: დაცული გრაფიკით მეტროს ვაგონების უსაფრთხო გადაადგილება.

1.2.4 ავტოსატრანსპორტო საშუალებათა პარკირების რეგულირება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: საფინანსო საქალაქო სამსახური

2014 წლის გეგმა 2,450.0 ათასი ლარი დაფინანსდა 2,382.2 ათასი ლარით, რაც გეგმის 97,2%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: დედაქალაქში ავტოსატრანსპორტო საშუალებათა პარკირების მოწესრიგება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: „ქ.თბილისის გზებზე ავტოსატრანსპორტო საშუალებათა პარკირების რეგულირების მიზნით, პარკირების სფეროს მართვის უფლების იჯარით გადაცემის შესახებ“ ხელშეკრულების საფუძველზე საანგარიშო პერიოდში შპს „სი-ტი პარკის“ მიერ ადგილობრივ ბიუჯეტში ჩარიცხულ იქნა 4,893.8 ათასი ლარი, საანგარიშო პერიოდში გადახდილ იქნა 326948 საჯარიმო ქვითარი, ხოლო ამოღებული ჯარიმების საფუძველზე შპს „სი-ტი პარკის“ ანგარიშზე გადარიცხულია 2,382.2 ათასი ლარი (მათ შორის 2013 წლის დეკემბერში შემოსული 397.3 ათასი ლარიდან შპს „სი-ტი პარკის“ 2014 წლის იანვარში ჩაერიცხა 210.4 ათასი ლარი).

1.2.5 სატრანსპორტო კომპანიის სუბსიდია

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ტრანსპორტის საქალაქო სამსახური

2014 წლის გეგმა 8,420.5 ათასი ლარი დაფინანსდა 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: მომხმარებელთა ეკონომიკური ინტერესების დაცვა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ მიერ მიწისქვეშა ადგილობრივი საქალაქო რეგულარული ელექტროტრანსპორტით (მეტრო) და M3 კატეგორიის ავტობუსებით გადაყვანილია 220 242 558 მგზავრი, მათ შორის: მეტროთი - 98 981 378, ავტობუსებით - 121 261 180 მგზავრი. მგზავრთა გადაყვანის რეგულირებადი ტარიფის (0,50 ლარი) შენარჩუნების მიზნით, განხორციელდა სატრანსპორტო კომპანიის კაპიტალის ზრდა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: საქალაქო რეგულარული ტრანსპორტით (მეტროპოლიტენით და M3 კატეგორიის ავტობუსებით) ერთჯერადი მგზავრობის შეღავათიანი ფასით (0.50 ლარი) გადაყვნილია სულ 220 242 558 მგზავრი.

1.2.6 საბაგირო ტრანსპორტის განვითარებისა და „დიღმის ჭალების“ ინფრასტრუქტურის მოწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: სსიპ ტექნოლოგიური განვითარების ფონდი

2014 წლის გეგმა 7,627.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 5,019.2 ათასი ლარით. ანუ 65.8%-ით

დასახული შუალედური შედეგები: მოსახლეობის გადაადგილება ეკოლოგიურად სუფთა საბაგირო ტრანსპორტით; გზების განტვირთვა მიწისზედა სატრანსპორტო საშუალებათა ნაკადებისაგან.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დიღმის ოლიმპიური სპორტული კომპლექსის კეთილმოწყობის მიზნით, განხორციელდა გამოცდილი სამშენებლო კომპანიის მოძიება, სამუშაოების შესრულების შესახებ

ხელშეკრულების გაფორმება და სამშენებლო სამუშაოების დაწყება შემდეგ სამუშაოებზე: წყალსარინის ღონისძიების II რიგის სამუშაოები; I და II ეტაპის წყალსადენის და კანალიზაციის სამუშაოები; სპორტული კომპლექსის ტერიტორიაზე განთავსებული ობიექტების გარე ელექტრო მომარაგების და გარე განათების (I და II ეტაპი) სამუშაოები; სპორტული კომპლექსის მიმდებარე ტერიტორიაზე მოსაწყობი საყრდენი კედლებისა და კიბეების სამშენებლო სამუშაოები; დენდროლოგიის (I და II ეტაპი ერთად) სამუშაოები; სარწყავი სისტემის სამუშაოები; საკანალიზაციო სატუმბო სადგურის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები; საავტომობილო გზისა და მასთან ერთად გაზსადენი ქსელის სამშენებლო სამუშაოები; ვერტიკალური გეგმარების სამუშაოები. დიღმის ოლიმპიური სპორტული კომპლექსის კეთილმოწყობის ჩამოთვლილი სამუშაოების შესყიდვის მიზნით გაფორმებულ იქნა 23.12.14 წლის #113 და 29.12.2014 წლის # 120 ხელშეკრულებები შპს „კალასი“-თან, ასევე სამშენებლო მოედანზე მობილიზებულ იქნა ტექნიკა და დაწყებულ იქნა სამუშაოების შესრულება.

ვარდების რევოლუციის მოედნისა და მთაწმინდის პარკის დამაკავშირებელი საბაგირო გზის სამშენებლო სამუშაოების შესრულების მიზნით, საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: ანძების განთავსების ადგილზე მიწისქვეშა კომუნიკაციების გადაღების სამუშაოები, ასევე სამუშაოების საზედამხედველო მომსახურება, მშენებლობის მიმდინარეობის პერიოდში.

დაწყებულია საბაგირო გზის მშენებლობა და 31.12.2014 წლის მდგომარეობით სსიპ ტექნოლოგიური განვითარების ფონდის ინიციატივით შეჩერებულია სამშენებლო და ყველა მასთან დაკავშირებული ხელშეკრულების შესრულება.



2014 წლის სსიპ „ტექნოლოგიური განვითარების ფონდი“-ს საკუთარი სახსრების საკასო ხარჯმა შეადგინა 938,3 ათასი ლარი.


განმარტება დასახულ და მიღწეულ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე: მშენებლობის პროცესის შეჩერების მიზეზი გახდა საბაგირო გზის

ქვედა სადგურის მდებარეობასთან დაკავშირებით საზოგადოებაში არსებული აზრთა სხვადასხვაობა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: მიღწეულია სამშენებლო კომპანიებთან სამუშაოს შესრულების შესახებ შეთანხმება; სამშენებლო კომპანიის გამოცდილება პროექტის შესაბამისია; სამშენებლო სამუშაოების რაციონალური ღირებულებები - მიღწეულია.

❖ ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება





2.1 საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური

2014 წლის გეგმა 4,647.1 ათასი ლარი დაფინანსდა 4,647.1 ათასი ლარით. რაც გეგმის 100%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: ქალაქის საინჟინრო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და გაჯანსაღება; სტიქიური მოვლენებისაგან დაცული ქალაქი; მოსახლეობისათვის სრულყოფილი და უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს შექმნა; საკანალიზაციო და სანიაღვრე ქსელების გამიჯვნით ეკოლოგიური გარემოს გაუმჯობესება; ამორტიზირებული და დაზიანებული საინჟინრო ინფრასტრუქტურის ობიექტების მინიმუმამდე დაყვანა, ახალი საინჟინრო ობიექტების მშენებლობა, გარემო პირობების გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოები დასრულდა შემდეგ მისამართებზე: გორგასლის ქუჩა #1/15-ის მიმდებარედ; მუხიანის I მ/რ-ში #38 კორპუსის მიმდებარედ; წყნეთში ჯავახიშვილის მე-2 შესახვევი #22 საცხოვრებელი სახლის მიმდებარედ (II ეტაპი);

ბუდაპეშტის ქ. #25 (ბერიტაშვილის ჩიხი); ქ. თბილისში, მელაანის მე-4 ჩიხის მემდებარე ტერიტორიაზე (II-III ეტაპი). სანიაღვრე ქსელი მოწყობა ქ. თბილისში დავით აღმაშენებლის ხეივნიდან სანდრო ახმეტელის ქუჩამდე და ასევე დავით აღმაშენებლის ხეივნის დასაწყისში, ავეჯის სახლ "ბელუქსთან". გამარჯვების პარკში, ცხვედაძის ქუჩასთან, ზედა ძეგლის მიმდებარე ტერიტორიაზე განხორციელდა წყალარინების ღონისძიებები. სანიაღვრე კოლექტორის რეაბილიტაცია - მშენებლობის სამუშაოები განხორციელდა შემდეგ მისამართებზე: წულუკიძის ქუჩა №6,7,8-დან კახეთის გზატკეცილის მიმართულებით, ხევში; ფიზკულტურის ქუჩაზე, "კავკასიის უნივერსიტეტიდან" სანაპირომდე; გლდანის რაიონში "სააფთრე ხევში"; გ. კარტოზიას ქუჩაზე; "პეპელასთან" არსებული რკინიგზის ხიდიდან მოსახლეობამდე (კახეთის ჩიხი #20); დავით აღმაშენებლის ხეივნის მე-10 კმ. (ე.წ. შავ უბანში); ქ.თბილისში, ივანე ჯავახიშვილის ქ. #4-თან. სოფელ გლდანში გორაუბნის ქუჩებზე (ფიროსმანი, სააკაძის, რუსთაველის და კულა გლდანელის) განხორციელდა საკანალიზაციო ქსელის მოწყობა.

მიმდინარეობს და უახლოეს მომავალში დასრულდება სამუშაოები შემდეგ ობიექტებზე: სანიაღვრე ქსელის მოწყობა ერისთავის, წერეთლის და მირცხულავას ქუჩებზე, ლილოს რკინიგზის ხიდიდან ლოჭინის ხევამდე და ქვლივიძის ქუჩაზე; სააფთრის ხევის კოლექტორის მშენებლობის III ეტაპი (კერძო სკოლა "ლილესთან"); გორგასლის ქუჩის #111-ის მიმდებარედ დაზიანებული საყრდენი კედლის მოწყობა; გლდანის რაიონში სააფთრე ხევის სანიაღვრე კოლექტორი აღდგენა-რეკონსტრუქცია; ლილოში მიუსაფართა თავშესაფრის სამშენებლო სამუშაოები; ზაჰესის დასახლებასთან არსებული სარკინიგზო გზაგამტარის და ხიდი-აკვედუკის სარეკონსტრუქციო სამუშაოები; ვაკის პარკის ცენტრალური შესასვლელის რეაბილიტაცია; ავჭალაში ჭედიას და შუშის ქუჩების დამაკავშირებელი ხიდის მოწყობა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: 11 აღდგენილი ახლადაშენებული საინჟინრო ინფრასტრუქტურის ობიექტი; სამუშაოები მიმდინარეობს 8 ობიექტზე.

2.2 ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების გამაგრება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური

2014 წლის გეგმა 6,215.4 ათასი ლარი, დაფინანსდა 6,203.3 ათასი ლარით.
რაც გეგმის 99.8%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: ავარიული შენობების ჩამოშლის საშიშროების თავიდან აცილების შედეგად მობინადრეთა უსაფრთხოების ამაღლება და ნორმალური საცხოვრებელი პირობების უზრუნველყოფა; დედაქალაქის მოსახლეობაზე განაწილებული და დაუმთავრებელი საცხოვრებელი კორპუსების (მათ შორის კოოპერატიული სახლები) დასრულებისთვის საჭირო ღონისძიებების გატარება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ავარიული საცხოვრებელი სახლების გამაგრება-გადლიერების სამუშაოები ჩატარდა შემდეგ ობიექტებზე: ნუცუბიდის III მ/რ-ში, I კვარტლის კორპუსი #1-ის საცხოვრებელი კორპუსის მზიდი კედლის ბლოკების და მიშენებული ლოჯიის კარკასი; თევდორე მღვდლის ქ. N5ა-ში მდებარე ავარიული საცხოვრებელი სახლი;

გამაგრება-გადლიერების წინმსწრებ-დამზღვევი სამუშაოები განხორციელდა შემდეგ მისამართებზე: ბაგების დასახლების N2 კორპუსის ავარიული სადარბაზო; თევდორე მღვდლის ქ. N5ბ-ში მდებარე ავარიული საცხოვრებელი სახლი; წყალტუბოს ქ. #23-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი; ვარკეთილი-3, IV მ/რ-ში მდებარე #403 საცხოვრებელი სახლი; ქ. თბილისში, ც. დადიანის ქ. #34-ში მდებარე მე-15 კორპუსი; ქ. თბილისში, ვარკეთილის მე-3 მასივის, I კვარტალში მდებარე №1 კორპუსი (სამუშაოების მე-2 ნაწილი); ქ. თბილისში, ვაზისუბნის IV მ/რ, II კვარტალი, კორპ #9-ში მდებარე 9 სართულიანი საცხოვრებელი სახლის #1 ავარიული ბლოკ-სექცია; დიდუბის რაიონში, არჩილ ქურდიანის ქ. #2-ში მდებარე საცხოვრებელი კორპუსი. ვარკეთილის მე-3 მასივში, I კვარტალში მდებარე #1 საცხოვრებელი კორპუსი. ვარკეთილის III მასივის მე-8 კვარტალში მდებარე #1 კორპუსის გამაგრება-გადლიერების წინმსწრებ-დამზღვევი ღონისძიებების პროექტით გათვალისწინებული ორივე ეტაპის სამუშაოები.

ავარიული კორპუსების გამაგრება-გადლიერება ხორციელდება და უახლოეს პერიოდში დასრულდება შემდეგ მისამართებზე: ისნის რაიონში ვაზისუბნის

დასახლება, კორპ. 2; ვაზისუბნის დასახლება, კორპ. 3; "საბურთალოს რაიონში მიცვევიჩის ქ.#1; შარტავას ქ. #18; ვაჟა-ფშაველას გამზ. 2-ა. ავარიული კორპუსების გამაგრება-გაძლიერება; სამგორის რაიონში ვარკეთილის მე-3 მას. I კვ. კორპ. "ა"; ვარკეთილის მე-3 მას. I კვ. კორპ. "ბ"; ვარკეთილის მე-3 მას. I კვ. კორპ. "დ"; ვარკეთილის მე-3 მას. I კვ. კორპ. "ე"; ვარკეთილის მე-3 მას. I კვ. კორპ. 6. ; აეროპორტის დასახლება კორპ.#36, აეროპორტის კორპ. #39 აეროპორტის კორპ.#40; ვაზისუბნის დას. კორპ.N15ა; ვაზისუბნის დას. კორპ. N16ა და ვაზისუბნის დას. კორპ. N19ა მდებარე ავარიული კორპუსები; ქინძმარაულის ქ.# 2 და # 2ა; სამგორის რაიონში, მოსკოვის გამზ. კორპ. N46, მოსკოვის გამზ. მე-4კვ.კორპ. N7 ; ვაზისუბნის მე-4 მკრ.რაიონი, I კვარტალი კორპ.#14; სამგორის რაიონში, ვაზისუბნის მე-2 მიკრო რაიონი, კორპ.#14; სამგორის რაიონში, ვაზისუბნის მე-3 მკრ.რაიონი, II კვარტალი კორპ.#18; გრიბოედოვის ქ. #20; თევდორე მღვდლის ქ.#5ბ; უზნაძის ქ. #79/81; ვარკეთილის მე-3 მასივი, მე-8 კვარტალი, კორპუსი #1; ვარკეთილის მე-3 მასივი, მე-9 კვარტალი, კორპუსი #8 ; დოლიძის ქ.# 8-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი; ათონელის # 25,27 ფასადის მოწესრიგება; დაზიანებული ფრაგმენტების დემონტაჟი, ნაგვის გატანა, შემოღობვა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: გამაგრებითი სამუშაოები დასრულდა 10 შენობა-ნაგებობაზე; სამუშაოები მიმდინარეობს 26 ობიექტზე.

2.3 საპროექტო-საძიებო და კვლევითი სამუშაოები, ექსპერტიზა, ტექნიკური პირობები, კონსერვაცია და სხვა ღონისძიებები

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური

2014 წლის გეგმა 2,676.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 2,215.6 ათასი ლარით, რაც გეგმის 82.8%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: მშენებლობის განხორციელება სრულყოფილი პროექტების საფუძველზე, სამშენებლო ნორმებისა და წესების დაცვით; პროექტების საფუძველზე მაღალხარისხიანად შესრულებული სამშენებლო სამუშაოები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საპროექტო დოკუმენტაცია მომზადდა შემდეგი ობიექტებისათვის:

სანიაღვრე ქსელის მოწყობის სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება: გალავნის ქუჩაზე; ლილოს რკინიგზის ხიდიდან ლოჭინის ხევამდე; დ. თავხელიძის (ყოფ. მიქელაძის) ქუჩიდან ქავთარაძის ქუჩამდე; თ.ერისთავის ქუჩიდან წერეთლის გამზ. და ა.მირცხულავას ქუჩის გავლით, აგლაძის ქუჩის გადაკვეთასთან; ქვლივიძის ქუჩაზე; ისნის რაიონში, ძმები ორბელიანების ქუჩაზე, (სკოლა „ალბიონი“-ს მიმდებარედ).

სანიაღვრე კოლექტორის აღდგენა-რეაბილიტაციის სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება: „დიდი ხევძმარას“ სანიაღვრე კოლექტორის დაზიანებული მონაკვეთების (მ.ნოზაძის ქუჩის მიმდებარედ); გლდანის რაიონში „სააფთრე ხევი“-ს სანიაღვრე კოლექტორის დარჩენილი მონაკვეთი; ახალდაბის (მოლითის) ქუჩაზე; ივანე ჯავახიშვილის ქ. #4-თან.

საყრდენი კედლის მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაცია შედგენა: 300 არაგველის ქუჩა 21 მიმდებარედ; ნუცუბიძის IV მ/რ, ფერმწერთა ქუჩა #79-ის მიმდებარედ (მხატვრების დასახლება).

გამაგრების სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება: ცოტნე დადიანის ქუჩა 34, კორპუსი #8; ცოტნე დადიანის ქუჩა 34, კორპუსი #9; ცოტნე დადიანის II მკრ, კორპუსი #2; თემქა, III მ/რ, V კვარტ, კორპუსი #16; ვაჟა-ფშაველას გამზირის #2ა; შარტავას ქუჩა #18; მიცკევიჩის ქუჩა კორპუსი #1 (არსებული პროექტის გამოყენებით); გაგარინის ქუჩა #10; საირმის ქუჩა კორპუსი #2; ვარკეთილის მე-3-ე მასივი, I კვარტალი კორპუსი „ა“; ვარკეთილის მე-3-ე მასივი, I კვარტალი კორპუსი „ბ“; ვარკეთილის მე-3-ე მასივი, I კვარტალი კორპუსი „დ“; ვარკეთილის მე-3-ე მასივი, I კვარტალი კორპუსი „ე“; ვარკეთილის მე-3-ე მასივი, I კვარტალი კორპუსი „ნ“; ვარკეთილის მე-3-ე მასივი, ზემო პლატო, კორპუსი #41; ვარკეთილის მე-3-ე მასივი, ზემო პლატო, კორპუსი #51; ვარკეთილის-3, II მ/რ, კორპუსი # 2ბ; ვარკეთილის-3, IIIა მ/რ, კორპუსი #330; ვაზისუბნის დასახლება, კორპუსი #2; ვაზისუბნის დასახლება, კორპუსი #3; ქეთევან წამებულის ქუჩა #78; თევდორე მღვდლის ქუჩა #10; პეტრიაშვილის ქუჩა #22; ვაზისუბნის მე-2 მ/რ, კორპ. N14; ვაზისუბნის მე-3 მ.რ, 1კვ. კორპ. N1; ვაზისუბნის მე-3მ/რ. მე-2კვ.

კორპ. N18; ვაზისუბნის მე-4მ/რ. 1 კვ. კორპ. N14; გრიბოედოვის ქ. N20; ვაზისუბნის დას. კორპ. N15ა; ვაზისუბნის დას. კორპ. N16ა (არსებული პროექტის გათვალისწინებით); ვაზისუბნის დას. კორპ. N19ა; წმ. ნიკოლოზის ქ. N5; იოსებიძის ქ. N71 (II ეტაპი); პეკინის ქ. N24; გოთუას ქ. N18; იოსებიძის ქ. N72; ბოლქვაძის ქ. N1; პეკინის ქ. N2; ზაქარიაძის ქ. N3; მგალობლიშვილის ქ. N3 (II ეტაპი); პეკინის ქ. N16; პეკინის ქ. N4; იოსებიძის ქ. N59; პეკინის ქ. N36 (II ეტაპი); პეკინის ქ. N35; გურამიშვილის გამზ. 70, კორპ. N2; ვარდისუბნის ქ. N1; სანზონა კორპ. N1ვ; ზღვისუბნის მე-4მ/რ, კორპ. N9გ; ლიბანის ქ. კორპ. N1; ლიბანის ქ. კორპ. N3; ლიბანის ქ. კორპ. N5; მუხიანის დას. მე-3მ/რ, კორპ. N1; გლდანი მე-5მ/რ, კორპ. N4; ქინძმარაულის ქ. N2 (II ეტაპი); ქინძმარაულის ქ. N2-ა (III ეტაპი - არსებული პროექტის გამოყენებით); ვარკეთილის მე-3 მას. მე-10 კვ. კორპ. "დ" (II ეტაპი - არსებული პროექტის გამოყენებით); აეროპორტის დას. კორპ. N39; აეროპორტის დას. კორპ. N36; აეროპორტის დას. კორპ. N40; ვარკეთილის ზ/პლ. კორპ. N1; ვარკეთილის ზ/პლ. კორპ. N2; ვარკეთილის ზ/პლ. მე-2მ/რ, კორპ. N27; ვარკეთილი მე-3 მას. ზ/პლ. კორპ. N40; ვარკეთილი-3, მე-4მ/რ. კორპ. N421; "მოსკოვის გამზ. მე-4 კვ. კორპ. N7; მოსკოვის გამზ. N46; ლილოს დას. მე-2 კვ. კორპ. N3; ვარკეთილი მე-3 მას. მე-9 კვ. კორპ. N8; ვარკეთილის მე-3 მას. მე-8 კვ. კორპ. N1 (II ეტაპი); ვარკეთილი მე-4მ/რ. მე-3 კვ. კორპ. N2; ვარკეთილი-3, მე-2 მ/რ. კორპ. N19; ვარკეთილი მე-4 მ/რ. მე-3 კვ. კორპ. N7; ბ. ხმელინცკის ქ. N147ა; სამგორის კორპ. N25; გლდანის VI მიკრ. კორპ. #6, ვაზისუბნის მე-4 მ/რ, 1 კვ. კორპ. #13, ვაზისუბნის მე-4 მ/რ, 1 კვ. კორპ. #6, გურამიშვილის გამზ. #7; ჭავჭავაძის გამზ. #42, გორგასლის მე-3 ჩიხი, #1, ლეონიძის ქ. N18, ბროლოსანის ქ; ვაზისუბნის 1 მ/რ, კორპ. #15, მოსკოვის გამზ. #46ა, ვარკეთილი-3, მე-2 მ/რ, კორპ. #16; დოლიძის ქ. #18; ვაჟა-ფშაველას ქ. #47, 1 კვ. კორპ. #18; სარაჯიშვილის ქ. #15; თევდორე მღვდლის 5ა; მიცკევიჩის ქუჩა #4-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი.

საცხოვრებელ სახლებზე გამაგება-გაძლიერების წინმსწრებ-დამზღვევი სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაცია: ვარკეთილის მე-3 მასივში, I კვარტალში მდებარე #1 საცხოვრებელ კორპუსი; ვარკეთილი-3, IV მ/რ-ში მდებარე #403; დიდუბის რაიონში, თევდორე მღვდლის ქ. N5ბ-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი; ბაგების დასახლების #2 კორპუსის ავარიული სადარბაზო; თევდორე მღვდლის 5ბ-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი; ც. დადიანის ქ. #34-ში მდებარე მე-

15 კორპუსი; საბურთალოს რაიონში, დოლიძის ქ. #8-ში მდებარე საცხოვრებელი კორპუსი; ვაზისუბნის IV მ/რ, II კვარტალი, კორპ #9-ში მდებარე 9 სართულიანი საცხოვრებელი სახლის #1 ავარიული ბლოკ-სექცია.

პროგრამის ფარგლებში ასევე დაფინანსდა: ნ.ბარათაშვილის სახელობის ხიდის დიზაინსა და რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის კონკურსი; ნ.ბარათაშვილის სახელობის ხიდის ისტორიულ არქიტექტურული კვლევის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა; ფეიქრების ქუჩაზე 4 მალისი და კახეთის გზატკეცილზე 2 მალისი ხიდი-გზაგამტარის სადებორმაციო ნაკერების რეაბილიტაციის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა; თბილისის მასშტაბით ხიდის და გზაგამტარების გამოკვლევა-გამოცდა; მარშალ გელოვანის გამზირზე, მდ. დიდმურაზე არსებული ხიდის (დასავლეთიდან თბილისში შემომავალი მიმართულება) რეკონსტრუქციის სამუშაოებისთვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა; ზაპესის დასახლებასთან არსებული ხიდი-აკვედუკის და სარკინიგზო გზაგამტარის რეკონსტრუქციის სამუშაოებისთვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა; ჭედიას და შუშის ქუჩების დამაკავშირებელი ხიდის მოწყობის სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა; მდ.მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, თამარ მეფის სახელობის ხიდის მიმდებარედ დაზიანებული ფერდის კლდოვანი ნაწილის გამაგრება-გადლიერების სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება; საცურაო აუზის "ლაგუნა ვერე"-ს უკან არსებული დაზიანებული ფერდის კლდოვანი ნაწილის გაწმენდა-გადლიერების სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება; გორგასლის ქუჩის #111-ის მიმდებარედ დაზიანებული მონაკვეთის კვლევა და საყრდენი კედლის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა; გოძიაშვილის (ვაშლიჯვრის) ქუჩიდან მარშალ გელოვანის გამზირის გადაკვეთაზე საავტომობილო ესტაკადის მოწყობის სამუშაოებისთვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციების შედგენა; დავით აღმაშენებლის ხეივნიდან მუხათგვერდის გადასასვლელთან ესტაკადის გამოკვლევა და აღდგენა რეაბილიტაციის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა; დასამონტაჟებელი დეკორატიული ელემენტებით გაფორმებული ლითონის მინი ურნების ესკიზის კონკურსი; სამშენებლო

პროექტების ექსპერტიზის, მშენებლობის ზედამხედველობის და ლაბორატორიული კვლევის მომსახურება.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: მომზადდა 112 ობიექტის საპროექტო დოკუმენტაცია.

2.4 ძველი თბილისის ახალი სიცოცხლე

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახური

2014 წლის გეგმა 794.7 ათასი ლარი, დაფინანსდა 794.7 ათასი ლარით, რაც გეგმის 100%-ია.

დასახული საბოლოო შედეგები: სამშენებლო და საფინანსო სექტორის გაუმჯობესებული მდგომარეობა; მოქალაქეთა გაუმჯობესებული საცხოვრებელი პირობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული საბოლოო შედეგები: საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სამშენებლო კომპანიების მიერ გამონთავისუფლებული მიწების შესყიდვა.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები: სამშენებლო კომპანიის მიერ პროგრამის ფარგლებში შემოთავაზებული საცხოვრებელი სახლის მშენებლობის დასრულება; გამონთავისუფლებული საკადასტრო ერთეულების მესაკუთრეებისათვის დასრულებულ საცხოვრებელ სახლში ახალი ბინების გადაცემა; სამშენებლო კომპანიების მიერ გამონთავისუფლებული მიწების შესყიდვა.

2.5 გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური

2014 წლის გეგმა 18,700.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 17,642.5 ათასი ლარით, რაც გეგმის 94.3%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: განათებული ქალაქი და ობიექტების მინათებით მხატვრული ეფექტის გაზრდა, განათებულ ქუჩებში მოსახლეობის და სატრანსპორტო საშუალებების უსაფრთხო გადაადგილება; გარე განათების ქსელის ცენტრალიზებული მართვის სისტემების სრულყოფა;

ელექტროუსაფრთხოების ღონისძიებების რეგულარული გატარება; გარე განათების ქსელის მოდერნიზაცია–განვითარება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: პროგრამის ფარგლებში შპს „სინათლის ქალაქი“ მომსახურეობას (ექსპლოატაციას) უწევს დედაქალაქის მასშტაბით არსებულ გარე განათების და მხატვრული მინათების სანათებს (ექსპლოატაცია გაეწია 119000 სანათს, მათ შორის: გარე განათება – 98000 სანათი, მხატვრული მინათება – 21000 სანათი), ახორციელებს საყრდენი ბოძებისა და სანათების მონტაჟის სამუშაოებს (მოეწყო 459 ცალი განათების ბოძი და შეიცვალა 1024 ცალი სანათი).

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: მიმდინარე პერიოდში მოეწყო 459 ცალი განათების ბოძი და შეიცვალა 1024 ცალი სანათი; განათებული ქუჩების რაოდენობა და განათების ინტენსიობა.

2.6 სანიაღვრე ქსელის მოვლა-პატრონობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური

2014 წლის გეგმა 2,000.0 ათასი ლარი დაფინანსდა 1,925.1 ათასი ლარით. გეგმის 96.2%.

დასახული შუალედური შედეგები: სანიაღვრე ქსელის გამართული ფუნქციონირება, ქალაქის კომუნალური მეურნეობის მოწესრიგება, ეკოლოგიურად სუფთა გარემოს შექმნა; სანიაღვრე ქსელების ნორმალური ფუნქციონირება, სანიაღვრე და სადრენაჟე ქსელების სათავე ნაგებობების წესრიგში მოყვანა; ქალაქში დატბორილი ადგილების აღმოფხვრა, ტრანსპორტის ფუნქციონირების ხელშეწყობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: პროგრამის ფარგლებში შპს “თბილსერვის ჯგუფი” ატარებს სანიაღვრე ქსელების საექსპლუატაციო და პროფილაქტიკურ სამუშაოებს. საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი სახის სამუშაოები: სანიაღვრე კოლექტორების, სათავე ნაგებობების შემოწმება (ზედაპირულად და სანიაღვრე კოლექტორში გავლით) – 179,99 კმ; სათავე ნაგებობების, სანიაღვრე წვიმმიმღებების, სანიაღვრე ჭების, გვერდმიმღებების და არასტანდარტული ჭების

გაწმენდა – 25 070 ც; კიუვეტების გაწმენდა – 18 200 გრძ.მ. სანიაღვრე და სადრენაჟე ქსელების გარეცხვა სპეც.ტექნიკის გამოყენებით – 93 286 გრძ.მ; დაზიანებული ცხაურების, გვერდმიმღებების ხუფების და ყრუ ხუფების შეცვლა – 567 ც.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: სანიაღვრე ქსელის გამართული ფუნქციონირება; გაწმენდილი და გასუფთავებული სანიაღვრე მილების რაოდენობა - 111 666 გრძ.მ, კოლექტორების და წვიმიმღები ჭების რაოდენობა - 25 637 ცალი.

2.7 ქალაქგაფორმებითი ღონისძიებები

განმახორციელებელი ორგანიზაცია: მერიის ადმინისტრაცია

2014 წლის გეგმა 3,181.0 ათასი ლარი დაფინანსდა 3,016.3 ათასი ლარით. რაც გეგმის 94.8%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: დედაქალაქის მაღალმხატვრულ დონეზე გაფორმება, თანამედროვე ტექნიკური აღჭურვილობით დღესასწაულებისა და სხვადასხვა ღონისძიებების უზრუნველყოფა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებების უზრუნველყოფა განათებით და მინათებით, გახმოვანებით, სცენებით, საგრძნობორობით და გასახდელელებით: ახალგაზრდული საინიციატივო ჯგუფის საახალწლო სადამო პეკინის #34-ში; კულტურულ ღონისძიებათა ციკლი „ძველი თბილისის სადამოები“ ძველი თბილისის გამგეობაში; გურამ საღარძის მემორიალური დაფის გახსნა დავით აღმაშენებლის #187-ში; დიმიტრი გულიას აღდგენილი სკულპტურის გახსნა, გულიას მოედანზე; უკრაინელი ხალხის მხარდამჭერი აქცია რუსთაველის გამზირზე, ტარას შევჩენკოს ძეგლთან; ლეიკემიით დაავადებული ნანიკო ხაჩიაურის დასახმარებელი საქველმოქმედო აქცია რკინიგზელთა სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე; 2014 წლის ბიუჯეტთან დაკავშირებით თბილისის მერის მ/შ საჯარო შეხვედრები თბილისის მოსახლეობასთან; საქართველოს ოკუპაციის დღისადმი მიძღვნილი გამოფენა მეტრი სადგურ „რუსთაველის“ მიწისქვეშა დარბაზში; ცეკვის საერთაშორისო ოლიმპიადის მიუდოს სპორტულ კომპლექსში; ბავშვებისათვის საახალწლო საქველმოქმედო კონცერტი სპორტის სასახლეში; მიშა მდინარაძის

შემოქმედების 10 წლისადმი მიძღვნილი კონცერტი ევგენი მოქელაძის სახელობის ეროვნულ მუსიკალურ ცენტრში; საქველმოქმედო მარათონი სპორტის სასახლეში; უკრაინულ-ქართული ოკუპაციის საწინააღმდეგოდ აქცია კონცერტი რიყეზე; გია ყანჩელის შემოქმედებითი საღამო დიდ საკონცერტო დარბაზში; თემურ წიკლაურის სასცენო მოღვაწეობის 45 წლის იუბილე დიდ საკონცერტო დარბაზში; ანსამბლ „ქართული ხმების“ შემოქმედებითი მოღვაწეობის 15 წლის იუბილე დიდ საკონცერტო დარბაზში; საახალწლო კონცერტი ევროპის მოედანზე - მეორე ტიპის პლატფორმა, გადაუხურავი 1-ლი ტიპის სცენა, „ა“ ტიპის გადახურული სცენა, დეკორატიული ტრიბუნა; საშობაო მსვლელობა წმინდა სამების საკათედრო ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე; ფონდ „იანანას“ 10 წლის იუბილე დიდ საკონცერტო დარბაზში; ვიტალი უგრეხელიძის ნეშთის დაკრძალვა - დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში; თბილისის მერიის ახალი პროექტი „იაფი გათბობა და ცხელი წყალი“ - თბილისის სხვადასხვა უბნებში; წიგნისა და საავტორო უფლებების დაცვის საერთაშორისო დღე - საქართველოს მწერალთა სახლში; უკრაინელი ხალხის მხარდამჭერი ღონისძიება „ბავშვები მშვიდობისათვის“ - მშვიდობის ხიდზე; ფესტივალი „ქოლგა თბილისი ფოტო 2014“ - მშენებარე სასტუმრო „რუმს პორტალი“-ს ეზოში (კოსტავას ქ. #14); მუსიკალური გასართობი საღამო (4 მაისი და 18 მაისი) - ვაკის პარკი, მედიათეკების მიმდებარედ; დავით მალაზონიასა და ჯგუფ „ირაოს“ შემოქმედებითი საღამო-კონცერტი - სამეფო უბნის თეატრში; ღვთისმშობლის თაყვანისცემის კვირეულის ფარგლებში მეხუთე საერთაშორისო სიმპოზიუმი - მახათას მთაზე; ბეთლემის უბნის ფესტივალი - ბეთლემის უბანი; საიათნოვას ხსოვნისადმი მიძღვნილი ვარდების დღესასწაული „ვარდატონი“ გორგასლის მოედანზე; ქუჩის მუსიკოსების დღეები - პირველი საჯარო სკოლის წინ, რუსთაველის მეტროსთან, ვარდების რევოლუციის მოედანზე; აზერბაიჯანული კულტურის საღამო - სოფელ ფონიჭალაში; ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე - ჯანსუღ კახიძის სკვერი, ე. ახვლედიანის სახელობის ბავშვთა ნახატების გალერიის წინ, თბილისის საკონცერტო დარბაზში; საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მიძღვნილი ღონისძიებები - შარდენის ქუჩაზე, ევროპის მოედანზე, თავისუფლების მოედანზე, პარლამენტის შენობის მინდებარე ტერიტორიაზე; ნანა კანდელაკის საბავშვო სანოტო კრებულის „მღერთან

ბავშვების“ პრეზენტაცია - „თბილისი“ ბანკი (მარჯანიშვილის ქ.#7); ფერწერული
 ნამუშევრების სტუდენტური კონკურსი „თბილისური გაზაფხული“ - რიყეზე;
 რეჟისორ ვახტანგ ტაბლიაშვილის 100 წლის იუბილე-ხსოვნის საღამო -მოსწავლე
 ახალგაზრდობის სასახლეში; საქველმოქმედო ღონისძიება „მოდელები ლეიკემიის
 წინააღმდეგ - მთაწმინდის პარკში; საქველმოქმედო აქცია კონცერტი - პირველი
 საჯარო სკოლის წინ; გიორგი კოპაძის დასახმარებელი საქველმოქმედო აქცია -
 ბავშვთა ქალაქ მზიურში; საერთაშორისო ოლიმპიური დღე - რიყეზე; 9 აპრილის
 ტრაგედიიდან 25 წლისთავისადმი გამართული ღონისძიება რუსთაველის
 თეატრში; საქართველოს ევროპული არჩევანის მხარდამჭერი აქცია-კონცერტი -
 ევროპის მოედანზე; ევროპის დღეები - ეთნოგრაფიულ მუზეუმში; ჯანსუღ და
 მამუკა ჩარკვიანების საღამო - თბილისის საკონცერტო დარბაზში; „Tbilisi Open Air
 Vizion-2014“ (6-7 ივნისი) ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე; საქველმოქმედო
 კონცერტი -სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“; აქცია-კონცერტი მ.მესხის სახ.
 სტადიონზე; წიგნის პრეზენტაცია „ძველი თბილისის ახალი სიცოცხლე“
 აბანოთუბანში (ლელვთახევი); მოდის სახლი „თინათინ მაღალაშვილის
 საქველმოქმედო ჩვენება - სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“; რომა
 რცხილაძის საიუბილეო საღამო -თბილისის საკონცერტო დარბაზში; დედა
 სიდონიას ხელნაკეთი ნამუშევრების გამოფენა; ევროპის დღე - გიორგი ჩიტაიას
 სახელობის ეთნოგრაფიულ მუზეუმში; მუსიკალური გასართობი საღამო -ვაკის
 პარკში მედეათეკა; ვარდატონი საიათნოვობა - ვახტანგ გიორგასლის მოედანზე;
 ქუჩის მუსიკის დღე რუსთაველის გამზირზე; აზერბაიჯანული კულტურის
 საღამო-სოფელ ფონიჭალაში; საქველმოქმედო კონცერტი - სასტუმრო შერატონ
 მეტეხი პალასში“; თბილისური გაზაფხული - რიყის პარკში; საქველმოქმედო
 კონცერტი - მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე; საქველმოქმედო კონცერტი
 რუსთაველის გამზირზე; ევროკავშირთან ასოცირება - ევროპის მოედანზე. აშშ-ს
 დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო მიღება- საქართველოს
 ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის მიმდებარედ (აღმაშენებლის გამზ. #68) ;
 საქველმოქმედო კონცერტი ჯანსუღ კახიძის სახელობის სკვერში; პროფესიონალ
 კალათბურთელთა თბილისის ღია პირველობის ტურნირი „Tbilisi Challenge 2014 “ -
 ფილარმონიის მიმდებარე ტერიტორიაზე (სამი დღე); ფესტივალი „არტ-გენი“
 გიორგი ჩიტაიას სახელობის ხალხური ყოფისა და ეთნოგრაფიის მუზეუმში (რვა

დღე); თატრალური ფესტივალის პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების გახმოვანების აპარატურით მომსახურება; თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი - ქ.თბილისი, კახა ბაკურაძის მოძრაობის თეატრი დავით აღმაშენებლის გამზ. #182 და ქ.თბილისის ისტორიული მუზეუმი ქარვასლა; საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის დაკრძალვის ცერემონიალი - ქ.თბილისი, წმინდა სამების საკათედრო ტაძრის მიმდებარე ტერიტორია; თბილისის საერთაშორისო ფესტივალი - თბილისის სხვადასხვა თეატრებში სპექტაკლების გახმოვანება პროგრამით გათვალისწინებულ ფარგლებში; თბილისის ფოტო-ფესტივალი „თბილისის ფოტოფესტივალის ღამე - 2014“ - ძველი თბილისის უბნებში; მიხეილ თუმანიშვილის სახელობის საერთაშორისო ფესტივალი „საჩუქარი“ - სასცენო გახმოვანების საკონცერტო აპარატურა; წმინდა ბერი სალოსის ხსენების დღესთან დაკავშირებით გამართული ღონისძიება - ბოგდან ხმელნიცკის ქუჩა - საპატრულო პოლიციის მიმდებარედ, მ.შ. სცენით მომსახურება; ასი ათასი მოწამის ხსენების დღესთან დაკავშირებით გამართული ღონისძიება - მეტეხის ხიდთან; კინო-მუსიკის შედევრები (ნიკოლოზ რაჭველი) - ფილარმონიის საკონცერტო დარბაზში - სასცენო განათება; საქველმოქმედო ფონდის „კეთილსოფელი“ - აქცია-კონცერტი - ფილარმონიის საკონცერტო დარბაზში - სასცენო განათება; „თბილისობა - 2014“ - სცენებით, კულისებით, საგრძნობოებით, ბექგრაუნდის კონსტრუქციებით, პლატფორმებით, გადახურვით და სცენის გადახურვის კონსტრუქციებით მომსახურება, ასევე სასცენო განათებით და გახმოვანებით მომსახურება; ქართული საბრძოლო ხელოვნებისა და სამოსის ფესტივალი (შავფაროსნები) - ევროპის მოედანზე, მ.შ. სცენით მომსახურება; საახალწლო გალა-კონცერტი ევროპის მოედანზე, გალა-კონცერტის საგრძნობოები, სცენებს შორის უკანა ტერიტორიის შეფუთვა, პლატფორმები, სასცენო გადახურვა, სხვადასხვა დეკორაციებით უზრუნველყოფა; რიყის პარკში საახალწლო ღონისძიებისათვის მთავარ მაღრევანში ნაძვის ხისთვის პოდიუმი და ყინულის გარშემო პოდიუმი; საბავშვო საახალწლო კონცერტი რიყის პარკში 25 და 31 დეკემბერს; 2014-2015 წ ნაძვის ხის გახსნა პარლამენტის წინ, პოდიუმი და დეკორატიული ტრიბუნა.

თბილისის საერთაშორისო ფესტივალი - თბილისის სხვადასხვა თეატრებში სპექტაკლების გახმოვანება პროგრამით გათვალისწინებულ ფარგლებში;

თბილისის ფოტო-ფესტივალი „თბილისის ფოტოფესტივალის ღამე - 2014“ - ძველი თბილისის უბნებში; მიხეილ თუმანიშვილის სახელობის საერთაშორისო ფესტივალი „საჩუქარი“ - სასცენო გახმოვანების საკონცერტო აპარატურა; წმინდა ბერი სალოსის ხსენების დღესთან დაკავშირებით გამართული ღონისძიება - ბოგდან ხმელნიცკის ქუჩა - საპატრულო პოლიციის მიმდებარედ, მ.შ. სცენით მომსახურება; ასი ათასი მოწამის ხსენების დღესთან დაკავშირებით გამართული ღონისძიება - მეტეხის ხიდთან; კინო-მუსიკის შედევრები (ნიკოლოზ რაჭველი) - ფილარმონიის საკონცერტო დარბაზში - სასცენო განათება; საქველმოქმედო ფონდის „კეთილსოფელი“ - აქცია-კონცერტი - ფილარმონიის საკონცერტო დარბაზში - სასცენო განათება; „თბილისობა - 2014“ - სცენებით, კულისებით, საგრძნობოებით, ბეგრანდის კონსტრუქციებით, პლატფორმებით, გადახურვით და სცენის გადახურვის კონსტრუქციებით მომსახურება, ასევე სასცენო განათებით და გახმოვანებით მომსახურება; ქართული საბრძოლო ხელოვნებისა და სამოსის ფესტივალი (შავფაროსნები) - ევროპის მოედანზე, მ.შ. სცენით მომსახურება; საახალწლო გალა-კონცერტი ევროპის მოედანზე, გალა-კონცერტის საგრძნობოები, სცენებს შორის უკანა ტერიტორიის შეფუთვა, პლატფორმები, სასცენო გადახურვა, სხვადასხვა დეკორაციებით უზრუნველყოფა; რიყის პარკში საახალწლო ღონისძიებისათვის მთავარ შედრევანში ნაძვის ხისთვის პოდიუმი და ყინულის გარშემო პოდიუმი; საბავშვო საახალწლო კონცერტი რიყის პარკში 25 და 31 დეკემბერს; 2014-2015 წ ნაძვის ხის გახსნა პარლამენტის წინ, პოდიუმი და დეკორატიული ტრიბუნა.

ამას გარდა, პროგრამიდან დაფინანსდა ბიოტუალეტებით მომსახურება სხვადასხვა ღონისძიებაზე მოთხოვნის შესაბამისად; სადღესასწაულო და სარიტუალო თაიგულების შესყიდვა სხვადასხვა ღონისძიებებზე მოთხოვნის შესაბამისად; ყინულის მოედნის ექსპლოატაცია და დემონტაჟი რიყეზე; საახალწლო ილუმინაციების, აქსესუარების და ნაძვისხეების დემონტაჟი; გურამ საღარაძის მემორიალური დაფის დამზადება - მონტაჟი დავით აღმაშენებლის #147-ში; სხვადასხვა ღონისძიებების დამცავი ჯებირებით უზრუნველყოფა; არლის ფოტოგრაფიის ღამე თბილისში 2014 - (ჩანთების და მაისურების შესყიდვა); ხუტა ბერულავას, პარმენ ჯიქიას, ელიზბარ გულისაშვილის და ნოდარ გრიგოლიას მემორიალური დაფის დამზადება-მონტაჟი - (კეკელიძის ქ.#14, სანკტ-

პეტერბურგის ქ.#11, ძმები კაკაბაძეების ქ.#15, ზღანჩივადის ქ.VIII კორპ. II სად.); სტეფანე ჯაფარიძის და მერი დავითაშვილის მემორიალური დაფის დამზადება-მონტაჟი (დავით აღმაშენებლის გამზ. 147, ალ. გრიბოედოვის ქ.#29); საქართველოსა და სომხეთის დროშების შეყიდვა; ნოდარ ანდლულაძის საფლავის მოწყობა დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში; ოთარ მეღვინეთუხუცესის საფლავის მოწყობა დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში; გიგა ლორთქიფანიძის საფლავის მოწყობა დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში; აზერბაიჯანის, თურქეთის და საფრანგეთის პრეზიდენტების ვიზიტთან დაკავშირებით დროშების გაკიდებამოხსნა; კარვების გაწყობა-ალაგების სამუშაოები - 26 მაისი, საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების უზრუნველსაყოფად; ვიტალი უგრეხელიძის მემორიალური დაფის დამზადება-მონტაჟი დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში; ნოდარ გრიგალაშვილის საფლავის მოწყობის სამუშაოები ქ.თბილისი, საბურთალოს სასაფლაოზე; ვასილ ჩხაიძის საფლავის მოწყობის სამუშაოები დიდუბის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში; ვაცლავ ჰაველის მემორიალური დაფის დამზადება და მოწყობა ვაკის რაიონის გამგეობის შენობის მიმდებარე სკვერში; ლევან ურუშაძის და გურამ უგრეხელიძის მემორიალური დაფების დამზადება და მოწყობა წყნეთის გზატკეცილი #22, I სადარბაზო; დ.არაყიშვილის ქ.#12; ტექნიკური უნივერსიტეტის მიმდებარე ტეტიტორიაზე ოთხმხრივი საათის მონტაჟი; ისრაელის, ლიტვის და სომხეთის პრეზიდენტების ვიზიტთან დაკავშირებით დროშების შეძენა; ოთარ მეღვინეთუხუცესის მემორიალის ბრინჯაოში ჩამოსხმა, 9 აპრილის ბაღში პიედესტალის მოწყობა და მონტაჟი; მზის კვირიკაშვილის მემორიალური დაფის დამზადება - მონტაჟი, გლდანის მე-3 მ/რ, კორპ.72, ბ. 47 ; „ოქროს ბიჭების“ მემორიალური დაფის დამზადება-მონტაჟი - „დინამო არენა“-ს ცენტრალური შესასვლელზე; საერთაშორისო ფოტო ფესტივალის ფარგლებში - „ფოტოგრაფიის ღამე ძველ თბილისში - ლაითბოქსების რესტავრაცია, მონტაჟი-დემონტაჟი; საერთაშორისო ფოტო ფესტივალის ფარგლებში - „ფოტოგრაფიის ღამე ძველ თბილისში“ - ეკრანების რესტავრაცია, მონტაჟი და დემონტაჟი; „თბილისობა -2014“ -დღესასწაულთან დაკავშირებით კარვების გაწყობა-ალაგება; „თბილისობა -2014“ -დღესასწაულთან დაკავშირებით ტივის გასაშვები ადგილის

მოწყობა; 2014-2015 წლების საახალწლო ღონისძიებებისათვის ილუმინაციების აღდგენა; ყინულის მოედნის აგრეგატების შეძენა; ნაძვის ხეების მონტაჟი; წმინდა გიორგის მონუმენტზე ნაძვის ხის კომპოზიციის მონტაჟი; 2014-2015 წლის საახალწლო ილუმინაციებისა და აქსესუარების მონტაჟი; რიყის პარკში ყინულის მოედნის მონტაჟი და ექსპლოატაცია; ევროპის მოედანზე საახალწლო გალა-კონცერტის დიდი ზომის კომპიუტერული მონიტორით მომსახურება (სცენის წინ და სცენაზე); ევროპის მოედანზე საახალწლო გალა-კონცერტის სცენის გამათბობელით უზრუნველყოფა; საახალწლო ილუმინაციებისა და აქსესუარების ექსპლოატაცია და ელექტროენერგიით უზრუნველყოფა; ციგურების შეძენა; ფეიერვერკებით მომსახურება.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: 131 კულტურული და გასართობი ღონისძიებების გაფორმებითი სამუშაოები; დედაქალაქის ესთეტიური იერსახის უზრუნველყოფა; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ და მისი მხარდაჭერით განხორციელებული ღონისძიებებზე მრავალრიცხოვანი დამსწრე საზოგადოება.

2.8 მიწისქვეშა გადასასვლელების მოვლა-პატრონობა და რეაბილიტაციის ღონისძიებები

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური

2014 წლის გეგმა 1,076.0 ათასი ლარი დაფინანსდა 871.6 ათასი ლარით, რაც გეგმის 81%-ია

დასახული შუალედური შედეგები: ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხო გადაადგილება. სატრანსპორტო კვანძების განტვირთვა; მოგვარებული სანიტარული პრობლემები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა და მოვლა-პატრონობის ღონისძიებები ხორციელდება შემდეგ ობიექტებზე: გურამიშვილის გამზირზე; მელაანის ქუჩაზე; ვარკეთილის მესამე მასივში #2; შერვაშიძის ქუჩაზე; ორხევის; გმირთა მოედნის; ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციული კორპუსის მიმდებარედ და ჭაბუკიანის ქუჩის დამაკავშირებელი მიწისქვეშა გადასასვლელი; ტექნიკური უნივერსიტეტის

მე-6 კორპუსის მიმდებარე ტერიტორიიდან თბილისის მერიის შენობის მხარეს მიწისქვეშა გადასასვლელი; შავთელის ქუჩაზე; გმირთა მოედნის და თამარაშვილის ქუჩის დამაკავშირებელ მაგისტრალზე (ყოფილი იპოდრომის და "მზიური"-ს მიმდებარე ტერიტორიები) მდებარე მიწისქვეშა გადასასვლელები; ვაკის პარკის მიმდებარე მიწისქვეშა კომპლექსი; ჭავჭავაძის გამზირზე ტაბიძის ძეგლის მიმდებარედ; ჭავჭავაძის და ატენის ქუჩის დამაკავშირებელი; რესპუბლიკის მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე; ლეონიძის ქუჩისა და ტაბიძის ქუჩის დამაკავშირებელი მიწისქვეშა გადასასვლელი; ვაჟა-ფშაველას გამზირისა და ასათიანის ქუჩის კვეთაზე არსებული მიწისქვეშა გადასასვლელი.

მიმდინარე პერიოდში მიწისქვეშა გადასასვლელების რეაბილიტაციის ხორციელდება და უახლოეს პერიოდში დასრულდება შემდეგ მისამართებზე: გმირთა მოედნის მიწისქვეშა კომპლექსის (არსებული საპირფარეშოს და ახალის მოწყობა); ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციული კორპუსის მიმდებარე ტერიტორიის და ჭაბუკიანის ქუჩის დამაკავშირებელი მიწისქვეშა გადასასვლელის; ტექნიკური უნივერსიტეტის მე-6 კორპუსის მიმდებარე ტერიტორიიდან თბილისის მერიის შენობის მხარეს მიწისქვეშა გადასასვლელის (ახალი საპირფარეშოს მოწყობა); შავთელის ქუჩაზე არსებული მიწისქვეშა გადასასვლელის (არსებული საპირფარეშოს რეაბილიტაცია); გმირთა მოედნის და თამარაშვილის ქუჩის დამაკავშირებელ მაგისტრალზე (ყოფილი იპოდრომის და "მზიური"-ს მიმდებარე ტერიტორიები); გურამიშვილის გამზირზე მდებარე მიწისქვეშა გადასასვლელი; მელაანის ქუჩაზე არსებული მიწისქვეშა გადასასვლელი; ვარკეთილის მესამე მასივში #2 მიწისქვეშა გადასასვლელი; შერვაშიძის ქუჩაზე არსებული და ორხევის მიწისქვეშა გადასასვლელები; ვაკის პარკის მიმდებარედ მიწისქვეშა კომპლექსი; ჭავჭავაძის გამზირზე ტაბიძის ძეგლის მიმდებარედ; ჭავჭავაძის და ატენის ქუჩის დამაკავშირებელი მიწისქვეშა გადასასვლელი; რესპუბლიკის მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე მიწისქვეშა გადასასვლელი; ლეონიძის ქუჩის და ტაბიძის ქუჩის დამაკავშირებელი ვაჟა-ფშაველას გამზირის და ასათიანის ქუჩის კვეთაზე მიწისქვეშა გადასასვლელები; ვაკის პარკის მიმდებარედ მიწისქვეშა კომპლექსის (ახალი საპირფარეშოს

მოწყობა); ჭავჭავაძის გამზირზე ტაბიძის ძეგლის მიმდებარედ მიწისქვეშა გადასასვლელის (ახალი საპირფარეშოს მოწყობა); ჭავჭავაძის და ატენის ქუჩის დამაკავშირებელი მიწისქვეშა გადასასვლელის; ლეონიძის ქუჩის და ტაბიძის ქუჩების დამაკავშირებელი (ახალი საპირფარეშოს მოწყობა); ვაჟა-ფშაველას გამზირის და ასათიანის ქუჩის კვეთაზე (ახალი საპირფარეშოს მოწყობა); ვაკის პარკის მიმდებარედ (თამარაშვილის მხრიდან) მიწისქვეშა გადასასვლელში ვერტიკალური ლიფტის მოწყობის და ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო თეატრის მიმდებარე მიწისქვეშა გადასასვლელში ჰორიზონტალური ლიფტების მოწყობის სამუშაოები; ქ.თბილისში არსებული მიწისქვეშა გადასასვლელებისთვის სამეთვალყურეო სისტემების (თანმდევი მომსახურებით მონტაჟი და ინსტალაცია-ინტეგრაცია) შესყიდვა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: დასრულდა 16 და მიმდინარეობს 21 მიწისქვეშა გადასასვლელის რეაბილიტაცია.

2.9 კეთილმოწყობის ღონისძიებები დაფინანსებულია 19,300.7 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 24,352.5 ათასი ლარის 79.2%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

2.9.1 კეთილმოწყობის საქალაქო ღონისძიებები

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური

2014 წლის გეგმა 3,800.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 2,397.2 ათასი ლარით. რაც გეგმის 63.1%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: მოსახლეობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა; მოსახლეობის დაცვა გარემოს მავნე ზემოქმედებისაგან; ვაზიანის ქიმიური სამარხის მოვლა-პატრონობა; შადრევან-აუზების რეაბილიტაცია და მოვლა-პატრონობა (ექსპლოატაცია); დახურული ნაგავსაყრელი პოლიგონების დაცვა; დედაქალაქის ტერიტორიაზე სხვადასხვა ობიექტების კეთილმოწყობა; ქალაქის იერსახის გალამაზება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა

სხვადასხვა სახის მომსახურება და სამუშაოები: გმირთა მოედანზე მემორიალური სვეტისა და მიმდებარე ტერიტორიის მოვლა-პატრონობა; "მშვიდობის ხიდი"-ს მოვლა-პატრონობა; ვაზიანის ქიმიური სამარხის მოვლა; შადრევან-აუზების ექსპლუატაცია; გლდანისა და იაღლუჯის ნაგავსაყრელი პოლიგონების 24 საათიანი დაცვა; ქ.თბილისის მდინარე მტკვრის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროებზე მდებარე დაზიანებული საქალაქო ინფრასტრუქტურის ობიექტების აღდგენა; ქ.თბილისის მასშტაბით ისტორიული ძეგლებისა და საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტების მანიშნებელი აბრების დამზადება და მონტაჟი; ისტორიული თბილისის მასშტაბით ქუჩის დასახელებისა და ნუმერაციის აღმნიშვნელი აბრების დამზადება და მონტაჟი; ქ.თბილისის მასშტაბით (ისტორიული თბილისის გარდა) ქუჩის დასახელებისა და ნუმერაციის აღმნიშვნელი აბრების დამზადება და მონტაჟი; ქ.თბილისის რეაბილიტირებულ უბნებში დაზიანებული ინფრასტრუქტურის ობიექტების აღდგენა; ქ.თბილისში, ვანდალიზმის შედეგად დაზიანებული ფასადების მოწესრიგება-შეღებვის სამუშაოები; არსებული კლდეებიდან ავარიული კლდოვანი ფენის მოხსნის და კლდოვანი გრუნტის გატანა-გაწმენდის სამუშაოები.

აღნიშნულის გარდა განხორციელდა გმირთა მოედანზე მდებარე მემორიალური სვეტის პროექტორის აღდგენა; ქ.თბილისში, „ოლივერ უორდროპის“ სახელობის სკვერსა და „ოთარ მეღვინეთუხუცესის“ სახელობის მოედანზე ადგილმდებარეობის აღმნიშვნელი აბრების დამონტაჟების სამუშაოები, ზაარბრიუკენის მოედანის ადგილმდებარეობის აღმნიშვნელი აბრის დამონტაჟების სამუშაოები. მიმდინარეობს და უახლოეს მომავალში დასრულდება ვარდების ბაღში საორკესტრო ბენდის სარეპეტიციო დარბაზის რეაბილიტაციის სამუშაოები.

განმარტება დასახულ და მიღწეულ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე: მიმწოდებელთა მხრიდან სამუშაოების დროულად არშესრულებიდან გამომდინარე, შესაბამისი შეთანხმებების შედეგად განხორციელდა შესრულების ვადების ზრდა ან/და მიმწოდებლებზე საჯარიმო

სანქციების დაკისრება, რის გამოც აღნიშნული პროექტების სამუშაოთა ნაწილის შესრულება დაფინანსდება 2015 წლის ბიუჯეტით.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: კეთილმოწყობილი და დაცული 15 სხვადასხვა ინფრასტრუქტურული ობიექტი.

2.9.8 მოძრავი ქონების აღრიცხვა და მოვლა-შენახვა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: მერიის ადმინისტრაცია

2014 წლის გეგმა 364.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 325.3 ათასი ლარით, რაც გეგმის 89.4%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: მოწესრიგებული სასაწყობო მეურნეობა; ქონების აღრიცხვისა და რეგულირების ერთიანი სრულყოფილი ბაზის შექმნა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: ქ.თბილისში თვალჭრელიძის ქუჩა #17-ში, ელბაქიძის აღმართზე, ქვემო ფონიჭალაში, კახეთის გზატკეცილი #49-ში და გოდიაშვილის ქუჩა #28-ში მდებარე სასაწყობე ბაზების მოვლა-პატრონობა. ამასთან, გაწეულია ქ.თბილისში სხვადასხვა ღონისძიებებისათვის ტვირთების გადაზიდვის მომსახურების ხარჯები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: მოძრავი ქონების ერთიანი სრულყოფილი ბაზის შექმნა; სასაწყობე მეურნეობაში ექსპლოატაციაში მყოფი მარაგების ზუსტი აღრიცხვა და მათი მოძრაობა შემოსავალ-გასავლის ზედდებულების მეშვეობით.

2.9.9 უკანონო ნაგებობების დემონტაჟი

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

2014 წლის გეგმა 60.0 ათასი ლარი დაფინანსდა 13.5 ათასი ლარით, რაც გეგმის 22.5%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: უკანონო და უსახური კონსტრუქციების დემონტაჟის გზით ქალაქის იერსახის შენარჩუნება და მოწესრიგება; საზოგადოებრივი სარგებლობების სივრცეების გამოთავისუფლება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: კაპიტალური შენობა-ნაგებობების დემონტაჟი (მონოლითური გადახურვით) 17 კვ.მ, კაპიტალური გადახურავი ან არამონოლითურად გადახურული შენობა-ნაგებობების და კაპიტალური ღობეების დემონტაჟი – 158.48 კვ.მ, უსახური და უნებართვოთ განთავსებული ჯიხურების დემონტაჟი – 10.6 კვ.მ, მსუბუქი კონსტრუქციების დემონტაჟი – 26.5 კვ.მ, აივნის ტიპის ბაქანის დემონტაჟი – 3.0 კვ.მ, მარტივი ტიპის ღობეების მოხსნა – 1066.2 გრძივი მეტრი; ნარჩენების ან დემონტაჟის შედეგად ნარჩენი კონსტრუქციების დატვირთვა და ტრანსპორტირება ნაგავსაყრელზე ან სათანადოდ შერჩეულ დროებით დისლოკაციის ადგილზე – 37.5 კუბური მეტრი, თვითნებურად გაჩეხილი მწვანე ნარგავების დამუშავება და გადატანა – 13.5 კუბური მეტრი.

განმარტება დასახულ და მიღწეულ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე: 2013 წლის 17 ივლისიდან მიღებულ იქნა სამშენებლო სფეროში კანონი ამინისტიის შესახებ, რომლის საფუძველზეც მოქმედებდა სამშენებლო სამართალდარღვევაზე ამინისტიის დროებითი ექსტენზიანი წესი. კანონი მოქმედებდა 2014 წლის 16 იანვრის ჩათვლით, აღნიშნული ამინისტიით ისარგებლა თითქმის ყველა დასრულებმა მშენებლობების მეპატრონეებმა. ამ გარემოებამ მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა 2014 წელს დარღვევების გამოვლენაზე, ვინაიდან წინა წლებში განხორციელებული მშენებლობების ნაწილს შეეხო ამინისტია და 2014 წელში ხდებოდა მხოლოდ ახალ დარღვევებთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოებების ჩატარება.

2.9.10 კეთილმოწყობის ღონისძიებები გლდანის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: გლდანის რაიონის გამგეობა

2014 წლის გეგმა 2,500.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 2,153.1 ათასი ლარით, რაც გეგმის 86.1%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა - ქუჩები, ეზოები, სათამაშო მოედნები, დასასვენებელი სკვერები, პარკები; მოსახლეობის გაუმჯობესებული საყოფაცხოვრებო პირობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა შემდეგი ღონისძიებები. მათ შორის: რაიონის ტერიტორიაზე მოიჭრა, გადაიხელა და გაისხლა 792 ძირი ხე; 8 კაპიტალური სკვერის მოწყობის სამუშაოები; რაიონის ტერიტორიაზე დამონტაჟდა 400 ცალი ქუჩის ძელსკამი; 52 ერთეული ლითონის პავილიონი (ფანჩატური); საკანალიზაციო ქსელების სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელდა შემდეგ ქუჩებზე: გმირკურსანტთა N3 და N5, მწვანე ქუჩა, ლიბანის N10, ჯანჯღავას მე-3 შესახვევი, კაჭარავას ქუჩა, თავისუფლების ქუჩა; გლდანის მე-8 მ/რ კ.30-ში, სოფ. გლდანში 26 მაისის ქუჩაზე და სვანეთის ქუჩაზე განხორციელდა სადრენაჟე-სანიაღვრე ქსელების რეაბილიტაციის სამუშაოები; ენერგეტიკის და გლდანულის ქუჩებზე განხორციელდა წყალსადენი ქსელების სარეაბილიტაციო სამუშაოები; უწერის, კულა გლდანელის, მიხაკო წერეთლის ქუჩების, ხიზანიშვილის N57 და გლდანის მე-2 მ/რ კ.N28ა მისამართებზე განხორციელდა საყრდენი კედლების მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები; 23 მისამართზე მოეწყო ქუჩის კიბეები; 17 მისამართზე განხორციელდა სპორტული მოედნის კაპიტალური რეაბილიტაციის და მოწყობის სამუშაოები; ნეკრესის ქუჩის N8-ში განხორციელდა სტიქიის შედეგად დაზიანებული სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები. 10 სადარბაზოს ავარიულ წინფარს ჩაუტარდა რეაბილიტაცია; 18 მისამართზე განხორციელდა კორპუსის ავარიული ელემენტების სარეაბილიტაციო სამუშაოები; რაიონში მდებარე 20 ეკლესიას გაეწია ფინანსური დახმარება; თბილისობის დღესასწაულის ფარგლებში დაფინანსდა სხვადასხვა გასართობი და ტერიტორიის კეთილმოწყობითი ღონისძიებები; ჩატარდა 279 მოქალაქის საცხოვრებელი ბინების ინდივიდუალური გაზიფიცირების სამუშაოები. ასევე, გაწეულია 68 ამხანაგობის გაზიფიცირების ქსელების მშენებლობის სამუშაოები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორი: გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა - მოეწყო 8 სკვერი; დამონტაჟდა 400 ცალი ქუჩის ძელსკამი და 52 ერთეული ლითონის პავილიონი (ფანჩატური); 8 ქუჩაზე საკანალიზაციო ქსელების და 6 ქუჩაზე საყრდენი კედლის მოწყობა-

რეაბილიტაციის სამუშაოები; ქუჩის კიბეები მოეწყო 23 მისამართზე; სპორტული მოედნის კაპიტალური რეაბილიტაციის და მოწყობის სამუშაოები 17 მისამართზე; მოსახლეობის გაუმჯობესებული საყოფაცხოვრებო პირობები - 279 მოქალაქის ინდივიდუალური გაზიფიცირების სამუშაოები; 18 მისამართზე კორპუსის ავარიული ელემენტების და 10 სადარბაზოს ავარიული წინფარის სარეაბილიტაციო სამუშაოები; 20 ეკლესიის ფინანსური დახმარება.

2.9.11 კეთილმოწყობის ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ნაძალადევის რაიონის გამგეობა

2014 წლის გეგმა 2,085.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 1,400.1 ათასი ლარით, რაც გეგმის 67.2%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა - ქუჩები, ეზოები, სათამაშო მოედნები, დასასვენებელი სკვერები, პარკები; მოსახლეობის გაუმჯობესებული საყოფაცხოვრებო პირობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა შემდეგი ღონისძიებები. მათ შორის: გადაიხდა 41 ძირი, გაისხვლა 222 და მოიჭრა 457 ავარიული ხე; რაიონის ტერიტორიაზე არსებული სკვერებისა და დასასვენებელი ტერიტორიების მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოებიდან 129 მისამართზე დამზადდა და დამონტაჟდა 390 ერთეული საბაღე სკამი; 17 მისამართზე დამონტაჟდა 20 ერთეული საბავშვო ატრაქციონი; 21 მისამართზე დამზადდა და დამონტაჟდა 21 ერთეული ფანჯატური; 5 მისამართზე შესრულდა სკვერებისა და გამწვანებული ტერიტორიების მოწყობის საპროექტო ტექნიკური დოკუმენტაციის შედგენის შეიქმნა ც.დადიანის ქანდაკების ესკიზი და პროექტი; საყრდენი კედლების მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები განხორციელდა 17 მისამართზე; საყრდენი კედლების პროექტირების სამუშაოები შესრულდა 24 მისამართზე; სპორტული მოედნების სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელდა 4 მისამართზე; 24 ეკლესიას გაეწია ფინანსური დახმარება, სტიქიის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი კორპუსის სახურავის აღდგენა-შეკეთების სამუშაოები ჩატარდა 11 ობიექტზე; სახურავების პარაპეტების აღდგენა-შეკეთების

სამუშაოები შესრულდა 5 მისამართზე; 17 მისამართზე განხორციელდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ავარიული ელემენტების (აივნები, კოლონები, საშრობები, საკედლე ბლოკის პანელები, კიბის მარშები და კიბის უჯრედები) შეკეთების სამუშაოები; რაიონის ინფრასტრუქტურის მოწესრიგების მიზნით 4 მისამართზე დაფინანსდა ლითონის მსუბუქი კონსტრუქციებით ღობის მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები; თბილისობის დღესასწაულის ფარგლებში ჩატარდა ტექნიკურ-ორგანიზაციული უზრუნველყოფის სამუშაოები; გაზიფიცირებით უზრუნველყოფილი იქნა რაიონის მცხოვრები 59 ოჯახი. ასევე, გაწეულია დეფექტური აქტების შედგენასა და ლაბორატორიული კვლევით მომსახურების ხარჯები. ამასთან, დაფარულია 2013 წლის კრედიტორული დავალიანება 2.6 ათასი ლარი.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა - 167 მისამართზე დამონტაჟდა 20 ერთეული საბავშვო ატრაქციონი, 21 ერთეული ფანჩატური და 390 ერთეული საბაღე სკამი; 20 მისამართზე განხორციელდა საკანალიზაციო ქსელების და საყრდენი კედლის მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები; 4 მისამართზე განხორციელდა სპორტული მოედნების სარეაბილიტაციო სამუშაოები; მოსახლეობის გაუმჯობესებული საყოფაცხოვრებო პირობები - განხორციელდა 59 ოჯახის გაზიფიცირება; 34 მისამართზე განხორციელდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ავარიული ელემენტების, პარაპეტების, სახურავის შეკეთების სამუშაოები; 24 ეკლესიის ფინანსური დახმარება.

2.9.12 კეთილმოწყობის ღონისძიებები დიდუბის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: დიდუბის რაიონის გამგეობა

2014 წლის გეგმა 1,473.9 ათასი ლარი დაფინანსდა 1,356.0 ათასი ლარით, რაც გეგმის 92%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა - ქუჩები, ეზოები, სათამაშო მოედნები, დასასვენებელი სკვერები, პარკები; მოსახლეობის გაუმჯობესებული საყოფაცხოვრებო პირობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა შემდეგი ღონისძიებები. მათ შორის: გაისხვლა, გადაიბელა და მოიჭრა 202 ძირი ხე; მოეწყო 8 ახალი სკვერი შემდეგ მისამართებზე: ბელიაშვილის ქ#12ა-ში, დ/მ V კვ. 1-1ა კორპუსთან, დ/მ III კვ 6-6ა-6ბ-6გ კორპუსებთან, სამტრედიის ქ #2-ში, მაიაკოვსკის ქ#7-ში, ქურდიანის ქ# 2-ში, დ/მ V კვ. 13 კორპუსებთან, დ/მ III კვ. 2ა; 19 სკერის აღდგენა-რეაბილიტაციის სამუშაოები; შეძენილი და დამონტაჟებულია 6 ცალი საბავშვო სათამაშოები: თ.მღვდლისა და თ.ფიფიას ქუჩის გადაკვეთის მიმდებარედ, ჭიაურელის ქ#3, ბათუმის ქ#25, დ/მ II კვ. მე-4 კორპ, ტერევენკოს ქ#36, დ/მ IV კვ. მე-17 კორპ მიმდებარედ არსებულ სკვერებში; წყალსადენ-კანალიზაციისა და სანიაღვრე ქსელების რეაბილიტაციის სამუშაოები; ფინანსური დახმარება გაეწია რაიონის ტერიტორიაზე მდებარე 6 ეკლესიას; რაიონის ტერიტორიაზე მცხოვრებ სოციალურად დაუცველ და შეჭირვებული ოჯახებისათვის განხორციელდა გაზიფიცირების საპროექტო და სამონტაჟო სამუშაოები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა - 19 სკერის აღდგენა-რეაბილიტაცია; 8 სკვერის მოწყობა; 6 ცალი საბავშვო სკამის დამზადება-მონტაჟი; 59 მისამართზე წყალსადენ - კანალიზაციის და სანიაღვრე ქსელის რეაბილიტაცია - 1326გრძ/მ; 6 ეკლესიის ფინანსური დახმარება.

2.9.13 კეთილმოწყობის ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჩუღურეთის რაიონის გამგეობა

2014 წლის გეგმა 1,441.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 1,353.2 ათასი ლარით, რაც გეგმის 93.9%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა - ქუჩები, ეზოები, სათამაშო მოედნები, დასასვენებელი სკვერები, პარკები; მოსახლეობის გაუმჯობესებული საყოფაცხოვრებო პირობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა შემდეგი ღონისძიებები. მათ შორის: კიბეების აღდგენის, მოაჯირების მოწყობის, სკვერების

აღდგენა რეაბილიტაციის სამუშაოების, საყრდენი კედლების და ქუჩების დამაკავშირებელი კიბეების მოწყობის დეფექტური აქტებისა და საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა; წყალ-კანალიზაციის, სანიაღვრე და სადრენაჟე ქსელების, საყრდენი კედლების, ქუჩების დამაკავშირებელი კიბეების მოწყობის და სხვა სამშენებლო ნაგებობების საპროექტო დოკუმენტაციის და დეფექტური აქტების ექსპერტიზა, ზედამხედველობა, ლაბორატორიული კვლევა და შესრულებულ სამუშაოთა აქტების დადასტურება; ხეების გასხვლა, გადაბელვა და მოჭრა-გატანა; საცხოვრებელი სახლის ეზოებში 8509 გრძ/მ წყალსადენ - კანალიზაციისა და სანიაღვრე ქსელის რეაბილიტაცია; სტიქიისა და სიძველისაგან დაზიანებული შენობა - ნაგებობების ნანგრევებისგან გაწმენდის, სამშენებლო ნაგვისა და ჩამოშლილი გრუნტის გატანის სამუშაოები 43 მისამართზე; სტიქიის (ქარი, წვიმა, ხანძარი) შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლების სახურავებისა და სხვა ელემენტების აღდგენა-შეკეთების სამუშაოები 25 მისამართზე, ასევე რაიონის ტერიტორიაზე არსებული 19 სკვერის აღდგენა-რეაბილიტაციის სამუშაოები და ვარდების ბაღში დაღმამენებლის ქ.#65, 75-ში, ლებარდესა და სალხინოს ქ-ის მიმდებარედ, დგებუადის ქ.#1-ში, ხუდადოვის ქ.#173-ში, ნორიოს აღმართზე, უ.ჩხეიძის ქ.#21-ში, ჩუბინიშვილის ქ.#12,64-ში, კიევისა და წინამძღვრიშვილის ქ-ის დასაწყისში, ჩაისუბნის ქ.#2-ში, მეუნარგიას ქ.#68-69-ში, ჩიქობავას ქ.#1-ში და ს. ქურდიანის ქ.#30-ში არსებულ სკვერებში 80 დეკორატიული სკამის ჩადგმა, არსებული ქუჩების დამაკავშირებელი კიბეების და მოაჯირების აღდგენა-რეაბილიტაცია და ეზოების მობეტონების სამუშაოები 24 მისამართზე; საყრდენი კედლის მოწყობა 17 მისამართზე; არაგვისპირელის ქ.#3-ში სავენტილაციო დერეფანის მოწყობის სამუშაოები; სოციალურად დაუცველი 238 ოჯახის გაზიფიცირების საპროექტო და სამონტაჟო სამუშაოები (მათ შორის გაზიფიცირებით უზრუნველყოფილია 79 ოჯახი); თბილისობის დღესასწაულის ჩასატარებელი ღონისძიებები. გარდა ამისა, ფინანსური დახმარება გაეწია 16 ეკლესიას.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა - 40 მისამართზე მოეწყო რ/ბეტონის კიბეები და საყრდენი

კედელი; სკვერის მოწყობა -19 მისამართი; 80 ცალი საბაღე სკამის დამზადება-მონტაჟი; წყალსადენ-კანალიზაციისა და სანიაღვრე ქსელის რეაბილიტაცია - 8509 გრძ/მ; მოსახლეობის გაუმჯობესებული საყოფაცხოვრებო პირობები - გაზიფიცირებით უზრუნველყოფილი სოციალურად დაუცველი 79 ოჯახი; 16 ეკლესიის ფინანსური დახმარება.

2.9.14 კეთილმოწყობის ღონისძიებები ვაკის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ვაკის რაიონის გამგეობა

2014 წლის გეგმა 2,026.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 1,766.4 ათასი ლარით, რაც გეგმის 87.2%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა - ქუჩები, ეზოები, სათამაშო მოედნები, დასასვენებელი სკვერები, პარკები; მოსახლეობის გაუმჯობესებული საყოფაცხოვრებო პირობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა შემდეგი ღონისძიებები. მათ შორის: ავარიული ხეების გასხვლა, მოჭრა-გადაბეღვა (გაისხლა 926 ძირი, გადაიბელა 206 ძირი და მოიჭრა 321 ძირი); ირ. აბაშიძის #16-18-ში სკვერის გამწვანებული ტერიტორიების აღდგენა-მოწყობა (დეკორატიული ბუჩქები და ნიადაგმფარავი მცენარეები 1030 ძირი, სირვაშლა 280 ძირი, ბზა ჩვეულებრივი 405 ძირი, გართხმული ღვია 300 ძირი, სოფორა იაპონური მტირალა 2 ძირი, ტუია დასავლეთის გოლდ გლობი 34 ძირი და ტუია აღმოსავლეთის ნანა 9 ძირი); ტ. ტაბიძის, ი.აბაშიძის და ფალიაშვილის ქუჩაზე არსებული სანიაღვრე ქსელის მოწყობა (პლასტმასის გოფირებული საკანალიზაციო მილის მონტაჟი 198 გრძ/მ, წყალმიმღები 7 ჭის მოწყობა ლითონის ცხაურებით); ცხვედაძის ქ.13-ში არსებული დაზიანებული საცხოვრებელი სახლის სარემონტო სამუშაოები; პოლიტკოვსკაიას 18-ის მიმდ. ტერიტორიიდან სამშენებლო ნარჩენების გატანის სამუშაოები; 4 მისამართზე სამშენებლო ნარჩენების გატანის და ტერიტორიაზე სამშ. ნარჩ. გატანის შედეგად დაზიანებული გრუნტის საფარის მოსწორების სამუშაოები; შენობა-ნაგებობების (3 მისამართზე) ავარიული ელემენტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და ესკიზური ნახაზების

შედგენა; სკვერის 69 მისამართზე ურბანული ავეჯის მოწყობის სამუშაოები (მათ შორის: ჭავჭავაძის #27-29-ში, ყიფშიძის ქ. N2-4-ში, ალ. ყაზბეგის გამზირი #32, ვაჟა-ფშაველას პირველი კვარტალი #4-ში და აბაშიძის #14-ში სკვერის მოწყობა-შეკეთების სამუშაოები); სკვერის 5 მისამართზე მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები სკვერის ახალი ინვენტარის მონტაჟისათვის. ობიექტების (7 მისამართზე) დეკორატიული განათების მოწყობა (მათ შორის ჭავჭავაძის 23-23ა კორპუსის დეკორატიული გარე განათება); სპორტული კომპლექსის პროექტის მომზადება; დენდროლოგიური პროექტების მომზადება (5 მისამართზე); 11 საზოგადოებრივი სკვერის პროექტის მომზადება და შემდგომში გამარჯვებული კონკურსანტისთვის საპროექტო – სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა; წყნეთში, წყალსადენის (არსებული წყაროს) ქსელის მოწყობის სამუშაოები (წყალსადენის OD=50მმ პოლიეთილენის მილი მონტაჟით 1340 გრძ/მ, წყალსადენის OD=40მმ პოლიეთილენის მილი მონტაჟით 886 გრძ/მ, წყალსადენის OD=20მმ პოლიეთილენის მილი მონტაჟით 30 გრძ/მ, წყალსადენის ვინტილი OD=50მმ მილისათვის მონტაჟით 2ც, წყალსადენის ვინტილი OD=40მმ მილისათვის მონტაჟით 2ც); 5 მისამართზე გაზის ქსელის საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება; 10 ოჯახის გაზიფიკაციის (ინდივიდუალური გამრიცხველიანება) სამუშაოები; 6 მისამართზე გაზის ქსელის სამონტაჟო სამუშაოები; 27 ეკლესიას გაეწია ფინანსური დახმარება.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა - სკვერის და დეკორატიული განათების მოწყობა - 74 მისამართზე; სკვერის 69 მისამართზე ურბანული ავეჯის მოწყობა; მოსახლეობის გაუმჯობესებული საყოფაცხოვრებო პირობები - გაზიფიცირებით უზრუნველყოფილი 10 ოჯახი; დაზიანებული საცხოვრებელი სახლის რემონტი - 1 მისამართზე; 27 ეკლესიის ფინანსური დახმარება.

2.9.15 კეთილმოწყობის ღონისძიებები საბურთალოს რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: საბურთალოს რაიონის გამგეობა

2014 წლის გეგმა 2,382.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 2,129.9 ათასი ლარით, რაც გეგმის 89.4%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა - ქუჩები, ეზოები, სათამაშო მოედნები, დასასვენებელი სკვერები, პარკები; მოსახლეობის გაუმჯობესებული საყოფაცხოვრებო პირობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა შემდეგი ღონისძიებები. მათ შორის: ავარიული ხეების მოჭრა-გადაბეღვა; 12 საყრდენი კედლების საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება, 14 მისამართზე კედლების ლაბორატორიული კვლევა, ექსპერტიზა, სადემონტაჟო, აღდგენა-გამაგრება და მოწყობა (ჩერქეზიშვილის ქ.1, გაგარინის აღმართი; გოდიაშვილის ქ.97/2ა; ვაზისუბნის ქ.107; ზემო ვეძისის ქ.33/7; ზემო ვეძისის მე-2 ჩიხი 14ა; იყალთოს ქ.43, 55; ოსეთის ქ.103/6; საირმის ჩიხი 3,5,7; ჩაილურის ქ.35, ნუცუბიძის ქ.53; ახალი კედლების მოეწყობა ვ. დოლიძის ქ.116-დან 142-მდე და ს. ჩიქოვას ქუჩიდან ვ. დოლიძის ქუჩის დამაკავშირებელ გზის მონაკვეთზე კი - 2 ახალი კედელი); 53 სკვერის დეფექტური აქტების შედგენა და სკვერების აღდგენა-შეკეთება (შარტავას ქ.30; კოსტავას ქ.72ა, 74; ბალანჩივადის ქ.1; გიორგი ბრწყინვალეს ქ.7,17; ბახტრიონის ქ.4, 35; საბურთალოს ქ.3; ზაქარიადის ქ.10; დ.დ. მე-3 მ.რ. კ. 31; ვაჟა ფშაველას 1 ჩიხი #5; ვაჟა ფშაველას 20; დ.დ. მე-3 მ.რ. კ. 9; გამრეკელის ქ.13; გოთუას ქ.კ.20-22-ს მიმდებარედ; ალ. ყაზბეგის გამზ. 4,4ა,6,8,8ა; ჩიქოვანის ქ.34; დ.დ. მე-3 მ.რ. კ.10; ბუდაპეშტის ქ.7-9; ვაშლიჯვარი მე-2 კორპ. მიმდებარედ; გამრეკელის ქ.1; პეკინის ქ.39); კიბეების აღდგენა-რეკონსტრუქცია, საფეხმავლო კიბეების აღდგენა (ნუცუბიძის ქ.20-ში) და ექსპერტიზა; საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა 4 მისამართზე; სანიაღვრე ქსელის აღდგენა - მოწყობა (ბერიტაშვილის 1 ჩიხის #3, ბოლქვადის ქ.1, მიცკევიჩის ქ.6; ვაშლიჯვარი 158 სკოლიდან ვაშლიჯვარი კორპ.13-14-15-დან გოდიაშვილის ქუჩამდე; დ.დ მირიან მეფის ქუჩიდან არჩილ მეფის ქუჩამდე; ბახტრიონის ქ.#11; ოსელიანის ქ.#40), 7 მისამართზე სანიაღვრე ქსელის ლაბორატორიული კვლევა და ექსპერტიზა; გაზიფიცირებასთან დაკავშირებული ღონისძიებების დაფინანსება მათ შორის: გაზიფიცირების პროექტი, პროექტის ექსპერტიზა, სამონტაჟო სამუშაოები და სამუშაოების ექსპერტიზა; დ.დ.მე-3 მ.რ.-ის მიმდებარე ტერიტორიაზე გაზის ცენტრალური ქსელის მიყვანა-მოწყობის

სამუშაოები, 33 ოჯახის გაზიფიცირების სამუშაოები; ავტობუსების გაჩერებაზე მოსაცდელების მოწყობა შემდეგ მისამართებზე: დიდი დილომი მე-3 მ.რ. კ.18-19-20-ს მიმდებარედ, დიდი დილომი მე-3 მ.რ. კ.27-ს მიმდებარედ, დიდი დილომი მე-3 მ.რ. კ.37-ს მიმდებარედ, დიდი დილომი მე-4 მ.რ. კ.12-ს მიმდებარედ; თბილისობის დღესასწაულთან დაკავშირებით (ბუკიას ბაღში, ჩირთახანის დასახლებაში, გომიაშვილის სკვერში, 171 ბაგა-ბაღში ღონისძიებების ორგანიზება; ასევე ფინანსური დახმარება გაეწია 27 ეკლესია-მონასტერს.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა - 15 მისამართზე საყრდენი კედლის და საფეხმავლო კიბეების აღდგენა-მოწყობა; სკვერის მოწყობა - 23 მისამართზე; მოსაცდელების მოწყობა - 4 მისამართზე; წყალსადენ-კანალიზაციისა და სანიაღვრე ქსელის რეაბილიტაცია 7 მისამართზე; მოსახლეობის გაუმჯობესებული საყოფაცხოვრებო პირობები - გაზიფიცირებით უზრუნველყოფილი სოციალურად დაუცველი 33 ოჯახი; 27 ეკლესიის ფინანსური დახმარება.

2.9.16 კეთილმოწყობის ღონისძიებები ისნის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ისნის რაიონის გამგეობა

2014 წლის გეგმა 2,000.0 ათასი ლარი დაფინანსდა 1,709.9 ათასი ლარით, რაც გეგმის 85.5%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა - ქუჩები, ეზოები, სათამაშო მოედნები, დასასვენებელი სკვერები, პარკები; მოსახლეობის გაუმჯობესებული საყოფაცხოვრებო პირობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები. მათ შორის: ფინანსური დახმარება გაეწია რაიონის ტერიტორიაზე მდებარე 19 ეკლესიას, ავარიული ხეების (574 ხე) გადაბელვის სამუშაოები, 52 ობიექტზე ჩატარდა საცხოვრებელი სახლების დემონტაჟის და სამშენებლო ნაგვის გატანის სამუშაოები, 13 ობიექტზე რკ/ბეტონის კიბეების გამაგრებითი სამუშაოები, 8 ობიექტზე გრუნტის დამჭერი რ/ბეტონის კედლის გამაგრების სამუშაოები, რაიონის ტერიტორიაზე არსებული სკვერებისათვის დამზადდა და დამონტაჟდა 213 ერთეული მოსასვენებელი სკამი, ტვიშის ქ.#2 -ში

ჩატარდა სანიაღვრე ქსელის რეაბილიტაცია, 16 ობიექტზე ჩატარდა დაზიანებული სახურავების აღდგენა-შეკეთების სამუშაოები, დაიდგა 35 ერთეული ფანჩატური, 49 ობიექტზე განხორციელდა სანიაღვრე და საკანალიზაციო ქსელების რეაბილიტაცია, განხორციელდა 10 ობიექტზე სასმელი წყლი შემყვანი მილების რეაბილიტაციის სამუშაოები, სოციალურად დაუცველი 80 ოჯახის გაზიფიცირების სამუშაოები, თბილისობის დღესასწაულთან დაკავშირებული ღონისძიებები, დეფექტური აქტების შედგენის, მშენებლობის ზედამხედველობისა და ლაბორატორიული კვლევის მომსახურება და სხვა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა - 21 მისამართზე რ/ბეტონის კიბეების და საყრდენი კედლების მოწყობა; სკვერების მოწყობა - 6 მისამართზე; საბაღე სკამების დამონტაჟება - 213 ცალი; სანიაღვრე და საკანალიზაციო ქსელების რეაბილიტაცია 49 ობიექტზე; ფანჩატურის მოწყობა - 35 მისამართზე; მოსახლეობის გაუმჯობესებული საყოფაცხოვრებო პირობები - სოციალურად დაუცველი 80 ოჯახის გაზიფიცირების სამუშაოები; 19 ეკლესიის ფინანსური დახმარება.

2.9.17 კეთილმოწყობის ღონისძიებები სამგორის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: სამგორის რაიონის გამგეობა

2014 წლის გეგმა 2,100.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 1,335.4 ათასი ლარით, რაც გეგმის 63.6%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა - ქუჩები, ეზოები, სათამაშო მოედნები, დასასვენებელი სკვერები, პარკები; მოსახლეობის გაუმჯობესებული საყოფაცხოვრებო პირობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები. მათ შორის: სკვერებისათვის დამზადდა და დამონტაჟდა 400 ერთეული საბაღე სკამი და 80 ფანჩატური, ავარიული ხეების გადაბეღვისა და მოჭრის სამუშაოები, ფინანსური დახმარება გაეწია რაიონის ტერიტორიაზე მდებარე 21 ეკლესიას, განხორციელდა სოციალურად დაუცველი 48 ოჯახის საცხოვრებლის გაზიფიცირება, მოეწყო 5 სპორტული მოედანი, მოეწყო 14 სკვერი და 14 მოსაცდელი. ასევე, გაწეულია ფანჩატურების, საბაღე სკამებისა და

მოსაცდელების ხარჯთაღრიცხვების ექსპერტიზის, სკვერების აღდგენა-მოწყობის, წყალმომარაგების, საკანალიზაციო, სადრენაჟე ქსელების დეფექტური აქტების და ხარჯთაღრიცხვების შედგენის ხარჯები.

განმარტება დასახულ და მიღწეულ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე: ვერ განხორციელდა სოციალურად დაუცველი და დევნილი მოსახლეობის ბინების გაზიფიცირება, რაც გამოწვეული იყო შპს „ყანსტრასგაზ-თბილისის“ მიერ აღებული ვალდებულებების შეუსრულებლობით.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა - მოსაცდელის მოწყობა - 14 მისამართზე; სპორტული მოედნების მოწყობა - 5 მისამართზე; სკვერების მოწყობა - 14 მისამართზე; საბაღეს კამების დამონტაჟება - 400 ცალი; ფანჩატურის მოწყობა - 80 მისამართზე; მოსახლეობის გაუმჯობესებული საყოფაცხოვრებო პირობები - სოციალურად დაუცველი 48 ოჯახის გაზიფიცირების სამუშაოები; 21 ეკლესიის ფინანსური დახმარება.

2.9.18 კეთილმოწყობის ღონისძიებები კრწანისის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კრწანისის რაიონის გამგეობა

2014 წლის გეგმა 1,136.3 ათასი ლარი, დაფინანსდა 754.4 ათასი ლარით, რაც გეგმის 66.4%.

დასახული შუალედური შედეგები: გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა - ქუჩები, ეზოები, სათამაშო მოედნები, დასასვენებელი სკვერები, პარკები; მოსახლეობის გაუმჯობესებული საყოფაცხოვრებო პირობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები. მათ შორის: ხეების გადაბეღვა, გასხვლა და მოჭრა (სხვადასხვა მისამართებზე მოხდა 79 ხის გასხვლა, 51 ხის გადაბეღვა და 192 ხის მოჭრა, დამუშავება და გატანა); ცხრა მოსაცდელი პავილიონის შეკეთება; გორგასლის ქუჩაზე ფეხით მოსიარულეთა სავალ ნაწილზე ჩამონაშალი მიწის გატანა; სკვერებში საბაღე სკამების მოწყობა (მოეწყო 220ც სკამი 64 მისამართზე); სათამაშო მოედნების აღჭურვილობა (დამონტაჟდა 30 ცალი აიწონა-დაიწონა და 35 ცალი საქანელა, 6 ცალი ატრაქციონი, სულ 31 მისამართზე); სათამაშო მოედნების

მოწყობილობების შეკეთება (დამონტაჟდა 20 ცალი საქანელას ჯაჭვიანი სკამი 11 მისამართზე); გაზიფიკაციის (56 მისამართზე) სამონტაჟო სამუშაოები, ქსელის მოწყობის საპროექტო და საექსპერტო მომსახურების სამუშაოები (3 მისამართზე), გაზის ქსელის გაყვანა ბევრეთის ქ. #8ა-ში მცხოვრები 30 ოჯახისათვის; დასასვენებელი მსუბუქი გადახურული ნაგებობები (ფანჩატურები) მოეწყო შემდეგ მისამართებზე: ზემო ფონიჭალაში ათი კორპუსის მიმდებარედ; გორგასლის ქ. N115, N103, კორპ. N2; რუსთავის გზატკეცილი: აბზ დასახლება N1, სადგურის ქ. N15-N78, კორპ N257, კორპ N259, კორპ. N28, კორპ. N32, კორპ. N263; სოფ. ფონიჭალაში: ილია ჭავჭავაძი მე-4 ჩიხი, მტკვრის ქუჩაზე, N218 სკოლის მიმდებარედ, ნიზამ განჯელის ქ. N7; კრწანისის ქ. N16; გორგასლის ქ. N1/15-ში არსებული 254 კვ.მ დაზიანებული საყრდენი კედლის მოწყობა; ახოსპირელის მე-3 ჩიხის N7-ში მდებარე ავარიული საცხოვრებელი სახლის გამაგრებითი სამუშაოები; 16 მისამართზე 325 ცალი მოძრაობის შემზღუდველი ბარიერის მოწყობა; დაზიანებული ლითონის მოაჯირების და ბადიანი ღობეების მოწყობის სამუშაოები; სანიაღვრე არხისა და ქსელის მოწყობის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა; სასმელი წყლის ნიჟარების (სამი მისამართი) მოვლა-პატრონობა; ფირდოუსის ქუჩაზე ბეტონის კიბის მოწყობა; ცურტაველის ქ. N4-ში დროებითი კიბის მოწყობა; დეკაბრისტების ქ. N3-ის მიმდებარედ ბეტონის კიბის აღდგენა, რკინა-ბეტონის კედლისა და მოაჯირის მოწყობა; ქუმსიაშვილის მე-2 შესახვევში ლითონის კიბისა და მოაჯირების მოწყობა; გორგასლის ქ. N75-ე სკოლის ეზოში 255 კვ.მ გრუნტის დამჭერი რკინა-ბეტონის კედლისა და 68 კვ.მ მოაჯირის მოწყობა; ქუმსიაშვილის ქ. N9-ის მიმდებარედ არსებული საყრდენი ფერდის გამაგრების პროექტის მომზადების საინჟინრო ექსპერტიზის ჩატარება; დაზიანებული საინჟინრო ნაგებობებისა და საზოგადოებრივი სივრცის აღდგენა-მოწყობის სამუშაოების დეფექტური აქტების და ტექ. დავალების ანალიზის ტექ. ზედამხედველობისა და ლაბორატორიული კვლევის მომსახურება; კოტე აფხაზის ქუჩაზე რკინის ღობის მოწყობა; კოტე აფხაზის ქ. N36-თან საჰაერო რკინა-ბეტონის კედლის დაგრძელება და მხატვრული ღობის საძირკვლის მოწყობა; დიდი ხეივნის ქუჩაზე სანიაღვრე ქსელის მოწყობა; კოტე აფხაზის და ანტონ

კათალიკოსის ქუჩებზე შენობების ფასადების შეღებვის სამუშაოები; თბილისობის დღესასწაულის ფარგლებში ჩასატარებელი ღონისძიებების ტექნიკურ-ორგანიზაციული უზრუნველყოფა; 22 ეკლესიას გაეწია ფინანსური დახმარება.

განმარტება დასახულ და მიღწეულ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე: აუთვისებლობა გამოწვეულია იმით, რომ ოთხმა მიმწოდებელმა არ შეასრულა ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულება, რის გამოც მიმწოდებლები გადაცემული იქნა შესყიდვების სააგენტოში შავ სიაში დასარეგისტრირებლად. გარდა ამისა, ზოგიერთი შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარება გაფორმდა 2014 წელს, წარმოდგენილი იქნა დაგვიანებით და გადარიცხვა ვერ მოესწრო.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა - 15 მისამართზე მოეწყო დასასვენებელი მსუბუქი გადახურული ნაგებობები (ფანჩატურები); 1 მისამართზე საყრდენი კედლის მოწყობა; 220 ცალი საბაღე სკამის დამზადება-მონტაჟი 64 მისამართზე; 325 ც მოძრაობის შემზღუდველი ბარიერი 16 მისამართზე; ავტობუსების გაჩერებაზე მოსაცდელეების მოწყობა - 9 მისამართზე; მოსახლეობის გაუმჯობესებული საყოფაცხოვრებო პირობები - გაზიფიცირებით უზრუნველყოფილი სოციალურად დაუცველი 86 ოჯახი; 23 ეკლესიის ფინანსური დახმარება.

2.9.19 კეთილმოწყობის ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: მთაწმინდის რაიონის გამგეობა

2014 წლის გეგმა 2,984.3 ათასი ლარი, დაფინანსდა 2,606.1 ათასი ლარით, რაც გეგმის 87.3%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა - ქუჩები, ეზოები, სათამაშო მოედნები, დასასვენებელი სკვერები, პარკები; მოსახლეობის გაუმჯობესებული საყოფაცხოვრებო პირობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა შემდეგი ღონისძიებები. მათ შორის: მ.კოსტავას ქ.#8-ში მდებარე საყრდენი კედლის მოწყობისა და საცხოვრებელი სახლის რეკონსტრუქცია-მიშენების სამუშაოები;

ფურცელადის ქ.#15-ში მდებარე სამსართულიანი საცხოვრებელი სახლის, სავანელის ქ.#20-ში, ამალლების ქ.#28-ში, არსენას ქ.#22-ში, ცხემის ჩიხი #1-ში, დ. ჭონქაძის ქ.#10-ში, ლალიძის ქ.#2/თაბუკაშვილის ქ.#46-ში, პ. იაშვილის ქ.#3/8-ში მძიმედ დაზიანებული ზონების გამაგრება-გამლიერების (წინმსწრებ-დამზღვევი ღონისძიებები) სამუშაოები; ა.სობჩაკის ქ.#5-ში დაზიანებული ხის მოჭრის მომსახურება; ამალლების შეს. #1-ში რკინაბეტონის კედლის (ღობის) მოწყობის, კოჯრის ქ. #13-ში მდებარე დაზიანებული საჰაეროს სამუშაოები; ჭონქაძის ქ.#19-ში რკინა ბეტონის კიბისა და ღობის მოწყობის, ლერმონტოვის ქ.#15-ში არსებულის შენობის სტიქიის შედეგად დაზიანებული სახურავის და სართულშუა გადახურვის დამჭერი ბოძების აღდგენის სამუშაოები; საინჟინრო ნაგებობების (საყრდენი კედლები) და ფეხით მოსიარულეთა სავალი ნაწილის აღდგენის ან ახლის მოწყობის, წყალ-კანალიზაციის, სანიაღვრე და სადრენაჟე ქსელების სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის დეფექტური აქტების და ტექნიკური დავალებების შედგენა; საინჟინრო ნაგებობების (საყრდენი კედლები, ტერიტორიის კეთილმოწყობა და სხვა) მოწყობა-რეაბილიტაციის, ავარიული შენობა-ნაგებობების ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევა აღდგენა-რეკონსტრუქციის (მ.შ. ავარიული ფრაგმენტების დემონტაჟი და ნარჩენების გატანა), წყალ-კანალიზაციის და სანიაღვრე-სადრენაჟე სისტემების რეაბილიტაციის სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციისა და დეფექტური აქტების ანალიზი, ტექნიკური ზედამხედველობა და ლაბორატორიული კვლევა; რაიონის ტერიტორიაზე განთავსებული წყლის დასაღვეი ნიჟარების ექსპლუატაცია (მოვლა-შეკეთება); სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების მიზნით შესასყიდი მომსახურების და სამუშაოს სავარაუდო ღირებულების დადგენის მომსახურება; რაიონის ტერიტორიაზე ხეების ფორმირების, გადაბელვისა და მოჭრის მომსახურება; კოჯორში მდებარე 4 მოსაცდელის რეაბილიტაციის სამუშაოები; კეკელიძის ქ.#14-16-ში სანიაღვრე და სადრენაჟე ქსელის მოწყობის II ეტაპის სამუშაოები; მთაწმინდის ტურისტული ბილიკის მოვლა-შეკეთების სამუშაოები; მთაწმინდის რაიონის ტერიტორიაზე დაზიანებული მოაჯირების აღდგენა-ახლის მოწყობის და ბარიერის ბოძების მოწყობის სამუშაოები; რაიონის

ტერიტორიაზე მდებარე სტიქიისა და სიძველისაგან დაზიანებული შენობა-ნაგებობების ნანგრევებისაგან ტერიტორიის გაწმენდის, სამშენებლო ნაგვისა და გრუნტის გატანის სამუშაოები; სარაჯიშვილის ქ.#34-ში გრუნტის დამჭერი რკინაბეტონის კედლის მოწყობის, ძმ. კაკაბაძეების ქ.#48-ში და სარაჯიშვილის III ჩიხი #5-ში რკინაბეტონის კიბისა და კედლის მოწყობის, ძმ. ზუბალაშვილების ქ.#50-ში კედლის გაძლიერების და ჰიდროიზოლაციის მოწყობის, ძმ. კაკაბაძეების ქ.#27-ში დაზიანებული აგურის კედლის გამაგრებისა და ხოშტარიას ქ.#12-ში ღობის მოწყობის სამუშაოები; გ.რჩეულიშვილის III ჩიხში სანიაღვრე ქსელის მოწყობის; ს.ტაბახმელაში, ი.მაჩაბლის და ლაშა-გიორგის ქუჩებზე სანიაღვრე არხების მოწყობის; ს.შინდისში, ნ.ბარათაშვილის და ეკ.ჭავჭავაძის ქუჩების კვეთაზე და წინანაურის და გელაზის ქუჩებს შორის გამავალი სანიაღვრე კოლექტორის მოწყობის სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა; რუსთაველის გამზ. #36-ში საკანალიზაციო სისტემის რეკონსტრუქციის, ა.ერისთავ-ხოშტარიას ქ.#1-ში და ვ. გუნიას ქ.#20ბ-ში გრუნტის დამჭერი საყრდენი კედლების მოწყობის სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა; პ.ჩაიკოვსკის ქ.#10-სა და #12-ში და ვ. კოტეტიშვილის ქ.#20-ში მდებარე ავარიული სახლების გამაგრება-გაძლიერების სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა; ე.გაბაშვილის ქ.#6-ში და ვ. აბაშიძის ქ.#11-ში მდებარე ავარიული საცხოვრებელი სახლის მწვავედ ავარიული უბნების გამაგრებითი და კ.მაყაშვილის ქ.#1-ში ეზოში შესასვლელი არკისა და ჭიშკრის მოწყობის სამუშაოები; მთაწმინდის რაიონის ტერიტორიაზე მდებარე დაზიანებული თუჯის აქსესუარებიანი სკამების აღდგენის სამუშაოები; მთაწმინდის რაიონის ტერიტორიაზე ქუჩების მოვლა-შეკეთების სამუშაოები; გოგჩის ქ.#9-ში მდებარე დეფორმირებული საცხოვრებელი სახლის გამაგრების (წინმსწრებ-დამზღვევი ღონისძიებები) სამუშაოები; სტიქიის შედეგად დაზიანებული სახურავების აღდგენა-რეაბილიტაციის სამუშაოები; გრიბოედოვის ქ.#25/რუსთაველის გამზირი #36-ში კანალიზაციის ქსელის მოწყობის სამუშაოები; წავკისის ქ.#7-ში გრუნტის დამჭერი რკინაბეტონის კედლის მოწყობის სამუშაოები; წავკისში: ცხრა ძმა ხერხეულიძის, თინა წავკისელის, შინდისში: ეკ. ჭავჭავაძის, დაბა კიკეთში, დაბა

კოჯორში, იუნკერების, უძოს, დიდების ქუჩაზე, რუსთაველისა და აღმაშენებლის ქუჩაზე სანიაღვრე არხების მოწყობის სამუშაოები; კოჯორში უძოს ქ.N13-ში მდებარე შენობის მზიდი კედლის აღდგენა-გამაგრების სამუშაოები; დაბა კოჯორში, კოჯრის ბატალიონის შესასვლელთან მდებარე 1, შინდისში, წავკისის ჩასახვევთან და ავტოგასამართ სადგურთან მდებარე 2 და ტაბახმელაში მდებარე 4 მოსაცდელის რეაბილიტაციის სამუშაოები; კოჯრის ჩიხი #5-ში, ვ. ბერიძის ქ.#6-ში, ი. ნიკოლაძის ქ. N4-ში მდებარე ავარიული საცხოვრებელი სახლის მწვავედ ავარიული უბნების გამაგრებითი სამუშაოები; მ. ზიჩის ქ. #14-ში ლითონის ხვეული კიბის მოწყობის სამუშაოები; ლ. ასათიანის ქ.#29-ში მდებარე შენობის გადახურვისა და ივ. მაჩაბლის ქ.#15-ში მდებარე შენობის პარაპეტის აღდგენა-რეაბილიტაციის სამუშაოები; რაიონის ტერიტორიაზე ხეების ფორმირების, გადაბელვისა და მოჭრის მომსახურება; 2014 წლის „თბილისობის“ დღესასწაულის ფარგლებში ჩასატარებელი ღონისძიებების ტექნიკურ-ორგანიზაციული უზრუნველყოფა; ჟორდანიას ქ.N20-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის ავარიული ზონების გამაგრებითი სამუშაოები; კოსტავას ქ.N8 და N10-ის ეზოში სათავსოებისა და ავტოფარეხების მოწყობის სამუშაოები; სარაჯიშვილის ქ.N34-ში გრუნტის დამჭერი რკინაბეტონის კედლის, სარაჯიშვილის III ჩიხი N5-სა და ძმ. კაკაბაძეების ქ.N48-ში რკინაბეტონის კიბისა და კედლის მოწყობის სამუშაოები; პეტრიაშვილის ქ.N23-ში მდებარე შენობის სართულშუა გადახურვის აღდგენა-გამაგრების სამუშაოები; კერესელიძის ქ. N42-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის დამწვარი სახურავის აღდგენის სამუშაოები; მთაწმინდის რაიონში მცხოვრები 6 ოჯახის საცხოვრებლის გაზიფიცირების ღონისძიებებისთვის; ნ. ჟვანიას ქ.#12-ში მდებარე საცხოვრებელ სახლში ლიფტის მოწყობის პროექტის ექსპერტიზა; ლერმონტოვის ქ.#25-ში, ინგოროყვას ქ. #12-ში, ინგოროყვას ქ.#18-ში, ალ. ჭავჭავაძის I ჩიხი #1-ში, ნიკოლაძის ქ.#4-ში, მთაწმინდის ქ.#6-ში, მაჩაბლის ქ.#1-ში, კოსტავას ქ.#10-ში, კოსტავას ქ. #8-ში, იაშვილის ქ.N8ა და ქუთათელაძის ქ.N84/31 მდებარე შენობების დაზიანებული ზონების წინმსწრებ-დამზღვევი სამუშაოების ჩასატარებლად სანებართვო მოსაკრებელზე გაწეული ხარჯი; ამასთან, 24 ეკლესიას გაეწია ფინანსური დახმარება.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა - საცხოვრებელი სახლის გამაგრება-გადლიერების (წინმსწრებ-დამზღვევი ღონისძიებები), გრუნტის დამჭერი რკინა-ბეტონის კედლის მოწყობის, გაძლიერების და ჰიდროიზოლაციის მოწყობის სამუშაოები - 36 მისამართი; წყალსადენ - კანალიზაციისა და სანიაღვრე ქსელის რეაბილიტაცია - 21 მისამართზე; წყლის დასაღვეი ნიჟარების ექსპლუატაცია (მოვლა-შეკეთება) - 14 მისამართზე; მოსაცდელის რეაბილიტაციის სამუშაოები - 10 მისამართზე; მოსახლეობის გაუმჯობესებული საყოფაცხოვრებო პირობები - გაზიფიცირებით უზრუნველყოფილი სოციალურად დაუცველი 6 ოჯახი; 24 ეკლესიის ფინანსური დახმარება.

2.10 ქალაქის განვითარების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური

2014 წლის გეგმა 40,446.8 ათასი ლარი, დაფინანსდა 31,059.8 ათასი ლარით. რაც გეგმის 76.8%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: ქალაქის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება; დედაქალაქის ძველი და ისტორიული უბნების რეაბილიტაცია; ინფრასტრუქტურისა და გარემოს რეაბილიტაციის სტრატეგიის შემუშავება/განხორციელება, ქონების მართვისა და ეფექტური გამოყენების სტრატეგიის შემუშავებაში მონაწილეობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში სამუშაოები მიმდინარეობდა შემდეგ ობიექტებზე: კალაუბნის რეაბილიტაცია; მარჯანიშვილის ქ.#16-ში მდებარე შენობა-ნაგებობის რეაბილიტაცია; აბანოს უბნის, ბოტანიკურის მიმდებარედ, გორგასლისა და გოგირდის ქუჩებზე არსებული შენობა-ნაგებობების გამაგრებითი სამუშაოები; რიყის პარკის კეთილმოწყობის სამუშაოები; საკრებულოს შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები; რუსთაველის გამზირი #19-ში მდებარე თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის შენობის სარეკონსტრუქციო სამუშაოები; დიუმას ქ.#28-ისა და პუშკინის ქ.#19-ის შენობების მშენებლობა; თუმანიანის ქ.#3-ში მდებარე შენობა-ნაგებობის სარეაბილიტაციო სამუშაოები;

თუმანიანის ქ.#1-ში მდებარე შენობა-ნაგებობის სარეაბილიტაციო სამუშაოები; რუსთაველის ქ.#21-23-ში მდებარე შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები; ერეკლე II-ს მოდანი #6 და #7 რეაბილიტაცია; მაჩაბლის ქ.#17-ში მდებარე შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები; კალაუბნის კომუნიკაციების მოწყობა; საკრებულოს შენობისთვის ფარდებისა და საჭირო ავეჯის შესყიდვა; საკრებულოს შენობაში შშმ პირებისათვის ლიფტისა და პანდუსის მოწყობა; რუსთაველის გამზირი #23-ში მრავალბინიანი შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები; პუშკინის ქ.#9-25-ში მდებარე საცხოვრებელი სახლების სარეაბილიტაციო სამუშაოები; შემოერთებულ ტერიტორიებზე (შინდისი, ტაბახმელა) სანიაღვრე და წყალანირების სისტემის მოწყობა; ბეთლემის ქ.#10-ში მდებარე ავარიული საცხოვრებელი ბინის დემონტაჟი; რიყის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები (სანიაღვრე სისტემის მოწყობა, საბაგიროს ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოები); ჯორბენაძის ქუჩის სანიაღვრე და წყალანირების სისტემის მოწყობა; თბილისის ზღვაზე ველოტრეკის ბილიკების მოწყობა; თუმანიშვილის ქ.#1 და #3 დანგრეული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობა; კოლხური კოშკის მიმდებარედ გრუნტის დამჭერი კედლის გამაგრებითი სამუშაოები; ნ.გომელაურის სახელობის სკვერის მოწყობა; ბეთლემის, გომის და ჯვარედინის ქუჩებზე არსებული სახლების სარეაბილიტაციო სამუშაოები; ბოტანიკურის ქუჩაზე მდებარე სახლების სარეაბილიტაციო სამუშაოები; გუდიაშვილის მოედნის მიმდებარედ მიწისქვეშა კომუნიკაციების მოწყობა; აბესაძის ქ.#23/1 შენობის რეაბილიტაცია და მიმდებარედ არსებული კედლის გამაგრება; რეაბილიტირებულ უბნებში ელექტროსამონტაჟო სამუშაოები; საკრებულოს შენობაში ელექტრო სიმძლავრის შეყვანის ტექნიკური პირობის აღება; საკრებულოს შენობაში ლოკალური ქსელების სამონტაჟო სამუშაოები; საკრებულოს შენობაში ქსელის აქტიური მოწყობილობებისა და სერვერების შესყიდვა. ამასთან, მიმდინარე პერიოდისთვის გაწეულია შემდეგი სახის ხარჯები: „თბილისის განვითარების ფონდის“ ბენეფიციარების მიმართ არსებული დავალიანების დაფარვა; „თბილისის განვითარების ფონდის“ კომუნალური დავალიანებების გადახდა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: განხორციელდა 34 ობიექტის რეაბილიტაცია - ექსპლოატაცია; ქალაქგანვითარების პროექტებში მონაწილეობა.

2.13 წმინდა ასი ათასი ქართველი მოწამის სახელობის მეტეხის ხიდის გაფორმებითი ღონისძიებები

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური


2014 წლის გეგმა 11.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 10.7 ათასი ლარით. რაც გეგმის 97.3%-ია.

ქ.#17/ქიქოძის ქ.#6, ლერმონტოვის ქ.#24/19, ლერმონტოვის ქ.#25, მაჩაბლის ქ. #6, მაჭავარიანის ქ.#16/29, პეტრიაშვილის ქ.#13, ქიაჩელის ქ. #21, ქიქოძის ქ.#7/20, ქიქოძის ქ.#12, ქიქოძის ქ.#15/13, ღამბაშიძის ქ.#3 I და II სადარბაზო, რჩეულიშვილის ქ.#6, რუსთაველის გამზ. #38, სანაპიროს ქ.#2 II სადარბაზო, სანაპიროს ქ.#2ა I, II, III სადარბაზო, შანიძის ქ.#25, შარაშიძის ქ.#10, შიო მღვიმელის ქ.#7, სულხან/საბას ქ.#1/5, ტაბიძის ქ.#3/5 V, VI, VII, VIII სადარბაზო, ტატიშვილის ჩიხი #4, ალ. ჭავჭავაძის ქ.#8/33, ჭიაურელის ქ.#16 I და II სადარბაზო, ზიჩის ქ.#14; ფურცელაძის ქ.#16 II სადარბაზო, ლარსის შეს. #7, ახვლედიანის ქ.#20, თაბუკაშვილის შეს. #3, ჭიაურელის ქ.#19, ლერმონტოვის ქ.#21, ახვლედიანის ქ.#13 II სადარბაზო, რჩეულიშვილის ქ.#8, მესხიას ქ.#1ა II სადარბაზო, მესხიას ქ.#1ა, ახვლედიანის ქ.#13 I სადარბაზო, ანჯაფარიძის ქ.#6, ანჯაფარიძის ქ.#3, ბერიძის ქ.#9, ასათიანის ქ.#66, მაყაშვილის ქ.#6/ ბარნოვის ქ.#17 I სადარბაზო, ახვლედიანის ქ.#14, მუსხელიშვილის ჩიხი 3, ალ. ჭავჭავაძის შეს.#5, ლარსის შეს.#4, ჩიტაძის ქ.#9/ ნიაღვრის ქ.#4ა, სანაპიროს ქ.#2, პეტრიაშვილის ქ.#20, ყაზბეგის ქ.#30, კოსტავას ქ.#24, სანაპიროს ქ.#2ა, ს.მესხის ქ.#3, ანჯაფარიძის ქ.#5, შანიჭის ქ.#8, თარხნიშვილის ქ.#25, მაჩაბლის ქ.#4 (213 მისამართი); სადარბაზოს თაღის რემონტი: ლ. ასათიანის ქ.#48, კოტეტიშვილის ქ.#20, ამაღლების ქ.#7, რუსთაველის გამზ. #50, ათონელის ქ.#20, ახვლედიანის ქ.#25/ნიკოლაძის ქ.#2, კოსტავას ქ.#3, კოსტავას ქ.#5, ასათიანის ქ.#29, ბარნოვის ქ.#26, ასათიანის ქ.#46, გოგებაშვილის ქ.#1, გრიბოედოვის ქ.#20 I, II, III სადარბაზო, იაშვილის ქ.#16, სარაჯიშვილის ქ.#20, ათონელის ქ.#18, კობახიძის ქ.#3, რუსთაველის გამზ. N32, ქიქოძის ქ.#15/13; ახვლედიანის ქ.# 13; ახვლედიანის ქ.# 14; სარაჯიშვილის ქ.#16, სანაპიროს ქ.#2 II სადარბაზო (25 მისამართი); სენსორული ნათების მონტაჟი: ხომტარიას ქ.#1, ჭოველიძის ქ.#21 I,II,III სადარბაზოები, თარხნიშვილის ქ.#11, თარხნიშვილის ქ.#16, პეტრიაშვილის ქ.#22 I და II სადარბაზო, ქუჩიშვილის ქ.#12, ბერიძის ქ.#5, კოსტავას ქ.#35, ათონელის ქ.#21, ამაღლების ქ. #4/6, ლარსის ქ.#1 I, II სადარბაზო, ლეონიძის ქ.#7, ასათიანის ქ.#44, კოსტავას ქ.#11, თავისუფლების მოედანი N4ა, ბარნოვის ქ.#67, ბარნოვის ქ.#67 II სადარბაზო, მელიქიშვილის ქ.#8/2, სანაპიროს ქ.#2 I და II სადარბაზო, ფურცელაძის ქ.#12, ნიკოლაძის ქ.#1 II სადარბაზო, ნიკოლაძის ქ.#6, კოსტავას ქ.#12, ბაქრაძის 11 II სადარბაზო, ასათიანის ქ.#38 II სადარბაზო, ასათიანის ქ.#38 I სადარბაზო, მელიქიშვილის ქ.#8/2 II,III


სადარბაზოები, ბარნოვის ქ.#70, ნიკოლაძის ქ.#1 I სადარბაზო, ბაქრაძის ქ.#11 I სადარბაზო, ლალიძის ქ.#3, ნიაღვრის ქ.#4 / ჩიტაძის ქ.#9ა, ზანდუკელის ქ.#32, ზალდასტანიშვილის შეს. N4, ამაღლების ქ.#25, ბესიკის ქ.#16/22, ჟვანიას ქ.#4, ზანდუკელის ქ.#15, ანჯაფარიძის ქ.#6, მაჩაბლის ქ.#4ა, ქიქოძის ქ.#10, რჩეულიშვილის ქ.#32ბ I და II სადარბაზოები, ასათიანის ქ.#29 I და II სადარბაზოები, ლარსის ქ.#2, ლარსის ქ.#3 I და II სადარბაზოები, კოსტავას ქ.#8 I სადარბაზო, ტაბიძის ქ.#21, მესხის ქ.#11, ათონელის ქ.#23 (57 მისამართი); წყალკანალიზაციის შეკეთების სამუშაოები: თაბუკაშვილის ქ. #31-ში, ბერიძის ქ. #2, მაჩაბლის ქ.#3, უკრაინკას ქ.#3, ნიაღვრის ქ.#7-ში, ჭანტურიას ქ.#5-ში, კეკელიძის ქ.#14-ში, ლერმონტოვის ქ.#21-ში, ფურცელაძის ქ.#15-ში; ათონელის ქ.#18; ამაღლების ქ.#18 (11მისამართი); წყალსაწრეტი მიწები შეკეთდა შემდეგ მისამართებზე: მეფუტკრეობის დასახლება კოტეჯი #1, ლარსის ქ.#3, სანაპიროს ქ.#2ა, ქიქოძის ქ.#6, ათონელის ქ.#6, კოსტავას ქ.#54, კაკაბაძეების ქ.#27 I და II სადარბაზოები, ლარსის შეს. #4, ღამბაშიძის ქ.#3(10 მისამართი); ამხანაგობის კუთვნილი მიმდებარე ტერიტორიის დაფიქსირება (წითელ ზოლებში მოქცევა) - კეკელიძის ქ.#8, გრიბოედოვის ქ.#23, კაკაბაძეების ქ.#27 (3 მისამართი).

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: ამხანაგობების მოთხოვნით განხორციელებული ღონისძიებების რაოდენობა - ლიფტების შეკეთება და რეაბილიტაცია - 6 მისამართი; შენობების გამაგრება - 16 მისამართი; გამაგრების სამუშაოების ექსპერტიზა და საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა - 30 მისამართი; საერთო სარგებლობის ჭიშკრის და სადარბაზოს მეტალის კარების მონტაჟი - 27 მისამართი; ბრტყელი და ქანობიანი სახურავის შეკეთება - 19995 კვ.მ; სადარბაზოს და სადარბაზოს თაღის რემონტი - 238 მისამართი; აივნის და კიბეების შეკეთება - 14 მისამართი; დომოფონის დამონტაჟება - 6 მისამართი; წყალკანალიზაციის და წყალსაწრეტი მიწების შეკეთება - 21 მისამართი; სენსორული ნათების მონტაჟი - 57 მისამართი.




❖ **ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**


ათასი ლარი



ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის
პროგრამების 2012-2014 წწ შესრულების დინამიკა



ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის
პრიორიტეტის პროგრამების პროცენტული დაფინანსება



6.1 ჯანმრთელობის დაცვა დაფინანსებულია 23,568.3 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 24,074.9 ათასი ლარის 97.9%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:


6.1.1 სასწრაფო სამედიცინო დახმარება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: სსიპ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი

2014 წელს ბიუჯეტით გამოყოფილმა ასიგნებებმა შეადგინა 22,219.4 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ 21,724.8 ათასი ლარი, გეგმიური მაჩვენებლის 97.8% და 2013 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 3,455.2 ათასი ლარით ნაკლებია, რაც გამოწვეულია არაფინანსური აქტივების შემცირებით (წინა წელს შეძენილ იქნა მანქანები). გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო

შესრულებამ შეადგინა 92.4%, ხოლო „არაფინანსური აქტივების“ შესრულებამ - 5.4%.

(ათასი ლარი)



დასახული შუალედური შედეგები: მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის მომსახურება წინა წლებთან შედარებით გახდა უფრო ხარისხიანი, გაზრდილი გამოძახებების ფონზე ხდება მაქსიმალურად დატვირთულ და ოპერატიულ რეჟიმში მუშაობა. საანგარიშო პერიოდში გაწეულია: შრომის ანაზღაურების ხარჯები, წამლების და სამედიცინო მასალების, სხვადასხვა საოფისე აპარატურის, 13 ახალი სანიტარული ავტომობილის, საკანცელარიო საქონელის და საწვავის შეძენის, ავტოტექნომსახურების, კომუნალური, კავშირგაბმულობის და სხვა ხარჯები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის ეფექტური ფუნქციონირება 24 საათი; პაციენტისთვის დროული, ადეკვატური და მაღალკვალიფიციური სასწრაფო სამედიცინო მომსახურების მიწოდება; პრეჰოსპიტალურ ეტაპზე გადაუდებელი მართვისას გართულებებისა და ლეტალური გამოსავლის შემცირება; 2014 წელს გამოძახებათა რაოდენობამ შეადგინა 588 190, წინა წელთან შედარებით 69 808-ით მეტი (2013 წლის მონაცემები - 518 382).

6.1.2 სარძევე ჯირკვლის, საშვილოსნოს ყელის და წინამდებარე ჯირკვლის ავთვისებიანი სიმსივნეების სკრინინგი (გაეროს ფონდის თანადაფინანსება)

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურებისა საქალაქო სამსახური

2014 წლის გეგმა 1,200.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: დაავადების გავრცელების შემცირება და პრევენცია, ონკოლოგიური დაავადებების გვიანი დიაგნოსტიკების შემცირება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსებულია კიბოს ადრეული გამოვლენის მიზნით, ქვეყნის მოსახლეობაში შემდეგი სახის სკრინინგული გამოკვლევები: ძუძუს კიბოს სკრინინგი 40-70 წლის ასაკის ქალებში, საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი 25-60 წლის ასაკის ქალებში, პროსტატის კიბოს სკრინინგი 50-70 წლის ასაკის მამაკაცებში, კოლორექტალური კიბოს სკრინინგი 50-70 წლის ორივე სქესისათვის; ამბულატორიული ქირურგიის დაფინანსება: ა) ძუძუს კიბოსწინარე დაავადებების ამბულატორიული ქირურგია 40-70 წლის ჩათვლის ასაკის ქალებში, ბ) გინეკოლოგიური ამბულატორიული ქირურგია 25-60 წლის ჩათვლით ასაკის ქალებში, გ) კანის კიბოსწინარე დაავადებების ამბულატორიული ქირურგია ორივე სქესის ყველა ასაკობრივ ჯგუფში; ონკოლოგიურ დაავადებათა ადრეული გამოვლენის მიზნით ჩატარდა სხვადასხვა სახის კვლევები: ძუძუს კიბოს გამოვლენა, საშვილოსნოს ყელის კიბოს გამოვლენა, პროსტატის კიბოს გამოვლენა, კოლორექტალური კიბოს გამოვლენა.

შეფასების ინდიკატორები: სკრინინგში მონაწილეობა მიიღო 39328 ბენეფიციარმა. მათ შორის: ძუძუს კიბოს სკრინინგი, მამოგრაფია 17180 ბენეფიციარი; საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი, Pap-ტესტირება 16169 ბენეფიციარი; პროსტატის კიბოს სკრინინგი 4449 ბენეფიციარი; კოლორექტალური კიბოს სკრინინგი, FOBT-ტესტი 1116 ბენეფიციარი; კოლონოსკოპიური სკრინინგი 92 ბენეფიციარი; ამბულატორიული ქირურგია 322 ბენეფიციარი.

6.1.3 გადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლი

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურებისა საქალაქო სამსახური

2014 წლის გეგმა 400.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: დაავადებათა გავრცელების შემცირება, მართვადი ინფექციების გავრცელების შეზღუდვა, ეპიდემიოლოგიური უსაფრთხოებისა და მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება; ინფექციურ დაავადებათა აღრიცხვა - დარეგისტრირება აქტიური და პასიური ეპიდზედამხედველობის საშუალებით, ეპიდაფეთქებისა და ეპიდემიების თავიდან აცილება, ზოგიერთი დაავადების ელმინაციისათვის ბრძოლა, დაავადებათა კერებში გასატარებელი კონტროლის ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: გადამდებ დაავადებათა (მ.შ. ინფექციური და პარაზიტული) აქტიური და პასიური ეპიდზედამხედველობა და კონტროლი, ხოლო აღმოცენების შემთხვევაში მათი დროული გამოვლენა, იდენტიფიკაცია, ეპიდემიოლოგიური შესწავლა; დაავადებულთან კონტაქტში მყოფი რისკის ჯგუფის კონტიგენტის გამოვლენა და მათი პრევენციულ მკურნალობაში, შესაბამისი ლაბორატორიული ტესტირება, საჭიროების შემთხვევაში დეზინფექცია-დეზინსექცია; იმუნიზაციის განხორციელების ხელშეწყობა; ინფექციების გავრცელების შეზღუდვის ღონისძიებების განხორციელება; სამედიცინო საგანმანათლებლო საქმიანობა, გადამდებ დაავადებათა შესახებ საინფორმაციო სისტემის მონაცემთა ბაზის შექმნა, დაავადებათა მოკლე და გრძელვადიანი პროგნოზირება და შედეგების შესახებ ინფორმაციის მიწოდება შესაბამისი ორგანოებისათვის, რეკომენდაციების მიცემა სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელთათვის დედაქალაქის მაშტაბით; ქალაქის მაშტაბით იმუნიზაციის განხორციელების ხელშეწყობა, აცრების დაგეგმვა, ვაქცინებისა და შპრიცების განაწილება, კალენდარულ აცრებში დაინერგა პნევმოკოკური ვაქცინა. „კარვების ქალაქისა“ და ხანდაზმულთა პანსიონის მცხოვრებლებს ჩაუტარდათ

ბაქტერიოლოგიური ლაბორატორიული კვლევები. ასევე, ჩატარებულია ლეიშმანიოზის კერის (კიკვიძის პარკი) დეზინსექცია, წყაროს მოსპობის თვალსაზრისით; განხორციელდა წითელასა და ასევე, წითურას თითოეული შემთხვევის ეპიდზედამხედველობა და კერაში კონტროლის ღონისძიებების გატარება, კერძოდ, 14 წლამდე ასაკის აუცრელი, ან არასრულად აცრილი კონტინგენტის ვაქცინაცია, წითელათი დაავადებულთან კონტაქში მყოფი პირების, რისკის ჯგუფის კონტინგენტის (სამედიცინო პერსონალი), 14 წლის ასაკის ბავშვთა სრული კონტინგენტის ერთჯერადი ვაქცინაცია, აცრის სტატუსის მიუხედავად და სხვა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: აქტიური/პასიური ეპიდზედამხედველობის ფარგლებში აღირიცხულია სხვადასხვა ნოზოლოგიების დასახელების 16143 შემთხვევათა რაოდენობა; რეგისტრირებულია გრიპის 65 841 შემთხვევა, მ.შ. ამბულატორიული-62729, ჰოსპიტალური-3112; ჩატარდა წითელა-წითურა-ყბაყურის ვაქცინით 14 წლამდე ასაკის აუცრელი, ან არასრულად აცრილი 8371 კონტინგენტის ვაქცინაცია; გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაციით აცრილთა რაოდენობა შეადგენს 1855-ს; ვირუსული მენინგიტების მაჩვენებლების შემცირება; შესწავლილია ყველა სასწრაფო შეტყობინებას დაქვემდებარებული დაავადება, გამოკვლეულია ყველა კერა, გატარებულია ყველა საჭირო ეპიდღონისძიება.

6.1.9 ნარკომანიის ჩანაცვლებითი თერაპია

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურებისა საქალაქო სამსახური

2014 წლის გეგმა 255.5 ათასი ლარი, დაფინანსდა 243.6 ათასი ლარით, რაც გეგმის 95.3%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: ნარკომანიით დაავადებულ პირთა ჯანმრთელობისა და ფსიქოსოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსებულია

ნარკომანიით დაავადებულ პირთა (264) ჩანაცვლებითი თერაპიით მკურნალობის ხარჯები.

მიღწეული შუალედური შეფასების ინდიკატორები: ბენეფიციართა რაოდენობა - იანვარი-აპრილი - 150, მაისი - დეკემბერი - 264.

6.2 სოციალური დაცვა დაფინანსებულია 160,552.2 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 168,341.9 ათასი ლარის 95.4%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

6.2.1 კომუნალური ვაუჩერი

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურებისა საქალაქო სამსახური

2014 წლის გეგმა 45,131.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 45,130.1 ათასი ლარით, რაც გეგმის 100%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: სოციალურად დაუცველი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში თანადაფინანსების სახით 400000-მდე აბონენტს წლის მანძილზე 5-ჯერადად აუნაზღაურდა კომუნალური ვაუჩერის (ელ.ენერგია, დასუფთავება და წყალი) ხარჯები. ასევე, სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის 3 - ჯერადად განხორციელდა კომუნალური დახმარების თანხის ჩარიცხვა: აპრილის თვეში 38288 ოჯახს (თითოეულს 50 ლარის ოდენობით) ჩაერიცხა 1,941.4 ათასი ლარი, აგვისტოს თვეში 37409 ოჯახს - 1,870.0 ათასი ლარი, დეკემბრის თვეში 37680 ოჯახს - 1,884.0 ათასი ლარი.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: ქვეპროგრამით ისარგებლა სოციალურად დაუცველ 38288 ოჯახმა; სოციალურად დაუცველი და სხვა კატეგორიის 400000-მდე აბონენტმა.

6.2.2 სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

2014 წლის გეგმა 3,511.2 ათასი ლარი, დაფინანსდა 3,510.8 ათასი ლარით, რაც გეგმის 100%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ყოველთვიური მატერიალური დახმარება 25 ლარის ოდენობით გაიცა სოციალურად დაუცველი 3337 მრავალშვილიანი ოჯახის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: სერვისის მიმღები 3337 მრავალშვილიანი ოჯახი.

6.2.3 სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის მე-3, მე-4, მე-5 და მეტი შვილის დაბადებისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების „ახალშობილთა“ დახმარება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

2014 წლის გეგმა 251.8 ათასი ლარი, დაფინანსდა 245.5 ათასი ლარით, რაც გეგმის 97.5%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: მრავალშვილიანი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება; დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დახმარება გაეწია სოციალურად დაუცველ 302 ოჯახს, რომელთაც შეეძინათ მე-3 და მეტი შვილი.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: დახმარება გაეწია სოციალურად დაუცველ 302 ოჯახს.

6.2.4 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოზარდთა საკურორტო-სამკურნალო რეაბილიტაცია და თბილისში რეგისტრირებული ბავშვებისათვის საზაფხულო კულტურულ-გამაჯანსაღებელი ბანაკების მოწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

2014 წლის გეგმა 1,276.9 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოზარდთა და სოციალურად დაუცველი ოჯახების ბავშვთა საკურორტო-სამკურნალო მომსახურების ხელმისაწვდომობა და საზოგადოებაში ინტეგრაცია.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში მთისა და ზღვის კურორტების საგზურებით უზრუნველყოფილ იქნა 20 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოზარდები და მათი გამყოლები (1530 საგზური), ხოლო საზაფხულო ბანაკების საგზურებით უზრუნველყოფილ იქნა 2991 ქ.თბილისში რეგისტრირებული 10-15 წლამდე მოზარდი.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: სერვისით მოსარგებლე 4521 ბენეფიციარი.

6.2.5 100 წელს მიღწეულ მოქალაქეთათვის ერთჯერადი დახმარება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

2014 წლის გეგმა 16.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 13.0 ათასი ლარით, რაც გეგმის 81.3%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: ხანდაზმულ მოქალაქეთა დახმარება, ყურადღებისა და თანადგომის გამოხატვა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ერთჯერადი მატერიალური დახმარება გაეწია 100 წელს მიღწეულ ხანდაზმულს 400 ლარის ოდენობით (დახმარება გაეწია 22 ხანდაზმულს) და ასევე სოციალურად დაუცველი 100 წელს მიღწეული ხანდაზმულთა ოჯახებისათვის (ოჯახის სარეიტინგო ქულა 70000 და დაბალი) - 600 ლარის ოდენობით (დახმარება გაეწია 7 ხანდაზმულს).

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: 100 წელს მიღწეული 29 ხანდაზმული.

6.2.6 სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სერვისების მიწოდება



განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

2014 წლის გეგმა 3,350.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 3,200.4 ათასი ლარით, რაც გეგმის 95.5%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: სოციალურად დაუცველთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება;

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდა შემდეგი სერვისები: „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში” 70 000 და ნაკლები სარეიტინგო ქულით დარეგისტრირებული ოჯახის წევრ 1333 სტუდენტს გაეწია თანადაფინანსება (წლის განმავლობაში ორჯერ) სახელმწიფოს მიერ ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლების სემესტრული ღირებულების შესაბამისად 50%-ის ოდენობით. ამავე კატეგორიის ოჯახების 18 წლამდე ასაკის 1300 მოზარდს ყოველთვიურად (გარდა ივლისი-აგვისტოსი) დაუფინანსდა სპორტის სხვადასხვა წრეებში სწავლების ღირებულება; განხორციელდა უფასო სწავლების დაფინანსება ხელოვნების სკოლებში (ყოველთვიურად ბავშვთა რაოდენობა მერყეობდა 2300-დან 2500-მდე), მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლებში (საშუალოდ 1700 მოსწავლე ყოველთვიურად); აგრეთვე, გაწეულია ხარჯები სამგზავრო ბარათების ინიციალიზაციაზე, ბარათების გაცემის (გაცემულია 80 000 – მდე სამგზავრო ბარათი) და სერვის ცენტრებში მომუშავე შტატგარეშე თანამშრომელთა შრომის ანაზღაურებაზე.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: სერვისით მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა - 1333 სტუდენტი; 5500 -მდე მოზარდი;



6.2.7 სოციალურად დაუცველი და უპატრონო მიცვალებულთა დაკრძალვის დაფინანსება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

2014 წლის გეგმა 330.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 319.5 ათასი ლარით, რაც გეგმის 96.8%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: სოციალურად დაუცველი და უპატრონო მიცვალებულების დაკრძალვის სარიტუალო მომსახურება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია 58

უპატრონო და 1354 სოციალურად დაუცველი მიცვალებულის სარიტუალო მომსახურების ხარჯები.

6.2.8 ყრუ ინვალიდთათვის თარჯიმან-დაქტოლოგების მომსახურებით უზრუნველყოფა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

2014 წლის გეგმა 18.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: ყრუ და სმენადაქვეითებულ ინვალიდთა სოციალური რეაბილიტაცია და ინტეგრაცია საზოგადოებაში.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ხარჯები გაწეულია ქ.თბილისში მცხოვრები 2000 ყრუ ინვალიდისათვის 4 ქესტური ენის თარჯიმნისა და დამატებით 2 სოციალური მუშაკის მომსახურების დაფინანსებაზე.

6.2.9 სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

2014 წლის გეგმა 20,850.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 16,553.2 ათასი ლარით, რაც გეგმის 79.4%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში მყოფი მოსახლეობის გაუმჯობესებული მდგომარეობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა უმწეო და გაჭირვებულ მდგომარეობაში მყოფი 25134 მოქალაქის სოციალური დახმარება (მკურნალობა, მედიკამენტები, გამოკვლევა), ა(ა)იპ „საქართველოს სამართლებრივი კავშირის“ – მარტოხელა პენსიონერთა და ვეტერანთა „მობილური ზრუნვის“ პროექტით გათვალისწინებული მომსახურება (44 ბენეფიციარზე), „საქართველოს კარიტასის“ პროექტი, რომელიც ითვალისწინებს სოციალურად დაუცველი საწოლსმიჯაჭვული 255 პაციენტის შინმოვლას, პროექტი „სოციალური პარტნიორობა“- 315 ბენეფიციარის შინმოვლას, „დიაკვნის ევანგელიურ-

ლუთერული საზოგადოება საქართველოში"-ს მიერ განხორციელდა 54 ბენეფიციარზე შინმოვლის სერვისი, „ვოლდ ვიჟენ საქართველოს“ პროექტში „სოციალურად დაუცველი ბავშვებისათვის (3 წლამდე) დღის ცენტრის განვითარება“ ფარგლებში (25 სოციალურად დაუცველი ოჯახის 3 წლამდე ბავშვი) და სხვა სოციალური პროექტები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: დახმარება გაეწია 25134 მოქალაქეს; 668 შინმოვლის საჭიროების მქონე პაციენტს; 25 სოციალურად დაუცველი 3 წლამდე ბავშვს.

6.2.10 ომის ვეტერანების დახმარება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურებისა საქალაქო სამსახური

2014 წლის გეგმა 340.8 ათასი ლარი, დაფინანსდა 340.4 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.9%.

დასახული შუალედური შედეგები: ვეტერანების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ფაშიზმზე გამარჯვების 69-ე წლისთავის აღსანიშნავი ღონისძიებების ფარგლებში ერჯერადი ფულადი დახმარება გაეწია ქ.თბილისში რეგისტრირებული მეორე მსოფლიო ომის მონაწილეს (727 ვეტერანი), თითოეულს 400 ლარის ოდენობით, ომში დაღუპულთა მარჩენალდაკარგულებს (116 მარჩენალდაკარგული პირი), თითოეულს 200 ლარის ოდენობით; ასევე დახმარება გაეწია ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა თბილისის საქალაქო და რაიონული კავშირების 14 ვეტერანს.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: დახმარება გაეწია 858 ვეტერანს.

6.2.11 საქალაქო საავტობუსო ტრანსპორტით, მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) და საბაგირო გზით საქალაქო რეგულარული

სამგზავრო გადაყვანისას უფასო და შეღავათიანი ტარიფით მოსარგებლე პირთა მომსახურება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ტრანსპორტის საქალაქო სამსახური

2014 წლის გეგმა 61,900.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 61,710.4 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.7%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო), M3 და კატეგორიის ავტობუსებით და საბაგირო გზით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას უფასო და შეღავათიანი მგზავრობის ტარიფით მოსარგებლე პირთა გაუმჯობესებული სოციალური მდგომარეობა. M2 კატეგორიის ავტობუსით, სადაც მგზავრობის ფასის გადახდა ხორციელდება ელექტრონული აღმრიცხველი საშუალებების გამოყენებით, შეღავათიანი ტარიფით მოსარგებლე პირთა გაუმჯობესებული სოციალური მდგომარეობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო), M3 კატეგორიის ავტობუსებით და საბაგირო გზით გადაყვანილია სულ უფასო და შეღავათიანი ტარიფით 139 165 081 მგზავრი, მათ შორის: უფასოდ - 30 555 126 მგზავრი, შეღავათიანი ტარიფით - 57 012 422 მგზავრი და 90 წუთის განმავლობაში მეორე და შემდეგი უფასო მგზავრობისას - 51 597 533 მგზავრი. უფასო და შეღავათიანი ტარიფით მოსარგებლე პირთა მომსახურებისათვის მგზავრთა გადამყვანი შპს „სატრანსპორტო კომპანია“ ქ.თბილისის ბიუჯეტიდან დაფინანსებულია 59 286,9 ათასი ლარით, მათ შორის: მეტოპოლიტენით უფასო და შეღავათიანი ტარიფით მგზავრთა გადაყვანა - 23 330,5 ათასი ლარით, ავტობუსებით - 35 765,7 ათასი ლარით და საბაგირო გზით (რიყე-ნარიყალა) მგზავრთა გადაყვანა - 190,7 ათასი ლარით.

M2 კატეგორიის ავტობუსებით, სადაც მგზავრობის ფასის გადახდა ხორციელდება ელექტრონული აღმრიცხველი საშუალებების გამოყენებით, მგზავრობის ტარიფის 50%-ანი ფასდაკლებით გადაყვანილია 8 193 304 მგზავრი. ქ.თბილისის ბიუჯეტიდან დაფინანსებულია მგზავრთა გადამყვანები: შპს „თბილ

ლაინი“ -1 157,3 ათასი ლარით, შპს „კაპიტალ გრუპი“- 295,9 ათასი ლარით, შპს „თბილ ქარი“ 353,1 ათასი ლარით, შპს „ვაზლიქ-ქარი“ 710,5 ათასი ლარით, სულ 2 423,5 ათასი ლარით.

სულ საანგარიშო პერიოდში გადაყვანილია უფასო და შეღავათიანი ტარიფით 147 358 385 მგზავრი, ქ. თბილისის ბიუჯეტიდან უფასო და შეღავათიანი ტარიფით მგზავრთა გადაყვანის მომსახურება დაფინანსებულია 61 710,4 ათასი ლარით.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტროთი), უფასო და შეღავათიანი მგზავრობის ტარიფით გადაყვანილია 55 073 081 მგზავრი; M3 კატეგორიის ატობუსებით, უფასო და შეღავათიანი მგზავრობის ტარიფით გადაყვანილია 83 869 182 მგზავრი; საბაგირო გზით, უფასო და შეღავათიანი მგზავრობის ტარიფით, გადაყვანილია 222 818 მგზავრი; M2 კატეგორიის ავტობუსებით, სადაც მგზავრობის ფასის გადახდა ხორციელდება ელექტრონული აღმრიცხველი საშუალებების გამოყენებით, შეღავათიანი ტარიფით გადაყვანილია 8 193 304 მგზავრი.

6.2.12 „სოციალური საცხოვრისი კეთილგანწყობილ გარემოში“

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

2014 წლის გეგმა 40.6 ათასი ლარი, დაფინანსდა 35.7 ათასი ლარით, რაც გეგმის 87.9%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: მიუსაფარი ოჯახების დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდა არსებული „სოციალური სახლის“ მომსახურეთა ხელფასი, სოციალურ მუშაკთა სამუშაო ოთახის კომუნალური გადასახადები (სატელეფონო ხარჯი და დასუფთავების გადასახადი) და განხორციელდა სოციალური სახლების მაცხოვრებელთა კომუნალური გადასახადების თანაგადახდა სოციალური მუშაკების მიერ წარმოდგენილი ქვითრების შესაბამისად.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: სოციალური სახლების მაცხოვრებელთა კომუნალური გადასახადების თანაგადახდის ნაწილის დროული ანაზღაურება.

6.2.13 მარტოხელა ხანდაზმულთა დღის ცენტრის ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური


2014 წლის გეგმა 10.4 ათასი ლარი, დაფინანსდა 8.3 ათასი ლარით, რაც გეგმის 79.8%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: მარტოხელა ხანდაზმულთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება.


საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსებულია კომუნალური ხარჯები და დღის ცენტრის თანამშრომლის ხელფასი (დარეგისტრირებულია 160 ბენეფიციარი, ყოველდღიურად მომსახურებას იღებს 40-50 ბენეფიციარი).

6.2.14 უფასო სასადილოებით მომსახურება დაფინანსებულია 9.698.4 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 10,495.6 ათასი ლარის 92.4%-ი). თბილისში ფუნქციონირებს 62 უფასო სასადილო, რომელიც ემსახურება 27745 ბენეფიციარს.

(ათასი ლარი)



შენიშვნა: უფასო სასადილოების მომსახურების ასანაზღაურებელი თანხების ნაწილი გადარიცხულია აპრილში.



6.2.14.6 უფასო სასაქონლოებით მომსახურება გლდანის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: გლდანის რაიონის გამგეობა

2014 წლის გეგმა 1,850.4 ათასი ლარი, დაფინანსდა 1,692.4 ათასი ლარით, რაც გეგმის 91.5%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: უმწეო მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: რაიონში ფუნქციონირებს 8 უფასო სასაქონლო, სადაც ყოველდღიურად იკვებება 4380 ბენეფიციარი.

6.2.14.7 უფასო სასაქონლოებით მომსახურება ნაძალადევის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ნაძალადევის რაიონის გამგეობა

2014 წლის გეგმა 2,251.1 ათასი ლარი, დაფინანსდა 2,058.9 ათასი ლარით, რაც გეგმის 91.5%.

დასახული შუალედური შედეგები: უმწეო მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: რაიონში ფუნქციონირებს 10 უფასო სასაქონლო, სადაც ყოველდღიურად იკვებება 5399 ბენეფიციარი.

6.2.14.8 უფასო სასაქონლოებით მომსახურება დიდუბის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: დიდუბის რაიონის გამგეობა

2014 წლის გეგმა 557.1 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: უმწეო მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: რაიონში ფუნქციონირებს 2 უფასო სასადილო, სადაც ყოველდღიურად იკვებება 1300 ბენეფიციარი.

6.2.14.9 მოსახლეობის უფასო სასადილოებით მომსახურება ჩუღურეთის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჩუღურეთის რაიონის გამგეობა

2014 წლის გეგმა 869.1 ათასი ლარი, დაფინანსდა 788.0 ათასი ლარით, რაც გეგმის 90.7%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: უმწეო მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: რაიონში ფუნქციონირებს 5 უფასო სასადილო. რომელიც ემსახურება სოციალურად დაუცველ 2597 ბენეფიციარს.

6.2.14.10 მოსახლეობის უფასო სასადილოებით მომსახურება ვაკის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ვაკის რაიონის გამგეობა

2014 წლის გეგმა 501.8 ათასი ლარი, დაფინანსდა 458.8 ათასი ლარით, რაც გეგმის 91.4%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: უმწეო მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: რაიონში ფუნქციონირებს 3 უფასო სასადილო, სადაც საანგარიშო პერიოდში ყოველდღე იკვებებოდა 1200 ბენეფიციარი.

6.2.14.11 მოსახლეობის უფასო სასადილოებით მომსახურება საბურთალოს რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: საბურთალოს რაიონის გამგეობა

2014 წლის გეგმა 544.5 ათასი ლარი, დაფინანსდა 498.3 ათასი ლარით, რაც გეგმის 91.5%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: უმწეო მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: რაიონში ფუნქციონირებს 4 უფასო სასადილო, სადაც ყოველდღე იკვებება 1380 ბენეფიციარი.

6.2.14.12 უფასო სასადილოებით მომსახურება ისნის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ისნის რაიონის გამგეობა

2014 წლის გეგმა 1,071.8 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: უმწეო მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: რაიონში ფუნქციონირებს 6 უფასო სასადილო, რომელიც ემსახურება სოციალურად დაუცველ 2760 ბენეფიციარს.

6.2.14.13 უფასო სასადილოებით მომსახურება სამგორის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: სამგორის რაიონის გამგეობა

2014 წლის გეგმა 1,182.9 ათასი ლარი დაფინანსდა 1,062.8 ათასი ლარით, რაც გეგმის 89.8%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: უმწეო მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: რაიონში ფუნქციონირებს 10 უფასო სასადილო, რომელიც ემსახურება სოციალურად დაუცველ 3949 ბენეფიციარს.

6.2.14.14 მოსახლეობის უფასო სასადილოებით მომსახურება კრწანისის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კრწანისის რაიონის გამგეობა

2014 წლის გეგმა 645.4 ათასი ლარი, დაფინანსდა 583.0 ათასი ლარით, რაც გეგმის 90.3%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: უმწეო მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: რაიონში ფუნქციონირებს 9 უფასო სასადილო, რომელიც ემსახურება 2380 ბენეფიციარს.

6.2.14.15 უფასო სასადილოებით მომსახურება მთაწმინდის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: მთაწმინდის რაიონის გამგეობა

2014 წლის გეგმა 1,021.4 ათასი ლარი, დაფინანსდა 927.5 ათასი ლარით, რაც გეგმის 90.8%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: უმწეო მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: რაიონში ფუნქციონირებს 5 უფასო სასადილო, სადაც ყოველდღიურად იკვებება 2400 ბენეფიციარი.

6.2.15 გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო ღონისძიებები დაფინანსებულია 90.0 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 113,4 ათასი ლარის 79.4%) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

6.2.15.7 გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო ღონისძიებები გლდანის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: გლდანის რაიონის გამგეობა

2014 წლის გეგმა 12.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 10.5 ათასი ლარით, რაც გეგმის 87.5%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: გარდაცვლილ მეომართა ოჯახებზე გაწეული დახმარება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ერთჯერადი დახმარება გაეწია 30 გარდაცვლილი მეომრის ოჯახს.

6.2.15.8 გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ნაძალადევის რაიონის გამგეობა

2014 წლის გეგმა 13,7 ათასი ლარი, დაფინანსდა 13.0 ათასი ლარით, რაც გეგმის 94.9%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: გარდაცვლილ მეომართა ოჯახებზე გაწეული დახმარება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ერთჯერადი დახმარება გაეწია 35 გარდაცვლილი მეომრის ოჯახს.

6.2.15.9 გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო ღონისძიებები დიდუბის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: დიდუბის რაიონის გამგეობა

2014 წლის გეგმა 4.9 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: გარდაცვლილ მეომართა ოჯახებზე გაწეული დახმარება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ერთჯერადი დახმარება გაეწია 14 გარდაცვლილი მეომრის ოჯახს.

6.2.15.10 გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჩუღურეთის რაიონის გამგეობა

2014 წლის გეგმა 6.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 5.6 ათასი ლარით, რაც გეგმის 93.3%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: გარდაცვლილ მეომართა ოჯახებზე გაწეული დახმარება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში სარიტუალო დახმარება გაიცა გარდაცვლილ მეომართა 16 ოჯახზე.

6.2.15.11 გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო ღონისძიებები ვაკის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ვაკის რაიონის გამგეობა

2014 წლის გეგმა 21.5 ათასი ლარი, დაფინანსდა 12.9 ათასი ლარით, რაც გეგმის 60.2%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: გარდაცვლილ მეომართა ოჯახებზე გაწეული დახმარება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ფინანსური დახმარება გაეწია გარდაცვლილ მეომართა 37 ოჯახს.

6.2.15.12 გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო ღონისძიებები საბურთალოს რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: საბურთალოს რაიონის გამგეობა

2014 წლის გეგმა 15.8 ათასი ლარი, დაფინანსდა 11.9 ათასი ლარით, რაც გეგმის 75.6%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: გარდაცვლილ მეომართა ოჯახებზე გაწეული დახმარება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ფინანსური დახმარება გაეწია გარდაცვლილ მეომართა 34 ოჯახს.

6.2.15.13 გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო ღონისძიებები ისნის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ისნის რაიონის გამგეობა

2014 წლის გეგმა 12.3 ათასი ლარი, დაფინანსდა 12.2 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.6%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: გარდაცვლილ მეომართა ოჯახებზე გაწეული დახმარება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ფინანსური დახმარება გაეწია გარდაცვლილ მეომართა 35 ოჯახს.

6.2.15.14 გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო ღონისძიებები სამგორის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: სამგორის რაიონის გამგეობა

2014 წლის გეგმა 17.5 ათასი ლარი, დაფინანსდა 12.9 ათასი ლარით, რაც გეგმის 74%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: გარდაცვლილ მეომართა ოჯახებზე გაწეული დახმარება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ფინანსური დახმარება გაეწია გარდაცვლილ მეომართა 37 ოჯახს.

6.2.15.15 გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო ღონისძიებები კრწანისის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კრწანისის რაიონის გამგეობა

2014 წლის გეგმა 4.2 ათასი ლარი, დაფინანსდა 3.1 ათასი ლარით, რაც გეგმის 75%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: გარდაცვლილ მეომართა ოჯახებზე გაწეული დახმარება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დახმარება გაიცა გარდაცვლილ მეომართა 9 ოჯახზე.

6.2.15.16 გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში


განმახორციელებელი ორგანიზაცია: მთაწმინდის რაიონის გამგეობა

2014 წლის გეგმა 5.6 ათასი ლარი, დაფინანსდა 2.8 ათასი ლარით, გეგმის 50%-ია.


დასახული შუალედური შედეგები: გარდაცვლილ მეომართა ოჯახებზე გაწეული დახმარება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ერთჯერადი დახმარება გაეწია 8 გარდაცვლილი მეომრის ოჯახს.

6.2.16 დანგრეული საცხოვრებელი სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაცია – 2,492.2 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 2,630.2 ათასი ლარის 94.8%): საანგარიშო პერიოდში ბინის ქირის საკომპენსაციო თანხებით დახმარება გაეწია 10 რაიონში მცხოვრებ სიით 964 ოჯახს (დეკემბრის თვეში ფიქსირდება 3 რაიონში 34 ოჯახით შემცირებული რაოდენობა, მათ შორის: ჩუღურეთის რაიონი - 24 ოჯახი, საბურთალოს რაიონი - 1 ოჯახი, კრწანისის რაიონი - 9 ოჯახი).



შენიშვნა: ბინის ქირის ასანაზღურებელი თანხების ნაწილი გადარიცხულია აპრილში და სექტემბერში.



6.2.16.7 დანგრეული საცხოვრებელი სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაცია გლდანის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: გლდანის რაიონის გამგეობა

2014 წლის გეგმა 133.6 ათასი ლარი, დაფინანსდა 129.9 ათასი ლარით, რაც გეგმის 97.2%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: დროებითი თავშესაფრით დაკმაყოფილებული მოსახლეობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ბინის ქირის საკომპენსაციო თანხებით დახმარება გაეწია სიით 64 ოჯახს.

6.2.16.8 დანგრეული საცხოვრებელი სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაცია ნაძალადევის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ნაძალადევის რაიონის გამგეობა

2014 წლის გეგმა 275.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 255.7 ათასი ლარით, რაც გეგმის 93%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: დროებითი თავშესაფრით დაკმაყოფილებული მოსახლეობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ბინის ქირის საკომპენსაციო თანხებით დახმარება გაეწია სიით 118 ოჯახს.

6.2.16.9 დანგრეული საცხოვრებელი სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაცია დიდუბის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: დიდუბის რაიონის გამგეობა

2014 წლის გეგმა 21.8 ათასი ლარი, დაფინანსდა 21.6 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.5%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: დროებითი თავშესაფრით დაკმაყოფილებული მოსახლეობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ბინის ქირის საკომპენსაციო თანხებით დახმარება გაეწია სიით 12 ოჯახს.

6.2.16.10 დანგრეული საცხოვრებელი სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაცია ჩულურეთის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჩულურეთის რაიონის გამგეობა

2014 წლის გეგმა 481.8 ათასი ლარი, დაფინანსდა 469.8 ათასი ლარით, რაც გეგმის 97.5%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: დროებითი თავშესაფრით დაკმაყოფილებული მოსახლეობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ბინის ქირის საკომპენსაციო თანხებით დახმარება გაეწია სიით 152 ოჯახს.

6.2.16.11 დანგრეული საცხოვრებელი სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაცია ვაკის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ვაკის რაიონის გამგეობა

2014 წლის გეგმა 127.7 ათასი ლარი, დაფინანსდა 122.2 ათასი ლარით, რაც გეგმის 95.7%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: დროებითი თავშესაფრით დაკმაყოფილებული მოსახლეობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ბინის ქირის საკომპენსაციო თანხებით დახმარება გაეწია სიით 39 ოჯახს.

6.2.16.12 დანგრეული საცხოვრებელი სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაცია საბურთალოს რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: საბურთალოს რაიონის გამგეობა

2014 წლის გეგმა 38.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 36.3 ათასი ლარით, რაც გეგმის 95.5%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: დროებითი თავშესაფრით დაკმაყოფილებული მოსახლეობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ბინის ქირის საკომპენსაციო თანხებით დახმარება გაეწია სიით 11 ოჯახს.

6.2.16.13 დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაცია ისნის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ისნის რაიონის გამგეობა

2014 წლის გეგმა 500.9 ათასი ლარი, დაფინანსდა 440.1 ათასი ლარით, რაც გეგმის 87.9%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: დროებითი თავშესაფრით დაკმაყოფილებული მოსახლეობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ბინის ქირის საკომპენსაციო თანხებით დახმარება გაეწია სიით 209 ოჯახს.

6.2.16.14 დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაცია სამგორის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: სამგორის რაიონის გამგეობა

2014 წლის გეგმა 361.1 ათასი ლარი, დაფინანსდა 360.9 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.9%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: დროებითი თავშესაფრით დაკმაყოფილებული მოსახლეობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ბინის ქირის საკომპენსაციო თანხებით დახმარება გაეწია სიით 145 ოჯახს.

6.2.16.15 დანგრეული საცხოვრებელი სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაცია კრწანისის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კრწანისის რაიონის გამგეობა

2014 წლის გეგმა 270.8 ათასი ლარი, დაფინანსდა 263.7 ათასი ლარით, რაც გეგმის 97.4%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: დროებითი თავშესაფრით დაკმაყოფილებული მოსახლეობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ბინის ქირის საკომპენსაციო თანხებით დახმარება გაეწია სიით 97 ოჯახს.

6.2.16.16 დანგრეული საცხოვრებელი სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაცია მთაწმინდის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: მთაწმინდის რაიონის გამგეობა

2014 წლის გეგმა 419.6 ათასი ლარი, დაფინანსდა 391.8 ათასი ლარით, რაც გეგმის 93.4%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: დროებითი თავშესაფრით დაკმაყოფილებული მოსახლეობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ბინის ქირის საკომპენსაციო თანხებით დახმარება გაეწია სიით 117 ოჯახს.

6.2.17 ომის ვეტერანების დახმარება რაიონებში დაფინანსებულია 81.6 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 131.2 ათასი ლარის 62.2%) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

6.2.17.7 ომის ვეტერანების დახმარება გლდანის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: გლდანის რაიონის გამგეობა

2014 წლის გეგმა 7.5 ათასი ლარი, დაფინანსდა 6.8 ათასი ლარით, რაც გეგმის 90.7%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: ომის ვეტერანების ღვაწლის დაფასება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში 9 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით რაიონში მცხოვრები მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებისათვის შეძენილი იქნა სადღესასწაულო საჩუქრები.

6.2.17.8 ომის ვეტერანების დახმარება ნაძალადევის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ნაძალადევის რაიონის გამგეობა

2014 წლის გეგმა 7.5 ათასი ლარი, დაფინანსდა 7.0 ათასი ლარით, რაც გეგმის 93.3%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: ომის ვეტერანების ღვაწლის დაფასება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში 9 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით რაიონში მცხოვრები დიდი სამამულო ომის 75 ვეტერანისათვის შეძენილ იქნა სადღესასწაულო ნობათი.

6.2.17.9 ომის ვეტერანების დახმარება დიდუბის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: დიდუბის რაიონის გამგეობა

2014 წლის გეგმა 4.9 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით

დასახული შუალედური შედეგები: ომის ვეტერანების ღვაწლის დაფასება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში 9 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით რაიონის ტერიტორიაზე მცხოვრები 80 ომის ვეტერანისათვის მოეწყო საზეიმო შეხვედრა.

6.2.17.10 ომის ვეტერანების დახმარება ჩუღურეთის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჩუღურეთის რაიონის გამგეობა

2014 წლის გეგმა 4.6 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: ომის ვეტერანების ღვაწლის დაფასება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების დღესასწაულთან დაკავშირებით მ/წ 10 მაისის მოეწყო წვეულება რაიონის ტერიტორიაზე მცხოვრები 90 ვეტერანის საპატივცემულოდ.

6.2.17.11 ომის ვეტერანების დახმარება ვაკის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ვაკის რაიონის გამგეობა

2014 წლის გეგმა 52.5 ათასი ლარი, დაფინანსდა 17.0 ათასი ლარით, რაც გეგმის 32.4%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: ომის ვეტერანების ღვაწლის დაფასება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა ომის, შრომის და სამხედრო ძალების ვეტერანთა თბილისის საქალაქო კავშირი"-ს ვაკის რაიონის ორგანიზაციის ნორმალური ფუნქციონირებისთვის ხელშეწყობის მიზნით ორგანიზაციის საოფისე და კომუნალური ხარჯები, 9 მაისისა და 26 მაისისადმი მიძღვნილი ღონისძიებების დასაფინანსებლად.

6.2.17.12 ომის ვეტერანების დახმარება საბურთალოს რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: საბურთალოს რაიონის გამგეობა

2014 წლის გეგმა 20.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 9.8 ათასი ლარით, რაც გეგმის 49%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: ომის ვეტერანების ღვაწლის დაფასება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია 110 ვეტერანისთვის: სასაჩუქრე კალათების, ღვინის და წვენების შეძენის ხარჯები.

6.2.17.13 ომის ვეტერანების დახმარება ისნის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ისნის რაიონის გამგეობა

2014 წლის გეგმა 6.8 ათასი ლარი, დაფინანსდა 100 %-ით.

დასახული შუალედური შედეგები: ომის ვეტერანების ღვაწლის დაფასება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში 30 ომის ვეტერანისათვის საქველმოქმედო ღონისძიებაზე დასასწრებად შეძენილ იქნა ბილეთები, 62 ომის ვეტერანზე გაიცა ფინანსური დახმარება, თითოეულზე 100 ლარის ოდენობით.

6.2.17.14 ომის ვეტერანების დახმარება სამგორის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: სამგორის რაიონის გამგეობა

2014 წლის გეგმა 7.5 ათასი ლარი, დაფინანსდა 7.3 ათასი ლარით, რაც გეგმის 96.7%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: ომის ვეტერანების ღვაწლის დაფასება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საახალწლო დღესასწაულთან დაკავშირებით რაიონის ტერიტორიაზე მცხოვრებ დიდი სამამულო ომის 58 ვეტერანს გაეწია ფინანსური დახმარება თითოეულს 125 ლარის ოდენობით.

6.2.17.15 ომის ვეტერანების დახმარება კრწანისის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კრწანისის რაიონის გამგეობა

2014 წლის გეგმა 3.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 0.9 ათასი ლარით, რაც გეგმის 30%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: ომის ვეტერანების ღვაწლის დაფასება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დედის დღესთან დაკავშირებით 6 ომის ვეტერან ქალბატონზე გაიცა ფინანსური დახმარება.

6.2.17.16 ომის ვეტერანების დახმარება მთაწმინდის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: მთაწმინდის რაიონის გამგეობა



2014 წლის გეგმა 16.9 ათასი ლარი, დაფინანსდა 16.6 ათასი ლარით, რაც გეგმის 98.2%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: ომის ვეტერანების ღვაწლის დაფასება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: 9 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით, რაიონში მცხოვრები დიდი სამამულო ომის 34 ვეტერანისათვის შეძენილი და გადაცემული იქნა სადღესასწაულო ნობათი.

6.2.18 სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები რაიონებში დაფინანსებულია 8,411.7 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 9,417.1 ათასი ლარის 89.3%) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

(ათასი ლარი)



6.2.18.7 სხვა სოციალური (დახმარებები) ღონისძიებები გლდანის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: გლდანის რაიონის გამგეობა

2014 წლის გეგმა 1,240.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 1,089.5 ათასი ლარით, რაც გეგმის 87.9%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: რაიონის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეთა სამედიცინო და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დახმარება გაეწია 2115 მოქალაქის ოჯახს, მათ შორის: სამედიცინო მომსახურება დაუფინანსდა 592

მოქალაქეს მედიკამენტოზური მკურნალობა დაუფინანსდა 481 მოქალაქეს. ერთჯერადი ფულადი დახმარება გაეწია 548 მოქალაქეს. სამშენებლო მასალები გადაეცა და სხვა სახის მატერიალური დახმარება გაეწია 128 მოქალაქეს. შეძენილ იქნა 300 კბ.მ. საწვავი შეშა და 80 ცალი გაზის გამათბობელი, რომელიც დაურიგდა 150 ოჯახს; სასადილოს ბენეფიციარებისათვის საახალწლოდ შეძენილ იქნა სხვადასხვა საკვები პროდუქტები. სამარხით მომსახურეობა დაუფინანსდა 115 ბენეფიციარს. 101 გარდაცვლილ ბენეფიციარზე გაიცა სასახლეები.

შეფასების ინდიკატორები: მოქალაქეთა სამედიცინო და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება - დახმარება გაეწია 2115 მოქალაქეს.

6.2.18.8 სხვა სოციალური (დახმარებები) ღონისძიებები ნამალადევის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ნამალადევის რაიონის გამგეობა

2014 წლის გეგმა 1,444.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 1,216.1 ათასი ლარით, რაც გეგმის 84.2%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: რაიონის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეთა სამედიცინო და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დახმარება გაეწია 8028 მოქალაქის ოჯახს, მათ შორის: სამედიცინო მომსახურებით დახმარება გაეწია 492 მოქალაქეს, მედიკამენტებით დახმარება გაეწია 1245 მოქალაქეს, დაფინანსდა სოციალურად დაუცველი 35 სტუდენტის სწავლის გადასახადი, 659 ოჯახს გაეწია ერთჯერადი ფინანსური დახმარება, სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ 456 ოჯახისათვის შეძენილია სამშენებლო მასალა, უკიდურესად უმწეო და სოციალურად დაუცველ 158 გარდაცვლილის დაკრძალვის სარიტუალო მომსახურების („ჰერმესი“-ს მომსახურება) დასაფარავად, ჩასასვენებლის შესაძენად 143 ოჯახისათვის, 4840 პაკეტი საახალწლო ნობათის და უმწეო და სოციალურად დაუცველი 375 ოჯახისათვის გათბობის მიზნით შესყიდულია საწვავი ხის მასალა (შეშა). ამასთან, დაფარულია 2013 წლის კრედიტორული დავალიანება 2.4 ათასი ლარის ოდენობით.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: მოქალაქეთა სამედიცინო და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება - დახმარება გაეწია 8028 მოქალაქეს.

6.2.18.9 სხვა სოციალური (დახმარებები) ღონისძიებები დიდუბის რაიონში
განმახორციელებელი ორგანიზაცია: დიდუბის რაიონის გამგეობა

2014 წლის გეგმა 856.7 ათასი ლარი, დაფინანსდა 796.9 ათასი ლარით, რაც გეგმის 93%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: რაიონის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეთა სამედიცინო და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დახმარება გაეწია 3739 მოქალაქის ოჯახს, მათ შორის: სხვადასხვა სახის მკურნალობა და ოპერაცია ჩაუტარდა 187 მოქალაქეს. სხვადასხვა დასახელების მედიკამენტები შეძენილია 1361 მოქალაქისთვის. დაფინანსდა რაიონში რეგისტრირებულ უმწეო და გაჭირვებულ მგომარეობაში მყოფი ოჯახების გარდაცვლილი წევრის დაკრძალვის ხარჯი (112 გარდაცვლილი). დაფინანსდა სოციალურად დაუცველი 223 სტუდენტის სწავლის გადასახადი, 221 მოქალაქეს გაეწია ფინანსური დახმარება და რაიონში მცხოვრებ 1635 სოციალურად დაუცველ მოქალაქეს და ომის ვეტერანს ახალი 2015 წლის მოსვლასთან დაკავშირებით გადაეცათ საახალწლო ნობათები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: მოქალაქეთა სამედიცინო და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება - დახმარება გაეწია 3739 მოქალაქეს.

6.2.18.10 სხვა სოციალური (დახმარებები) ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჩუღურეთის რაიონის გამგეობა

2014 წლის გეგმა 747.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 683.8 ათასი ლარით, რაც გეგმის 91.5%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: რაიონის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეთა სამედიცინო და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში სხვადასხვა სახის სოციალური დახმარება გაეწია 7514-ზე მეტ მოქალაქეს. მათ შორის: საახალწლო ამანათები გაიცა 2500 ბენეფიციარზე; სხვადასხვა სირთულის ოპერაცია, მშობიარობა და სამედიცინო გამოკვლევა - 302 მოქალაქეს; მედიკამენტები - 1794 მოქალაქეს; დაკრძალვის სარიტუალო მომსახურება - 180 ოჯახს; სათბობი შეშის მიწოდება განხორციელდა 113 ოჯახზე, გაზის მრიცხველი შეძენა 5 მოქალაქეზე, ერთჯერადი ფინანსური დახმარების გაცემა 130 ბენეფიციარზე, სამშენებლო მასალით (ბლოკი, ცემენტი, თუნუქი) დახმარება გაეწია 2490 მოქალაქეს. გარდა ამისა, ხარჯები მიიმართა სწავლის დასაფინანსებლად, საკანცელარიო ნივთებისა და საქველმოქმედო ღონისძიებების ბილეთების შესაძენად.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: მოქალაქეთა სამედიცინო და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება - დახმარება გაეწია 7514 მოქალაქეს.

6.2.18.11 სხვა სოციალური (დახმარებები) ღონისძიებები ვაკის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ვაკის რაიონის გამგეობა

2014 წლის გეგმა 800.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 736.7 ათასი ლარით, რაც გეგმის 92.1%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: რაიონის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეთა სამედიცინო და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში სხვადასხვა სახის სოციალური დახმარება გაეწია 2417 მოქალაქეს. აქედან: სამედიცინო მომსახურებაზე (ოპერაციები, მკურნალობა) 232 მოქალაქეს, მედიკამენტების შეძენაზე 1547 მოქალაქეს, კომუნალური დავალიანების დაფარვაზე 26 მოქალაქეს, ერთჯერადი ფინანსური დახმარება 373 მოქალაქეს, სწავლა დაუფინანსდა 37 მოქალაქეს, საშენი მასალების შეძენაზე 35 მოქალაქეს, დაკრძალვის სარიტუალო მომსახურებაზე 35 ოჯახს, 3 და 8 მარტის დღესასწაულთან დაკავშირებით დახმარება გაეწია სოციალურად დაუცველ 122 მრავალშვილიან და მარტოხელა

დედას, 12 სოციალურად დაუცველი ბავშვისთვის სპორტული და საწოლის თეთრეულის შეძენა.

შეფასების ინდიკატორები: მოქალაქეთა სამედიცინო და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება - დახმარება გაეწია 2417 მოქალაქეს.

6.2.18.12 სხვა სოციალური (დახმარებები) ღონისძიებები საბურთალოს რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: საბურთალოს რაიონის გამგეობა

2014 წლის გეგმა 864.9 ათასი ლარი, დაფინანსდა 742.1 ათასი ლარით, რაც გეგმის 85.8%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: რაიონის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეთა სამედიცინო და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში სხვადასხვა სახის სოციალური დახმარება გაეწია 3241 მოქალაქეს. მათ შორის: სამედიცინო მომსახურებებზე (ოპერაციები, მკურნალობა) 118 მოქალაქეს, მედიკამენტების შეძენაზე 1410 მოქალაქეს, ერთჯერად მატერიალურ დახმარებაზე 695 მოქალაქეს. სასაჩუქრე კალათები დაურიგდათ სოციალურად დაუცველ 529 ოჯახს და 298 მარტოხელა პენსიონერს და შეზღუდული შესაძლებლობების პირს, დაკრძალვის სარიტუალო მომსახურება 34 მოქალაქეს, სათბობი შეშის მიწოდება განხორციელდა 157 ოჯახზე.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: მოქალაქეთა სამედიცინო და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება - დახმარება გაეწია 3241 მოქალაქეს.

6.2.18.13 სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები ისნის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ისნის რაიონის გამგეობა

2014 წლის გეგმა 725.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 693.1 ათასი ლარით, რაც გეგმის 95.6%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: რაიონის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეთა სამედიცინო და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში სხვადასხვა სახის სოციალური დახმარება გაეწია 3526 მოქალაქეს. მათ შორის: მედიკამენტების შეძენასა და სამედიცინო მომსახურებაზე 1603 მოქალაქეს, სოციალურად დაუცველ მოქალაქეების სარიტუალო მომსახურებაზე 180 ოჯახს, სამშენებლო მასალებით დახმარება 44 მოქალაქეს, ერთჯერადი ფინანსური დახმარება 1380 მოქალაქეს 3000 ზენეფიცირს გადაეცა საახალწლო სასაჩუქრე პაკეტი, სოციალურად დაუცველ 80 ოჯახს დაურიგდა 160 კუბ.მ შეშა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: მოქალაქეთა სამედიცინო და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება - დახმარება გაეწია 3526 მოქალაქეს.

6.2.18.14 სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები სამგორის რაიონში
განმახორციელებელი ორგანიზაცია: სამგორის რაიონის გამგეობა

2014 წლის გეგმა 1,220.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 1023.7 ათასი ლარით, რაც გეგმის 83.9%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: რაიონის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეთა სამედიცინო და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში სხვადასხვა სახის სოციალური დახმარება გაეწია 7485 მოქალაქეს. მათ შორის: სოციალურად დაუცველ ოჯახებს გაეწია დახმარება მედიკამენტების შეძენასა და სამედიცინო მომსახურებაზე 1543 მოქალაქეს, სარიტუალო მომსახურება 242 გარდაცვლილი მოქალაქის ოჯახს, სამშენებლო მასალებით დახმარება 16 ოჯახს, ფინანსური დახმარება გაეწია 1371 მოქალაქეს, კომუნალური გადასახადების დასაფარავად 27 ოჯახს, სწავლის ღირებულების დასაფინანსებლად 22 სოციალურად დაუცველი ოჯახის სტუდენტს, სხვადასხვა გარემოებებით დაზიანებული სახურავებისა და შიდა სარემონტო სამუშაოებზე მასალით დახმარება 57 ოჯახს ბავშვთა საკვები პროდუქტებით დახმარება გაეწია 2 ოჯახს, საახალწლოდ 4205 ზენეფიცირზე გაცემულ იქნა პროდუქტები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: მოქალაქეთა სამედიცინო და საყოფაცხოვრებო პრობემების გაუმჯობესება - დახმარება გაეწია 7485 მოქალაქეს.

6.2.18.15 სხვა სოციალური (დახმარებები) ღონისძიებები კრწანისის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კრწანისის რაიონის გამგეობა

2014 წლის გეგმა 799.5 ათასი ლარი, დაფინანსდა 712.7 ათასი ლარით, რაც გეგმის 89.1%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: რაიონის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეთა სამედიცინო და საყოფაცხოვრებო პრობემების გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში სხვადასხვა სახის სოციალური დახმარება გაეწია 5564 მოქალაქეს. მათ შორის: სხვადასხვა სირთულის ოპერაციაზე, მშობიარობაზე და სამედიცინო გამოკვლევაზე 330 მოქალაქეს, მედიკამენტების შეძენაზე 2487 მოქალაქეს, დაკრძალვის სარიტუალო მომსახურებაზე 45 ოჯახს, ერთჯერადი ფინანსური დახმარება 129 მოქალაქეს, სწავლის საფასურის დაფინანსებაზე 11 მოქალაქეს, კომუნალური მომსახურებაზე 37 მოქალაქეს, საახალწლო ნობათების შეძენაზე 2525 მოქალაქეს.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: მოქალაქეთა სამედიცინო და საყოფაცხოვრებო პრობემების გაუმჯობესება - დახმარება გაეწია 5564 მოქალაქეს.

6.2.18.16 სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: მთაწმინდის რაიონის გამგეობა

2014 წლის გეგმა 720.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 717.0 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.6%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: რაიონის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეთა სამედიცინო და საყოფაცხოვრებო პრობემების გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში სხვადასხვა სახის სოციალური დახმარება გაეწია 5856 მოქალაქეს. მათ შორის: სამედიცინო მომსახურებით დახმარება გაეწია 255 მოქალაქეს; მედიკამენტებით დახმარება გაეწია 1026 მოქალაქეს; დაფინანსდა რაიონში რეგისტრირებულ უმწეო და გაჭირვებულ მგომარეობაში მყოფი 98 ოჯახის გარდაცვლილი წევრის დაკრძალვის ხარჯები. დაფინანსდა სოციალურად დაუცველი 192 სტუდენტის სწავლის გადასახადი, 100 ოჯახს გაეწია სხვადასხვა საყოფაცხოვრებო საჭიროებისათვის დახმარება და რაიონში მცხოვრებ 1635 სოციალურად დაუცველ მოქალაქეს და 2550 ბენეფიციარს ახალი 2015 წლის მოსვლასთან დაკავშირებით გადაეცა საშობაო ნობათი.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: მოქალაქეთა სამედიცინო და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება - დახმარება გაეწია 5856 მოქალაქეს.

6.2.19 წყლის გადასახადზე 50%-იანი შეღავათი

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურებისა საქალაქო სამსახური

2014 წლის გეგმა 290.2 ათასი ლარი, დაფინანსდა 282.6 ათასი ლარით, რაც გეგმის 97.4%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: სოციალურად დაუცველი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ხარჯები გაწეულია ხარჯები გაწეულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული 70 000 და დაბალი ქულის მქონე, ქ.თბილისის ტერიტორიაზე მცხოვრები ოთხი და მეტ სულიანი ოჯახების (იანვარი: 11709, თებერვალი: 11794, მარტი: 11857, აპრილი: 11871, მაისი: 12070, ივნისი: 12243, ივლისი: 12336, აგვისტო:11187, სექტემბერი:11273, ოქტომბერი:11444, ნოემბერი:

11933, დეკემბერი:11933) მიერ მოხმარებული წყლის საფასურის 50 %-ის ასანაზღაურებლად.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: სერვისით მოსარგებლე 12000-მდე ბენეფიციარი.

6.2.20 წყალმომარაგების სისტემის მოწესრიგება რაიონებში დაფინანსებულია 7,044.8 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 7,980.6 ათასი ლარის 88.3 %) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

6.2.20.1 წყალმომარაგების სისტემის მოწესრიგება გლდანის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: გლდანის რაიონის გამგეობა

2014 წლის გეგმა 3,165.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 2,840.1 ათასი ლარით, რაც გეგმის 89.7%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: დედაქალაქის შემოერთებული ტერიტორიები აღჭურვილი იქნება ქალაქის ინფრასტრუქტურისათვის ერთ-ერთი ყველაზე უფრო საჭირო კომპონენტით - წყალმომარაგების სისტემით, რაც შესაძლებელს გახდის ტერიტორიების საქალაქო განვითარებას.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში განხორციელდა ახლადშემოერთებული დასახლებების (მუხიანი 2, გიორგიწმინდა, ავჭალა 2, დაახლოებით 3000 ოჯახი) წყალმომარაგების ქსელის მშენებლობა და შეყვანილ იქნა ახალი წყალმომარაგების ქსელები და დამონტაჟდა წყლის მრიცხველები. ამასთან, გაწეულია წყლის სატუმბი სადგურის მოსაწყობად 600 კვ.მ მიწის ნაკვეთის შეძენის ხარჯები.

6.2.20.2 წყალმომარაგების სისტემის მოწესრიგება ვაკის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ვაკის რაიონის გამგეობა

2014 წლის გეგმა 46.4 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: დედაქალაქის შემოერთებული ტერიტორიები აღჭურვილი იქნება ქალაქის ინფრასტრუქტურისათვის ერთ-ერთი ყველაზე უფრო საჭირო კომპონენტით - წყალმომარაგების სისტემით, რაც შესაძლებელს გახდის ტერიტორიების საქალაქო განვითარებას.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სოფელ თხინვალას წყალმომარაგების სისტემის კვანძის პროექტის მომზადება.

6.2.20.3 წყალმომარაგების სისტემის მოწესრიგება საბურთალოს რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: საბურთალოს რაიონის გამგეობა

2014 წლის გეგმა 760.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 328.2 ათასი ლარით, რაც გეგმის 43.2%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: დედაქალაქის შემოერთებული ტერიტორიები აღჭურვილი იქნება ქალაქის ინფრასტრუქტურისათვის ერთ-ერთი ყველაზე უფრო საჭირო კომპონენტით - წყალმომარაგების სისტემით, რაც შესაძლებელს გახდის ტერიტორიების საქალაქო განვითარებას.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სოფელ დიღომში „ჩარგალეთის“ უბნის, ჯავახიშვილის და ფიროსმანის ქუჩების ნაწილის წყალმომარაგების სისტემის მოწესრიგების სამუშაოები (დაახლოებით 151 ოჯახი).

განმარტება დასახულ და მიღწეულ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე: დასახულ შედეგებში გათვალისწინებული იყო სოფელ დიღომში ამხანაგობა „ჯოიანისთვის“ და ამხანაგობა „ჩარგალეთი“-სთვის წყალმომარაგების ქსელის მოწყობის სამშენებლო სამონტაჟო სამუშაოების დასრულება, რაც შემსრულებლის შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ მიერ ვერ განხორციელდა.

6.2.20.4 წყალმომარაგების სისტემის მოწესრიგება სამგორის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: სამგორის რაიონის გამგეობა

2014 წლის გეგმა 4,009.2 ათასი ლარი, დაფინანსდა 3,830.2 ათასი ლარით, რაც გეგმის 95.5%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: დედაქალაქის შემოერთებული ტერიტორიები აღჭურვილი იქნება ქალაქის ინფრასტრუქტურისათვის ერთ-ერთი ყველაზე უფრო საჭირო კომპონენტით - წყალმომარაგების სისტემით, რაც შესაძლებელს გახდის ტერიტორიების საქალაქო განვითარებას.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში განხორციელდა რაიონის ტერიტორიაზე შემოერთებული სოფლების ნასაგური-წინუბანის, დიდი ლილოსა და პატარა ლილოს წყალმომარაგების სისტემის მოწესრიგების სამუშაოები (დაახლოებით 12000 ოჯახი).

6.2.21 მიუსაფარ პირთა თავშესაფრის მოვლა-პატრონობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

2014 წლის გეგმა 257.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 88.9 ათასი ლარით, რაც გეგმის 34.6%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: მიუსაფარ პირთა დაცვა კრიზისულ სიტუაციებში.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ფინანსდება შემდეგი ღონისძიებები: საერთაშორისო ჰუმანიტარული კავშირის „კათარზისის“ მიერ მიუსაფარ პირთა დროებით თავშესაფარში (მოსკოვის გამზირის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ კარვებში) განთავსებული პირების შემდეგი სახის მომსახურება: გათბობის მიზნით შეშით, დღის განმავლობაში ორჯერადი კვებით; საყოფაცხოვრებო ნივთებითა და პირადი ნივთებით უზრუნველყოფა; 24 საათის განმავლობაში ადმინისტრაციული კონტროლი და სანიტარული მომსახურება. ერთ პირზე გასაწევი მომსახურების ღირებულება შეადგენს 7,08 ლარს (სულ 240 ბენეფიციარი).

შ.პ.ს. „ქურთას საავადმყოფო“ განახორციელდა მიუსაფარი პირების პირველადი სამედიცინო (ამბულატორიული) დახმარება, რომელიც მოიცავს: მათ დათვალიერებას, ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასებას სამედიცინო პერსონალის კომპეტენციის ფარგლებში, ეპიდემიის პრევენციის მიზნით მწვავე ინფექციური, პარაზიტული და სხვა დაავადებების იდენტიფიცირებას; მიუსაფარ პირთა პირველადი დახმარებისათვის საჭირო მედიკამენტებით უზრუნველყოფას; საჭიროების შემთხვევაში მათ გადაყვანას სტაციონარში სასწრაფო სამედიცინო

ბრიგადის (112-ის) საშუალებით. გამონაკლის შემთხვევებში უზრუნველყოფს მათ გადაყვანას საკუთარი საშუალებით, მომსახურების ადგილზე ერთი ექიმის, ერთი ექთნის, ერთი სანიტარის 24 საათიან რეჟიმში მორიგეობას.


შპს "ენერჯი სერვის გრუპ"-ის მიერ განხორციელდა კარვების ელექტრო მომარაგების სამონტაჟო სამუშაოების შესრულება და შესაბამისი მასალების შესყიდვა;

ინდ. მეწარმე „კარენ ხაჩატურიანის“ მიერ განხორციელდა კარვების თუნუქის ღუმელებით მომარაგება;

სს „მაცნემ“ უზრუნველყო 4 ჯიხურის გამოყოფა კარვების ტერიტორიაზე განსალაგებლად (დაცვა, პერსონალი); შპს „თემი“ უზრუნველყო კარვების მიმდებარე ტერიტორიაზე დაზიანებული ღობის დემონტაჟი და ახლის მოწყობა.


განმარტება დასახულ და მიღწეულ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში მიუსაფარი პირების დახმარების მიზნით გასატარებელი გადაუდებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 24 ოქტომბრის #1918 განკარგულების შესაბამისად, მოსკოვის გამზირზე არსებული მიუსაფართა თავშესაფრის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მმართველობაში გადმოცემა განხორციელდა 2014 წლის ნოემბერში.

❖ განათლება




ათასი ლარი

**განათლების პრიორიტეტის პროგრამების 2012-2014 წწ
შესრულების დინამიკა**



**განათლების პრიორიტეტის პროგრამების
პროცენტული დაფინანსება**



7.1 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური

2014 წლის გეგმა 74,523.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 73,976.5 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.3%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: საბავშვო ბაგა-ბაღებში გაუმჯობესებული სააღმზრდელო პროცესი; საბავშვო ბაგა-ბაღების მენეჯმენტის სრულყოფა; საბავშვო ბაგა-ბაღებში დასაქმებულთა მოტივაციის და კვალიფიკაციის ამაღლება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ვაუჩერული დაფინანსების სახით, გაწეულია ბაგა-ბაღების თანამშრომელთა შრომის

ანაზღაურება, ბავშვთა კვების ხარჯები, კომუნალური ხარჯები, ინვენტარის და სხვა აუცილებელი ხარჯები. ასევე დაფინანსებულია ა(ა)იპ „თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს“ ხარჯები. სულ ქალაქში ფუნქციონირებს 160 საბავშვო ბაგა-ბაღი, დასაქმებულთა რაოდენობა საშუალოდ შეადგენს 6800 ერთეულს და ირიცხება საშუალოდ 54000 ბავშვი. ასევე, პროგრამის ფარგლებში განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები.

საანგარიშო პერიოდში თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღებში ჩატარდა სხვადასხვა სამუშაოები. მათ შორის: ყველა საბავშვო ბაგა-ბაღში დამონტაჟდა სათვალთვალო ვიდეო კამერები; 49 ბაგა-ბაღში დამონტაჟდა ახალი ღობეები; 40 ბაგა-ბაღში დამატებითი ჯგუფების გასახსნელად ჩატარდა სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები; კაპიტალური რემონტი ჩატარდა და ინვენტარით აღიჭურვა ახლად დაფუძნებული #15 ბაგა-ბაღი (ყოფილი რკინიგზის ბაღი); შესყიდულ იქნა 8 ახალი ბაღის მშენებლობისთვის საჭირო საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია; დაფუძნდა ახალი ბაგა-ბაღი აეროპორტის დასახლებაში. დაიწყო ახალი ბაღის სამშენებლო სამუშაოები მოსკოვის გამზირზე მდებარე ყოფილი 128 ბაღის ტერიტორიაზე და მანჯგალაძის ქუჩა #19-ში მდებარე რკინიგზის ყოფილი ბაღის ტერიტორიაზე.

დაწყებულია გურამიშვილის 4-ში მდებარე 56-ე ბაღის გამაგრების და სარემონტო სამუშაოები.

ამასთან, გრძელდება სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების კეთილმოწყობა, კერძოდ მათი გაზიფიცირებისა და შენობების მეტალოპლასმასის კარ-ფანჯარით მოწყობის სამუშაოები. სამუშაოები დასრულებულია შემდეგ ობიექტებზე:

გათბობის სისტემის მოწყობის და რეაბილიტაციის სამუშაოები - გლდანის, ნაძალადევის, ისნის და სამგორის რაიონში მდებარე #8, #9, #16, #18, #22, #29, #43, #46, #50, #54, #56, #59, #60, #62, #65, #66, #72, #76, #80, #84, #86, #89, #111, #115, #116, #126, #135, #136, #143, #151, #153, #163, #166, #169, #173, #181, #184, #186, #190, #196, #205, #210, #216, ზაპესი -კასკადის ქუჩა #39, ნასაგურის, პატარა ლილოს და I ლოგოპედიური სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები.

მეტალოპლასმასის კარ-ფანჯრების მოწყობა - გლდანის, ნაძალადევის, დიდუბის, ჩუღურეთის, ვაკის, საბურთალოს, კრწანისის და მთაწმინდის რაიონებში მდებარე #1, #2, #9, #11, #13, #14, #22, #23, #27, #31; #34; #36, #39, #40, #42, #46, #48, #50, #54, #56, #60, #64, #70, #71, #80, #84, #85, #91, #92, #94, #96, #100, #107, #123, #135, #137, #143, #144, #151, #153, #155, #162, #172, #173, #184, #185, #186, #190, #191, #195, #197, #200, #209, #211, #213, ზაჰესის, აისის, I ლოგოპედიურის, იმედის, სინათლეს, ჩიორას, ხუთკუნჭულას, მხედველობადაქვეითებულთა, სმენადაქვეითებულთა, ტაბახმელასა და შინდისის ბაგა-ბაღები. ამასთან, დასრულებულია გაფრინდაულის ქ.#6 ში მდებარედ #15 საბავშვო ბაგა-ბაღის სარემონტო სამუშაოები.

გათბობისა და ცხელი წყლის სისტემის მოწყობა-რეაბილიტაცია - გლდანის, ნაძალადევის, დიდუბის, ჩუღურეთი, ვაკის, საბურთალოს და მთაწმინდის რაიონებში მდებარე #1, #2, #4, #10, #13, #14, #19, #24, #27, #31, #32, #39, #40, #42, #48, #52, #55, #64, #70, #85, #91, #94, #100, #107, #112, #114, #117, #123, #125, #131, #137, #142, #158, #162, #185, #192, #197, #198, #201, #208, #211, #212, #213, სმენადაქვეითებულთა, ათინათის, აისის, იმედის, ჩიორას, შინდისის, კოჯრის და წავკისის ბაგა-ბაღები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სხვადასხვა საბავშვო ბაგა-ბაღებში თავისუფალი ოთახების გარემონტება და ახალი ჯგუფების დამატება. განხორციელდა 16-ე საბავშვო ბაგა-ბაღის ეზოში ცალკე მდგომი შენობის კაპიტალური რემონტი, რომლის ადგილას ადრე იყო განთავსებული ამორტიზირებული საცურაო აუზი. 2014 წელს დაიწყო და 2015 წელს დამთავრდება 56 საბავშვო ბაგა-ბაღის გამაგრებითი სამუშაოები. ონაშვილის ქუჩა #1-ში გათვალისწინებულია 2 სართულიანი ბაგა-ბაღის მშენებლობა, სამშენებლო სამუშაოები დაიწყო 2014 წლის დეკემბერში და პროექტის გეგმა-გრაფიკის მიხედვით დამთავრდება 2015 წლის ბოლოს. 2014 წელს მოსკოვის გამზირზე დაიწყო 2 სართულიანი, 6 ბლოკისაგან შემდგარი ბაგა-ბაღის მშენებლობა (განხორციელდა კარკასისა და ფუნდამენტის მშენებლობა).

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: გარემონტდა 41 ბაგა-ბაღი, გათბობის სისტემები დამონტაჟდა 106 ბაგა-ბაღში, კარფანჯარა შეიცვალა 66 ბაგა-ბაღში, სათვალთვალო ვიდეო კამერა დამონტაჟდა 160 ბაგა-ბაღში, ღობეები გაკეთდა 49 ბაგა-ბაღში, აშენდა 2 ახალი ბაგა-ბაღი.

7.2 განათლების სისტემის რეფორმირება და განვითარება დაფინანსებულია 1,945.4 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 1,519.5 ათასი ლარის 78.1%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

7.2.1 უწყვეტი განათლების სისტემის დამკვიდრება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური

2014 წლის გეგმა 60.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 33.2 ათასი ლარით, რაც გეგმის 55.3%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: შემცნებით-საგანმანათლებლო ღონის ამაღლება; მოსახლეობის სხვადასხვა ფენისათვის (ასაკობრივი და სოციალური ჯგუფების) განათლების ხელმისაწვდომობა; საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფების (მათ შორის: შშმ პირები და სხვა მოწყვლადი ჯგუფების ასევე, ეროვნული უმცირესობების) სამოქალაქო ინტეგრაცია.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა ქ.თბილისის სერგო ზაქარიაძის სახელობის ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების კოლეჯის ბაზაზე შექმნილი ახალგაზრდული სასწავლო თეატრი, რომელმაც შექსპირის „რომეო და ჯულიეტას“ მოტივებზე თანამედროვე ქორეოგრაფიული სპექტაკლის „სიყვარულისათვის“ ინსცენირება განახორციელა; გალაქტიონ ტაბიძის სახლ-მუზეუმში ჩატარდა სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „კულტურა და ფილოსოფია“ (კონფერენციის მონაწილეები და საზოგადოების წარმომადგენლები გაეცნენ გალაქტიონის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველ მასალებსა და განახლებულ ექსპოზიციას, მოეწყო ინტერაქტიური დისკუსია თემაზე - „კულტურა და ფილოსოფია“); ქ.თბილისის ზაქარია ფალიაშვილის მემორიალური სახლ-მუზეუმის ორგანიზებით ჩატარდა

საგანმანათლებლო ტრენინგები ქ.თბილისის ხელოვნების სკოლების მოსწავლეებისათვის. ასევე, თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის პროექტი „რადიოსპექტაკლი“, რომელიც მიზნად ისახავდა საქართველოს საზოგადოებრივი რადიოს ოქროს ფონდში დაცული მაღალმხატვრული ღირებულების მქონე ქართული და უცხოური რადიოსპექტაკლების ჩანაწერების ასლების დამზადებას. პროექტმა ხელი შეუწყო თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის პოპულარიზაციას, ხელოვნების მოყვარულთა რიცხვის ზრდას; საგანმანათლებლო - შემეცნებითი პროექტი „თავისუფლების ხე“, რომელიც 2001 წლის 11 სექტემბერს აშშ-ში მომხდარ ტრაგედიას ეძღვნება. პროექტი სხვადასხვა აქტივობას მოიცავდა, მათ შორის, საგანმანათლებლო ექსპოზიციის „თავისუფლების ხე“ მოწყობას და სხვა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: პროექტებში მოსახლეობის ჩართულობის მაღალი მაჩვენებელი; საზოგადოების მოთხოვნებსა და საჭიროებებზე მორგებული აქტივობები; 5 განხორციელებული წარმატებული პროექტი.

7.2.3 საზოგადოების განათლებისა და ინფორმირების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: მერიის ადმინისტრაცია

2014 წლის გეგმა 1,243.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 1,081.8 ათასი ლარით, რაც გეგმის 87%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: საზოგადოებისათვის ქ.თბილისის მერიის მიერ განხორციელებული პროგრამების, პროექტებისა და ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის მიწოდების გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა ა(ა)იპ თბილისის პორტალი” – 950.0 ათასი ლარი, რომელიც ახორციელებს ქ.თბილისის მერიის ვებ-გვერდის ტექნიკურ-ვიზუალურ, საინფორმაციო და ფოტო მომსახურებას. ამასთან, გაწეულია პოლიგრაფიული მომსახურების ხარჯები - 131.8 ათასი ლარი.

7.2.4 საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის გავრცელება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: მერიის ადმინისტრაცია

2014 წლის გეგმა 622.4 ათასი ლარი, დაფინანსდა 404.4 ათასი ლარით, რაც გეგმის 65%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: საზოგადოების ჩართულობის დონის ამაღლება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია ქ.თბილისის მერიის საქმიანობის ამსახველი საინფორმაციო ვიდეო რგოლების ტელე სივრცეში განთავსების ხარჯები.

განმარტება დასახულ და მიღწეულ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე: აუთვისებლობა გამოწვეულია იმით, რომ მიღება-ჩაბარების აქტები წარმოდგენილი იქნა 2015 წლის იანვარში.

7.2.5 მართვის თანამედროვე ინსტრუმენტები / უნარ-ჩვევების განვითარება და საკონსულტაციო მომსახურება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური; ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

2014 წლის გეგმა 20.0 ათასი ლარი, არ დაფინანსებულა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული საბოლოო შედეგები: საანგარიშო პერიოდში ხარჯები არ გაწეულა.

7.3 ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლიოთეკების განვითარების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის საქალაქო სამსახური

2014 წლის გეგმა 3,140.7 ათასი ლარი, დაფინანსდა 3,115.2 ათასი ლარით. რაც გეგმის 99.2%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: საბიბლიოთეკო სფეროს თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობა; მოსახლეობისათვის განახლებული სერვისების შეთავაზებით მკითხველთა დაინტერესების ზრდა; ბიბლიოთეკების სერვისით დაინტერესებულ პირთათვის სამუშაო პროცედურების გაადვილება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: დღეისათვის ფუნქციონირებს თბილისის


მთავარი ბიბლიოთეკის 37 ფილიალი თბილისის სხვადასხვა უბანში და შემოერთებული ტერიტორიების 5 ბიბლიოთეკა, რომელშიც გაწევრიანებულია 40589 მკითხველი. საანგარიშო პერიოდში გაცემულ იქნა თანამშრომელთა ხელფასები. შეძენილ იქნა სხვადასხვა თემატიკის წიგნები, ჟურნალები, გაზეთები, მცირეფასიანი ინვენტარი, საკანცელარიო და სამეურნეო საქონელი. აგრეთვე, გაწეულია კომუნალური მომსახურების, ტრანსპორტის ხარჯები და სხვა. ამასთან, საანგარიშო პერიოდში ჩატარდა სხვადასხვა შემეცნებითი და კულტურულ - საგანმანათლებლო ღონისძიებები, მათ შორის: დიდი მწიგნობარისა და საზოგადო მოღვაწის მელიტონ კელენჯერიძის 150 წლის იუბილე, ლიტერატურული სალონის „საგულისონის“ ხელმძღვანელის ცისანა ქოჩეჩაშვილის საიუბილეო საღამო, ქართული ენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, დედისა და ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, „შექსპირიანა“ შექსპირის 450 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება, საბავშვო წიგნის საერთაშორისო დღე, მთავარი ბიბლიოთეკის 105 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო, პოეზიის საღამო და გამოფენა „მუზის ორი მსახური“ სტუმრად მოწვეულნი იყვნენ პოეტი თემურ ჩალაბაშვილი და მხატვარი ოთარ ფანასკერტელი-ციციშვილი, ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე (შეხვედრა ბიბლიოთეკის ახალგაზრდა მკითხველებთან), „ცოდნის დღე“ შეხვედრა სკოლის მოსწავლეებთან და სტუდენტებთან, პროექტი - „იპოვე შენი თავი ბიბლიოთეკაში“ - თბილისის კერძო და საჯარო სკოლებისათვის, რომლის მიზანი იყო წიგნიერების დონის ამაღლება; ჩამოყალიბდა ბიბლიოთეკაში კინოკლუბი, რომლის მიზანია მკითხველებისათვის კლასიკური კინოს გაცნობა, იმართება დისკუსიები კინომცოდნესთან ერთად; პროექტი - „მწერალი ხარ თუ პოეტი“, რომლის მიზანიც იყო ახალგაზრდა ნიჭიერი მწერლისა და პოეტის გამოვლენა; „შემოდგომის მელოდიები“ ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია, ფილოლოგ ნატო ხაფთანის წიგნის პრეზენტაცია - „ეს იყო ომი“, ყოველ პარასკევს კინოჩვენებები (პროექტი „კინოკლუბი ბიბლიოთეკაში“); ლიტერატურულმა სალონმა მონაწილეობა მიიღო აქციაში „ვაჩუქოთ წიგნები მწყემსებს“ და სხვა.

ამასთან, ა(ა)იპ „თბილისის მედიათეკების გაერთიანებას“ სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობისათვის გადაერიცხა 677.2 ათასი ლარი. დღეისათვის ფუნქციონირებს მედიათეკის ვაკის და ვარკეთილის ფილიალი. მედიათეკის ორივე ფილიალში გაწევრიანებულია 3788 მომხმარებელი. საანგარიშო პერიოდში ჩატარდა სხვადასხვა შემეცნებითი და კულტურულ - საგანმანათლებლო ღონისძიება. მათ შორის: თითების თეატრის სპექტაკლი „ექსტრავაგანსა“, თოჯინების სახელმწიფო თეატრის სპექტაკლი „ფერადი ნისლების სანაპირო“, ჩრდილების თეატრის სპექტაკლი „წელიწადის ოთხი დრო“, თინათინ გურჩიანის ფილმის „მანქანა, რომელიც ყველაფერს გააქრობს“ პრეზენტაცია, აფხაზეტის ახალგაზრდული საბჭოს მიერ ორგანიზებული კონფერენცია - გამოფენა სახელმწოდებით „სამართალი აფხაზეტს“, მედიათეკის თანამშრომლებისათვის ტრენინგი „საბიბლიოთეკო სერვისების თანამედროვე ტენდენციები“, პროექტი - წაიკითხე ყველა წიგნი და გახდი ყველაზე წიგნიერი“, ამერიკის დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებული „დოქტორთა კლუბის“ შეხვედრა სტუდენტებთან, წიგნის "ქართული ვიდეო არტი" პრეზენტაცია, ფოტო სახლის "ქოლგა" და "თბილისის მედიათეკების გაერთიანების" ერთობლივი გამოფენა თემაზე: "21 სექტემბერი - მშვიდობის საერთაშორისო დღე!", ახალგაზრდა პოეტის (ბარსელი) ახალი კრებულის „დრო“ პრეზენტაცია, ახალგაზრდა მწერლის მარიამ თოიძის წიგნის „მატყუარა თოჯინები“ პრეზენტაცია, საბავშვო გამოფენა-კონკურსი „ჩემი საყვარელი წიგნის გმირი“ დაჯილდოების ცერემონიალი, „თამაში მაგიდასთან“ - თითების თეატრი და სხვა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: სერვისებით სარგებლობს 44377 პირი; ჩატარდა 82 კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიება.


❖ კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა


ათასი ლარი



ათასი ლარი

კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის პრიორიტეტის პროგრამების 2012-2014 წწ
შესრულების დინამიკა





8.1 თეატრალური ხელოვნების განვითარების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის საქალაქო სამსახური

2014 წლის გეგმა 1,988.4 ათასი ლარი, დაფინანსდა 1,988.1 ათასი ლარით. რაც გეგმის 100%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: თეატრალური ხელოვნების განვითარების ხელშეწყობი გარემოს შექმნა; თბილისისათვის საერთაშორისო კულტურული და ტურისტული სტატუსის გაძლიერება; შემოქმედებითი და გაცვლითი ურთიერთობის დამყარება საზღვარგარეთის თეატრალურ მოღვაწეებთან.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა შემდეგი ქვეპროგრამები: 8.1.1 სახმეტელის სახელობის დრამატული თეატრი – 542.0 ათასი ლარით (გაწეულია თეატრის ფუნქციონირების ხარჯები, შედგა სპექტაკლების - „ტრუსები“, „ჰამლეტიკა“, „რაპუნცელი, „ჩრდილოეთის ციალი“, „იმერული რეკვიემი“, „მოდერის აღსარება“, „პეპი გრძელი წინდა“, „პოლიცია“ პრემიერა; დაიდგა ახალი სპექტაკლი „დედა“; ახმეტელის თეატრის, ტრანსცედ საქართველო და განდის ფონდის მიერ განხორციელდა სამი პროექტი - მშვიდობის განმტკიცების მიმართულებით - „ბრეხტი სახურავზე“, კურაჟი საქართველოში“ და „მედეა და ოიდოპოსი“; თეატრმა მონაწილეობა მიიღო გორის თეატრალურ ფესტივალსა და თბილისის საერთაშორისო ფესტივალში, სადაც წარადგინა სამი კოპროდუქცია. ასევე, იმყოფებოდა ესტონეთში ქალაქ ტარტუში საერთაშორისო

თეატრალურ ფესტივალზე. წლის განმავლობაში შექმნა 4 საერთაშორისო კოპროდუქცია; შეიქმნა გაყიდვების ჯგუფი და აეწყო გაყიდვების ეფექტური სისტემა, რამაც თეატრის შემოსავლები გაზარდა 68,5%-ით და თეატრს მისცა საშუალება ახალი სპექტაკლების განხორციელებისა. შეიქმნა სააბონენტო სისტემა).

8.1.2 პანტომიმის სახელმწიფო თეატრი – 330.0 ათასი ლარით (გაწეულია თეატრის ფუნქციონირების ხარჯები, ამასთან, შედგა სპექტაკლების - „წიგნი“, „ფსევდოკიეზი“, „საქართველო ლამაზო“, „შალიკაშვილი75“ პრემიერა; განხორციელდა საქართველოში პანტომიმის თეატრის დაარსების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება; საქართველოში პანტომიმის ჟანრისა და თეატრის დამაარსებლის ამირან შალიკაშვილის საიუბილეო საღამო და ვარსკვლავის გახსნა; ამირან შალიკაშვილის წიგნების პრეზენტაცია და პოეზიის საღამო; თეატრმა მიიღო მონაწილეობა ღონისძიებაში „თბილოსობა 2014“; მოეწყო ბარსელის პოეზიის საღამოები ყვარელში საქველმოქმედო აქცია სოციალურად დაუცველი ბავშვებისათვის).

8.1.3 თბილისის საშემსრულებლო ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი – 700.0 ათასი ლარით (ფესტივალის ფარგლებში წარმოდგენილი იყო საერთაშორისო პროგრამა 21 სპექტაკლი და ქართული SHOWCASE პროგრამა 45 სპექტაკლი, ფესტივალში მონაწილე ქვეყნები: ტაივანი, პოლონეთი, ლიტვა, რუსეთი, დიდი ბრიტანეთი, სომხეთი, თურქეთი, ფინეთი, აზერბაიჯანი, უკრაინა, გერმანია);

8.1.5 თეატრი „გლობუსი“ – 161.1 ათასი ლარით (გაწეულია თეატრის ფუნქციონირების ხარჯები, შედგა სპექტაკლების - „სასჯელაღსრულების კოლონიაში“, „შეშლილის წერილები“ პრემიერა. მოწესრიგდა სპექტაკლის ჩვენებისთვის „მსახიობის სახლის“ სპეციფიური თეატრალური სივრცე მაყურებელთა დარბაზისთვის. შეძენილ იქნა თეატრალური კოსტიუმების კოლექცია);

8.1.6 მუნიციპალური თეატრების სარეკომენდაციო საბჭოების ხელშეწყობა – 27.0 ათასი ლარით (გაწეულია ქ.თბილისის თვითმმართველი ერთეულის პროფესიული მუნიციპალური თეატრების სამხატვრო ხელმძღვანელობის

კანდიდატთა შესარჩევი სარეკომენდაციო საბჭოს საქმიანობის ანაზღაურების ხარჯები);

8.1.8 სამეფო უბნის თეატრი – 228.0 ათასი ლარით (გაწეულია თეატრის ფუნქციონირების ხარჯები. შედგა სპექტაკლის - „ტკივილი არის ახალგაზრდობა“, „ბეჩავი“ პრემიერა. თეატრმა მონაწილეობა მიიღო თბილისის საერთაშორისო ფესტივალში. ჩატარდა 2 მასტერ-კლასი. თეატრში დასრულდა სარემონტო სამუშაოები, დამონტაჟდა გათბობის სისტემა. თეატრში ფუნქციონირებს თემურ ჩხეიძის სახელოსნო განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიები: ფოტოსურათების გამოფენა, კითხვა-დისკუსია და ა.შ).

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: შედგა 17 სპექტაკლის პრემიერა, 3 თეატრალური პროექტი; თეატრალური ფესტივალის ფარგლებში საერთაშორისო და ქართული SHOWCASE პროგრამა (66 სპექტაკლი), მაყურებელთა რაოდენობა - 4500.

8.2 სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის საქალაქო სამსახური

2014 წლის გეგმა 1,942.5 ათასი ლარი, დაფინანსდა 1,926.0 ათასი ლარით. რაც გეგმის 99.2%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: სახელოვნებო განათლების არამოთხოვნადი სპეციალობების შენარჩუნება; მოსწავლეთა და პედაგოგთა კულტურულ-საგანმანათლებლო ღონის ამაღლება; საერთაშორისო კონკურსებში, ფესტივალურ და სხვა ფორუმებში მიღწეული წარმატებები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა №20 და №19 ხელოვნების სკოლის ბაზაზე – საორკესტრო ინსტრუმენტების სპეციალობით უფასო სწავლება, №28 ხელოვნების სკოლის ბაზაზე – ქართული ხალხური საგუნდე ხელოვნების განყოფილებაზე უფასო სწავლება, ჰ.გონაშვილის №29 ხელოვნების სკოლის ბაზაზე – თანამედროვე და ტრადიციული მიმდინარეობების განხრით უფასო სწავლება. ამასთან, გრძელდება ქ.თბილისის მერიის ხელოვნების სკოლების და მოსწავლე

ახალგაზრდობის სახლის დაფინანსება სასწავლო-შემოქმედებით პროცესში განსაკუთრებული მონაცემების მქონე მოსწავლეების რაოდენობის შესაბამისად (წარმატებული მოსწავლეებისა და მათი მასწავლებლების წახალისების მიზნით). გაწეულია ხელოვნების სკოლების და მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის საიუბილეო და საანგარიშო კონცერტების ჩასატარებლად დარბაზის იჯარის ხარჯები, ხელოვნების სკოლების და მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის მოსწავლეებისა და პედაგოგებისათვის სემინარის, მასტერკლასების ჩატარების ხარჯები და სხვა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: სახელოვნებო განათლების არამოთხოვნადი სპეციალობებით 595 მოსწავლის უფასო სწავლება; ჩატარდა 18 საანგარიშო და საიუბილეო კონცერტი; დაფინანსდა მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი და 34 ხელოვნების სკოლა სასწავლო - შემოქმედებით პროცესში მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეების რაოდენობის შესაბამისად (810 მოსწავლე, 827 მასწავლებელი).

8.3 ადგილობრივი მნიშვნელობის მუზეუმების განვითარება და პოპულარიზაცია

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის საქალაქო სამსახური

2014 წლის გეგმა 976.7 ათასი ლარი, დაფინანსდა 976.6 ათასი ლარით, რაც გეგმის 100%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: მუზეუმების ჩართვა ქვეყნის ერთიან კულტურულ-საგანმანათლებლო სივრცეში; მუზეუმებში კულტურული ტურიზმის განვითარება და ტურიზმისათვის მიმზიდველი გარემოს შექმნა; მუზეუმების პოპულარიზაციის ზრდა – ექსპოზიციები, გამოფენები, გამოცემული კატალოგები, გზამკვლევები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: 8.3.1 ი.ჭავჭავაძის ლიტერატურულ-მემორიალური მუზეუმი – 233.2 ათასი ლარით (გაწეულია მუზეუმის ფუნქციონირების ხარჯები, ამასთან მუზეუმში ჩატარებულ იქნა 20 სხვადასხვა ღონისძიება, ექსპოზიცია);

8.3.2 ზ.ფალიაშვილის მემორიალური სახლ-მუზეუმი – 93.5 ათასი ლარით (გაწეულია მუზეუმის ფუნქციონირების ხარჯები, ამასთან მუზეუმში ჩატარებულ იქნა 27 სხვადასხვა ღონისძიება, ექსპოზიცია);

8.3.3 ნ.ბარათაშვილის სახლ-მუზეუმი – 89.1 ათასი ლარით (გაწეულია მუზეუმის ფუნქციონირების ხარჯები, ამასთან მუზეუმში ჩატარებულ იქნა 42 სხვადასხვა ღონისძიება, ექსპოზიცია);

8.3.4 მ.ჯავახიშვილის მემორიალური ბინა-მუზეუმი – 57.1 ათასი ლარით (გაწეულია მუზეუმის ფუნქციონირების ხარჯები, ამასთან მუზეუმში ჩატარებულ იქნა 10 სხვადასხვა ღონისძიება, ექსპოზიცია);

8.3.5 გ.ტაბიძის სახლ-მუზეუმი – 89.7 ათასი ლარით (გაწეულია მუზეუმის ფუნქციონირების ხარჯები, ამასთან მუზეუმში ჩატარებულ იქნა 22 სხვადასხვა ღონისძიება, ექსპოზიცია);

8.3.6 ვ.ჭაბუკიანის ბინა-მუზეუმი – 64.3 ათასი ლარით (გაწეულია მუზეუმის ფუნქციონირების ხარჯები, ამასთან მუზეუმში ჩატარებულ იქნა 18 სხვადასხვა ღონისძიება, ექსპოზიცია);

8.3.7 მ.კოსტავას მემორიალური სახლ-მუზეუმი – 75.3 ათასი ლარით (გაწეულია მუზეუმის ფუნქციონირების ხარჯები, ამასთან მუზეუმში ჩატარებულ იქნა 14 სხვადასხვა ღონისძიება, ექსპოზიცია);

8.3.8 ს.წერეთლის სახლ-მუზეუმი – 47.3 ათასი ლარით (გაწეულია მუზეუმის ფუნქციონირების ხარჯები, ამასთან მუზეუმში ჩატარებულ იქნა 4 სხვადასხვა ღონისძიება, ექსპოზიცია);

8.3.9 ქ.თბილისის თოჯინების მუზეუმი – 104.6 ათასი ლარით (გაწეულია მუზეუმის ფუნქციონირების ხარჯები, ამასთან მუზეუმში ჩატარებულ იქნა სხვადასხვა ღონისძიება, ექსპოზიცია);

8.3.10 ე.ახვლედიანის ბავშვთა სურათების გალერეა – 122.5 ათასი ლარით (გაწეულია მუზეუმის ფუნქციონირების ხარჯები, ამასთან მუზეუმში ჩატარებულ იქნა 30 სხვადასხვა ღონისძიება, ექსპოზიცია);

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: მუზეუმებში ვიზიტორთა რაოდენობა - 27380; მოწყობილი გამოფენების და წარმოდგენილი ექსპოზიციების რაოდენობა - 160.

8.4 ხელოვნების და კულტურის ობიექტების განვითარება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის საქალაქო სამსახური

2014 წლის გეგმა 3,260.5 ათასი ლარი, დაფინანსდა 3,155.2 ათასი ლარით, რაც გეგმის 96.8%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: ქართული ფოლკლორის და ხელოვნების დარგების პოპულარიზაცია; მოწესრიგებული და კეთილმოწყობილი პანთეონები; კულტურის დაწესებულებების მოწესრიგებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა შემდეგი ქვეპროგრამები: 8.4.1 საკონცერტო ორკესტრი „ბიგ-ბენდი“ – 420.0 ათასი ლარით. ქვეპროგრამის ფარგლებში გაცემულ იქნა თანამშრომელთა ხელფასები, გაწეულია ოფისის ხარჯები, პარტიტურების შეძენის, ქსელზე მიერთების და სხვა ხარჯები. ამასთან, საანგარიშო პერიოდში “ბიგ-ბენდმა” მონაწილეობა მიიღო ქალაქის მამულებით ჩატარებულ სხვადასხვა ღონისძიებებში.

8.4.2 ქართული ფოლკლორის მოსწავლეთა სასახლე – 325.0 ათასი ლარით. ქვეპროგრამის ფარგლებში გაცემულ იქნა თანამშრომელთა ხელფასები, გაწეულ იქნა ოფისის და სხვა ხარჯები. ამასთან, საანგარიშო პერიოდში სასახლეში ფუნქციონირებდა 45 წრე, სადაც გაერთიანებულია 474 მოსწავლე და ჩატარებულ იქნა სხვადასხვა ღონისძიებები.

8.4.3 ხელოვნების ძეგლებისა და პანთეონების მოვლა-პატრონობა – 123.0 ათასი ლარით. საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა პანთეონების (მთაწმინდის, დიდუბის და „ხოჯევანქი“) მოვლა-პატრონობა. (გაწეულია თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების, კომუნალური ხარჯები და სხვა).

8.4.4 კულტურის დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ღონისძიებები – 2,287.2 ათასი ლარით. საანგარიშო პერიოდში გაწეულია კულტურის დაწესებულებებისათვის (ხელოვნების სკოლების და

მოსწავლე ახალგაზრდობის სახლები) ავეჯის (სკამები, მერხები, დაფები, კარადები, ტუმბოები და სხვა), მუსიკალური ინსტრუმენტების, აპარატურის, ხალხური საკრავების და აქსესუარების შეძენის, თბილისის მუნიციპალური ორკესტრისათვის „ბიგ-ბენდი“ აპარატურის და ავეჯის შეძენის, სახმეტელის სახელობის დრამატული თეატრისათვის ტექნიკის შეძენის, თბილისის მთავარი ბიბლიოთეკისთვის ტექნიკის (კომპიუტერები) და ავეჯის (კარადები) შეძენის, ხელოვნების სკოლების და მოსწავლე ახალგაზრდობის სახლების სარემონტო, საკანალიზაციო სამუშაოების, ჰგონაშვილის სახელობის №29 ხელოვნების სკოლისათვის გათბობის ქვების აღდგენის სამუშაოების, ქ.თბილისის მერიის #30 ხელოვნების სკოლისათვის სახურავის (რბილი გადახურვის) მოწყობის, ვირსალაძის სახელობის ხელოვნების გიმნაზიისათვის სახურავის შეკეთების და მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის სარემონტო სამუშაოების ექსპერტიზის ხარჯები; ხელოვნების სკოლების, მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის, სერგო ზაქარიადის სახელობის ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების კოლეჯის, ზოგადსაგანმანათლებლო და საშუალო არატიპური სახელოვნებო სასწავლებელო-ხელოვნების კოლეჯის მიერ გახარჯული კომუნალური გადასახადების დაფარვა (50%); კოტე ფოცხვერაშვილის სახელობის #7 ხელოვნების სკოლისთვის შენობის იჯარის, ფანჯრების დემონტაჟი და მონტაჟის ხარჯები; კულტურის დაწესებულებებისთვის გაზიფიცირების ღონისძიებები: ზურაბ ანჯაფარიძის სახელობის #28 ხელოვნების სკოლა, არამ ხაჩატურიანის სახელობის #10 ხელოვნების სკოლა, მერი ნაკაშიძის სახელობის #17 ხელოვნების სკოლა, გიორგი ცაბაძის სახელობის #25 ხელოვნების სკოლა, სერგო ზაქარიადის სახელობის ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების კოლეჯი, მოსწავლე ახალგაზრდობის სახლები (დიდუბის, ჩულურეთის, ისნის, ნაძალადევის, ძველი თბილისის რაიონის ფილიალები); თბილისის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონისთვის აბრების დამზადების ხარჯები და სხვა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: საკონცერტო ორკესტრმა „ბიგ-ბენდი“ მონაწილეობა მიიღო 22 ღონისძიებაში; ფოლკლორის

მოსწავლეთა სასახლის მიერ ჩატარდა 35 ღონისძიება; თანამედროვე ტექნიკითა და ინვენტარით აღჭურვილი კულტურის დაწესებულებები.

8.5 კულტურის ღონისძიებები

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის საქალაქო სამსახური

2014 წლის გეგმა 4,525.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 4,393.7 ათასი ლარით. რაც გეგმის 97.1%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: საზოგადოების ფართო ნაწილის მონაწილეობა ფესტივალებში, კონკურსებში, სადღესასწაულო ღონისძიებებში; დვაწლმოსილი ადამიანების დაფასება; ნიჭიერი შემოქმედების წარმოჩენა, შემოქმედებითი პროცესის ინტენსივობა; საინტერესო და მრავალფეროვან ღონისძიებებზე მოსახლეობის და ხელოვანების ჩართულობა და მონაწილეობა; განვითარებული და გაღრმავებული კულტურული ურთიერთობები სხვა ქვეყნებთან; თბილისის, როგორც რეგიონის კულტურის ცენტრის ჩამოყალიბება და მსოფლიო დედაქალაქების რუკაზე მნიშვნელოვან სახელოვნებო ცენტრად დამკვიდრება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა კულტურულ-სპორტული ღონისძიებები კრწანისის რაიონში 0.6 ათასი ლარით, კულტურის სამსახურის მიერ თბილისობის და ახალი წლის დღესასწაულის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებები - 133.0 ათასი ლარი და თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრის მიერ განხორციელებული და სრულად/ნაწილობრივ დაფინანსებული სხვადასხვა პროექტები 4,260.7 ათასი ლარით. მათ შორის:

საიუბილეო, საფესტივალო და საკონკურსო ღონისძიებების ფარგლებში: კომპოზიტორ მიშა მდინარაძის შემოქმედების 10 წლისადმი მიძღვნილი კონცერტის მხარდაჭერა; საქართველოს სახალხო არტისტ მომღერალ თემურ წიკლაურის სასცენო მოღვაწეობის 45 წლისადმი მიძღვნილი კონცერტის მხარდაჭერა; ანსამბლის „ქართული ხმები“ შემოქმედებითი მოღვაწეობის 15 წლის იუბილესთან დაკავშირებით კონცერტის მხარდაჭერა; ფონდი „იავნანას“ მოღვაწეობის 10 წლისთავთან დაკავშირებით საქველმოქმედო კონცერტის

ჩატარების ხელშეწყობა; ბავშვთა და მოზარდთა საერთაშორისო ქორეოგრაფიული კონკურსის ჩატარების ხელშეწყობა; შემოქმედების ამსახველი აუდიო-ვიდეო ალბომის დამზადების ფინანსური მხარდაჭერა; თბილისის მირზა ახუნდოვის მუზეუმში „ბასტრა ფილმს“-ის მიერ ორგანიზებული პროექტის „სინთეზური ხელოვნების გამოფენა“ მხარდაჭერა; საპროდიუსერო კომპანია „ორიელის მიერ ორგანიზებული საბავშვო პროექტის - „Kids Music Competetion event 2014“ ფინანსური მხარდაჭერა; კომპოზიტორ ნუკრი აბაშიძის 60 წლისადმი დაკავშირებით კონცერტის ჩატარების ხელშეწყობა; კომპოზიტორ ვაჟა აზარაშვილის შემოქმედებითი მოღვაწეობის 50 წლისადმი მიძღვნილი კონცერტის „ვაჟა აზარაშვილის კამერული მუსიკის საღამოს“ განხორციელების ხელშეწყობა; გამოჩენილი ქორეოგრაფის ჯორჯ ბალანჩინის 110 წლის იუბილესადმი მიძღვნილი კონცერტის მხარდაჭერა; როკ-ჯგუფი „ბერმუხას“ შემოქმედებითი მოღვაწეობის 50 წლის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით კონცერტის ორგანიზება; ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის პროფესორ გიორგი (გოგი) დოლიძის 80 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიებების ფინანსური მხარდაჭერა; თბილისის IV საგუნდო მუსიკის ფესტივალის მხარდაჭერა; „ოქროს ფრთით“ ჟურნალისტთა დაჯილდოების რიგით - 12 ცერემონიალის მხარდაჭერა; ყოველწლიური ფოტოკვირეულის „ქოლგა - თბილისი ფოტო“ ჩატარების ხელშეწყობა; საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის მიერ ორგანიზებული ლიტერატურული კონკურსი „ახალგაზრდა მწერლებისათვის“ განხორციელების ხელშეწყობა; ლიტერატურული კონკურსი „მცირე პროზა“ განხორციელების ხელშეწყობა; რიგით IV საბავშვო ფილმების საერთაშორისო ფესტივალის "ოქროს პეპელა ფინანსური მხარდაჭერა; ფესტივალის „მუზეუმების გაზაფხული 2014“ განხორციელების მხარდაჭერა; ჯ.კახიძის სახელობის XXII საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი “შემოდგომის თბილისი”; თბილისის მერვე საერთაშორისო სტუდენტური კონოფესტივალი „ამირანის“ განხორციელების ხელშეწყობა; ქ.თბილისის მერიის სახელოვნებო სკოლების „დათვალიერება - ფესტივალი - 2014“-ის განხორციელება; „ახალი ღვინის ფესტივალი 2014“; ფესტივალი არტგენი - 2014“ დასკვნითი ეტაპის

განხორციელების ხელშეწყობა; ახალგაზრდული ასოციაცია „დრონის“ მიერ ორგანიზებული რიგით მე-3 ფესტივალის „ქუჩის მუსიკის დღე“ მხარდაჭერა; ბავშვთა ვოკალური კვინტეტის "The Quintessential Five" - აშშ-ს ქ.სანფრანცისკოს უიდეს პოლიფონიური მუსიკის ფესტივალში "Harmony Sweepstakes A Capella Festival" და გერმანიის ქ.ლაიფციგის პოლიფონიური მუსიკის საერთაშორისო მუსიკალურ ფესტივალში მონაწილეობის ხელშეწყობა; რიგით II საერთაშორისო ART ფესტივალის PAINT FOR GEORGIA მხარდაჭერა; საქართველოს სახალხო არტისტ ბ. ბეგალიშვილის 80 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საიუბილეო ღონისძიების განხორციელების ხელშეწყობა; საქართველოში პანტომიმის ჟანრის სკოლის და სახელმწიფო პანტომიმის თეატრის ფუძემდებლის ამირან შალიკაშვილის 75 წლის საიუბილეო ღონისძიების ფინანსური მხარდაჭერა; ქართული საბრძოლო ხელოვნების ფედერაციის - "შავფაროსნები" – წევრების რომის ყოველწლიურ ფესტივალში, მონაწილეობის მისაღებად ფინანსური მხარდაჭერა; თბილისის მოდის კვირეულის ფარგლებში დამწყები დიზაინერებისათვის მასტერ კლასების ჩასატარებლად ფინანსური მხარდაჭერა; საგანმანათლებლო პროექტი „პოემუსი“ განხორციელების ხელშეწყობა; დიმიტრი ცინცაძის სახელობის ფონდის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, ცნობილი თურქი მსახიობის იუნესკოს კეთილი ნების ელჩის თუქეთში, მურატ ილდიმირის საქართველოში ვიზიტის ფარგლებში ფინანსური მხარდაჭერა; კომპოზიტორ ნანა მესხის შემოქმედებითი მოღვაწეობის 20 წლისადმი მიძღვნილი საავტორო საღამოს „ფარვანა“ განხორციელების ხელშეწყობა; აშშ-ში რიგით მე-4 ფესტივალის „Georgians in USA Awaerd NY-2014“ მონაწილე ეთნო გჯუფი „ეგარის“ წევრების კვების და მუსიკალური აპარატურის დაქირავების ხარჯები; საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას 75 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო; მუსიკოს რომან რცხილაძის 60 წლის საიუბილეო კონცერტის განხორციელების ფინანსური მხარდაჭერა; მომღერალ ირმა სოხაძის სასცენო მოღვაწეობის 50 წლისადმი მიძღვნილი კონცერტი; გრაფიკული დიზაინის სფეროში საუკეთესო პლაკატის გამოსავლენად პროექტის - „კონკურსი პლაკატის დიზაინზე“ მხარდაჭერა; კონკურსი „მშვიდობის ბავშვები“ მონაწილეთათვის

ჩარჩოების და დიპლომების დამზადების ხელშეწყობა; საქართველოს სახალხო არტისტ ლია ელიავას საიუბილეო ალბომის გამოცემის ხელშეწყობა; საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის, პოეტ მაყვალა გონაშვილის საიუბილეო კრებულის ბეჭდვის მხარდაჭერა; საქართველოს სახალხო არტისტის, შოთა რუსთაველისა და ზაქარია ფალიაშვილის პრემიების ლაურიატის, თბილისის საპატიო მოქალაქის, დიდი ქართველი კომპოზიტორის მერი დავითაშვილის 90 წლისადმი მიძღვნილი სანოტე კრებულის „მერი დავითაშვილის სიმღერები“ გამოცემის მხარდაჭერა; ვალერი მარგიანის გარდაცვალების 10 წლისთავთან დაკავშირებით, მისი ნამუშევრების საინფორმაციო ბროშურების და პლაკატების დამზადების ხელშეწყობა; პროექტის „წიგნი ალბომი „ნატო ვაჩნაძე“ გამოცემის ხელშეწყობა; კონკურსის - „ქართული კალიგრაფია“ გამარჯვებულის წამახალისებელი ერთჯერადი ფულადი ჯილდოს გადაცემის მხარდაჭერა; ფიროსმანის სახელობის საერთაშორისო შემოქმედებითი ასოციაციის მიერ ორგანიზებული გამოფენა - კონკურსის გამარჯვებულთათვის წამახალისებელი ერთჯერადი ფულადი ჯილდოს გადაცემის მხარდაჭერა; საქართველოს სახალხო არტისტის, გურამ სადარაძის 85 წლის იუბილესადმი მიძღვნილი, საქართველოს თეატრალური საზოგადოების მიერ ორგანიზებული კონკურსის „წლის საუკეთესო ქმნილება“ სხვადასხვა ნომინაციებში გამარჯვებულთათვის ერთჯერადი ფულადი ჯილდოს გადაცემის ხელშეწყობა; საერთაშორისო ჯაზ-ფესტივალის განსახორციელებლის ხელშეწყობა; საერთაშორისო ფესტივალი „საჩუქარი“; რიგით მე-16 „თბილისის წიგნის საერთაშორისო ფესტივალი 2014“; ლეგენდარული ფილმის „ჯარისკაცის მამა“ 50 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო ღონისძიება; „ევროპული და ლათინო-ამერიკული ცეკვების თბილისის პირველი საერთაშორისო ტურნირი აღმოსავლეთ ევროპის თასზე“; „თანამედროვე ცეკვისა და ექსპერიმენტული ხელოვნების თბილისის სამხრეთკავკასიური ფესტივალი“; საერთაშორისო ლიტერატურული ფესტივალი „ლიტ-ტური“; მოყვარულ სტუდენტურ თეატრთა ყოველწლიური საერთაშორისო ფესტივალი „ნილაბი 2014“; მართლმადიდებლური ფილმების ფესტივალი „წმინდა ანდრეას ჯვარი“; ფესტივალი „ზრავო ომარ“; თბილისის მე-15 საერთაშორისო კინოფესტივალი

“პრომეთე”; თბილისის ჩასაბერ საკრავთა მეექვსე საერთაშორისო ფესტივალი; X საერთაშორისო მოკლე ფილმების ფესტივალი “სესილი”; პოეტ მუხრან მაჭავარიანის საიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილი წიგნების: ლექსებისა და საყმაწვილო კალენდრის გამოცემა და სხვა.

გაცვლითი კულტურული ღონისძიებების ფარგლებში: ბრისტოლის ჯაზის და ბლუზის საერთაშორისო ფესტივალში, ქართველი მუსიკოსების მონაწილეობის უზრუნველყოფა; უკრაინის ქალაქ ლვოვში “ქალაქის დღისადმი” მიძღვნილ ღონისძიებებში ქართველი უსინათლო მუსიკოსების მონაწილეობა; საქველმოქმედო ღონისძიების - „ვენეციური კარნავალი“ ორგანიზების ხელშეწყობა; თბილისის დაძმობილებულ ქ.ზაარბრუკენში დაგეგმილი ღონისძიების ორგანიზება; ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლის „საგალობელი“ იტალიის ქ.რიმინში, საერთაშორისო მუსიკალურ ფესტივალში მონაწილეობის ხელშეწყობა; ლატვიის ქ.ცესისში პროფესიული მუსიკის საერთაშორისო ფესტივალზე ფოლკლორული ჯგუფის „იბერი“ მონაწილეობა; ავსტრიის ქალაქ კრემსში გალერეა „დალიკოში“ ქართველი მხატვრების რეტროსპექტიული გამოფენა; იტალიაში თბილისის დაძმობილებულ ქალაქ პალერმოში „თბილისის დღისა“ და ქ.მალტაში დაგეგმილი ღონისძიების ორგანიზება; ლატვიის დედაქალაქ რიგაში, მუსიკალურ ფესტივალზე „Summer Solstice Celebration Festival“ მიწვეული თბილისის საკონცერტო ორკესტრ „ბიგ-ბენდის“ მგზავრობის ხარჯების დაფინანსება; ახალგაზრდა ნიჭიერი მომღერლის მარიამ როინიშვილის იტალიის „SANTA CECILIA“-ს აკადემიაში სწავლის ხარჯების დაფინანსება; ლვოვის საერთაშორისო ფესტივალში „ალფა-ჯაზი“ მონაწილე ეთნო ჯაზ-ბენდი „ირიასი“ მონაწილეობის ხელშეწყობა; ავსტრიის დედაქალაქ ვენაში „თბილისი დღეების“ ორგანიზება; საფრანგეთის ქ.ნანტის და თბილისის დაძმობილების 35 წლისთავისადმი მიძღვნილი წიგნის გამოცემა; ნანტელი ხელოვანის, ჟერარ ორეის ფოტოგამოფენა “მოგზაურობით გარდასახულნი” და სხვა.

თავისუფალი თეატრალური პროექტების ფარგლებში: თეატრალური პროექტების განმხილველი სარეკომენდაციო საბჭოს წევრების შრომის ანაზღაურება, 33 თეატრალური პროექტის - „ჩიჩილაკი“, „ჩემო მეჟოლია“, „დორიან

გრეის პორტრეტი“, „გრაფიტაცია“, „თანამედროვე ქართული თეატრი გარდამავალი ეკონომიკის პირობებში“, „კრამერი კრამერის წინააღმდეგ“, „მაკბეტ“, „დონკიხოტი“, „სამი მუშკეტერი“, „ტყის ზღაპარი“, „უილია, უილია“, „გურჯი - ხათუნი“, „ნავიგატორი“, „სამეფო ძროხა“, „მატყუარები“, „ათვინიერებენ მიმინოს“, „იავნანამ რა ჰქმნა“, „რექციემი წამებულნი“, „მუსიკალური ცისარტყელა“, „გზა ილიასი“, „ინტრო“, „მე ვხედავ მზეს“, „დაისი“, „ჭირვეულის მორჯულება“, „ადამიანის ხმა“, „თამაში მაგიდასთან“, „შეშლილის წერილები“, „დედა“, „შეშლილის წერილები“, „ანტიგონე“, „ჭრილობა“, „ხომ ხოცავენ ქანცაწყვეტილ ცხენებს“, განხორციელება.

სახელმწიფო, სახალხო და რელიგიური დღესასწაულების ღონისძიებების ფარგლებში: ნათლისღების დღესასწაულთან დაკავშირებით ცნობილი ქართველი პიანისტის ვალერიან შიუკაშვილის სოლო კონცერტის ორგანიზების მხარდაჭერა; ჯაზის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კონცერტის ორგანიზების ხელშეწყობა; ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ჯგუფი „33ა“ კონცერტის ორგანიზების ხელშეწყობა; 8 მაისს - „ევროპის“ დღისადმი, 9 აპრილის ტრაგედიიდან 25 წლისთავისადმი, 9 მაისს - ფაშიზმზე გამარჯვების 69-ე წლისთავისადმი, 26 მაისს - საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი და 1 ივნისს - ბავშვთა დაცვის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ორგანიზება; კლასიკური მუსიკის IX საერთაშორისო ფესტივალის - „აღდგომიდან ამაღლებამდე“ განხორციელების ხელშეწყობა; „წიგნის და საავტორო უფლებების საერთაშორისო დღისადმი“ მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში აქციის - „აჩუქე შეყვარებულს წიგნი“ - განხორციელების ხელშეწყობა; ღვთისმშობლის თაყვანისცემის კვირეულისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ხელშეწყობა, ჯაზის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კონცერტი, „ევროპის დღისადმი“ მიძღვნილი ღონისძიებები, საქართველოს დამოუკიდებლობის დღის - 26 მაისისადმი მიძღვნილი ღონისძიებები, ბავშვთა უფლებების დაცვის საერთაშორისო დღის - 1 ივნისისადმი მიძღვნილი ღონისძიებები, მეგობრობის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება - ქვიშაზე ხატვის აქციის ორგანიზება; „თბილისობა 2014“-ის (25-26 ოქტომბერი, აბანოთუბანი, მეტეხის

ხიდი, შარდენის მიმდებარე ტერიტორია) ღონისძიებები, “ახალი 2015 წელი”-ს ღონისძიებები, საშობაო მსვლელობა “ალილო” და სხვა.

სხვადასხვა სახელოვნებო სფეროს შემოქმედებითი პროექტების ხელშეწყობის ფარგლებში: საკონსულტაციო საბჭოს და საგამომცემლო პროექტების განმხილავი სარეკომენდაციო საბჭოს წევრების შრომის ანაზღაურება, მსოფლიოში სახელგანთქმული პიანისტის ელენე ბაშკიროვას კონცერტის მხარდაჭერა, კომპოზიტორ გია ყანჩელის ცნობილი ნაწარმოების ქართველი და უცხოელი ჯაზ შემსრულებლების მიერ წარმოდგენილი კომპოზიციებით კონცერტის ჩატარების მხარდაჭერა; გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორის ბიძინა კვერნაძის შემოქმედებისადმი მიძღვნილი კონცერტის მხარდაჭერა; “კინო-მუსიკის შედეგები” - გალა კონცერტი ნიკოლოზ რაჭველის ხელმძღვანელობით; ცნობილი ფრანგი რეჟისორის ჟან ლამბერ ვაილდის თბილისში ვიზიტის ფარგლებში სასტუმროს ხარჯების დაფინანსება; პოეტ ჯანსუღ ჩარკვიანის და კომპოზიტორისა და შემსრულებლის მამუკა ჩარკვიანის შემოქმედებისადმი მიძღვნილი კონცერტის ჩატარების მხარდაჭერა; გ.გაგოშიძის პროექტის „კედლის პოეზია“ განხორციელების ხელშეწყობა; ანსამბლ „ალილოს“ რიგით III სოლო კონცერტის „ქართული სიმღერა გალობის საღამოს“ ჩატარების ხელშეწყობა; ქართველი და ებრაელი ხალხის ოცდაექვსაუკუნოვანის მეგობრობისადმი მიძღვნილი პროექტის „იერუსალიმის კამერეტა საქართველოში“ განხორციელების ხელშეწყობა; ფონდი „იავნანას“ მიერ ორგანიზებული საქართველოს სიმღერის და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლ „ერისიონის“ საქველმოქმედო კონცერტის მხარდაჭერა; საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის „რუსთავი“ კონცერტის მხარდაჭერა; ანსამბლ „ოროველას“ შემოქმედებისადმი მიძღვნილი კონცერტის ჩატარების მხარდაჭერა; საქართველოს დამსახურებული მხატვრის მანანა ბობოხიძის ფერწერული ნახატების ალბომის გამოცემის მხარდაჭერა; ჭაბუა ამირეჯიბის ხსოვნისადმი მიძღვნილი ისტორიულ - არქეოლოგიური მონოგრაფიული სამეცნიერო ნაშრომების: „კლდეკარის წმინდა გიორგის ეკლესია და „ორმოცი სებასტიელი მოწამის სახელობის მამათა მონასტერი“ გამოცემის მხარდაჭერა; თბილისის ორენოვანი ქართულ-ინგლისური კულტურული

გზამკვლევის "თბილისი აუთ" უსასყიდლოდ გავრცელების მიზნით, მაის-ივნისის ნომრების გამოცემა; კომპოზიტორ მაია ელოშვილის საბავშვო სიმღერის კრებულის გამოცემის ხელშეწყობა; ქრისტიანული პოეზიის მე-4 საერთაშორისო ფესტივალის „წმინდა ნინოს“ ჯვარის ფარგლებში კრებულის „ეკლესია მონასტრები ქართულ პოეზიაში“ გამოცემის ხელშეწყობა; ფილოსოფოს კონსტანტინე კაპანელის ნაშრომის „კონსტანტინე კაპანელი – რენესანსი ლიტერატურაში“ გამოცემის მხარდაჭერა; პროფესორ ანზორ თოთაძის საავტორო ნაშრომის „თბილისის მოსახლეობა“ გამოცემის მხარდაჭერა; დოკუმენტური ფილმის „თბილისის თვითმართველობის ათასსაუკუნოვანი (XI-XXII) ისტორია გადაღების, მონტაჟის და საბოლოო პროდუქტის სახით დამზადების მხარდაჭერა; ა(ა)იპ „აქტივი კულტურისათვის“ მიერ ინიცირებული პროექტის, „ქართული ვიდეო ხელოვნების კვლევა და კონტექსტუალიზაცია“ განხორციელების ხელშეწყობა; საქველმოქმედო პროექტი „მჭირდები“ განხორციელების ხელშეწყობა; ფონდი „იავნანას“ მიერ ორგანიზებული, ლეგენდარული ქორეოგრაფის მორის ბეჟარის საბალეტო დასის საქველმოქმედო საღამო - დადგმა „ბოლერო“; ფონდი „იავნანას“ მიერ ორგანიზებული, მსოფლიოში აღიარებული მუსიკოსის კრის ბოტის და მისი შემოქმედებითი ჯგუფის საქველმოქმედო კონცერტი; ფონდი „კეთილსოფელის“ საქველმოქმედო აქცია-კონცერტი; თამარ ივერის საქველმოქმედო ფონდის „დაცული საზოგადოება“ მიერ ორგანიზებული საქველმოქმედო კონცერტი; ვარდების ბაღში მდებარე ღია ცისქვეშა კინოთეატრში „Greenema“ G6 უფასო საზაფხულო კინოჩვენების განხორციელების მხარდაჭერა; პროფესორ ანზორ თოთაძის საავტორო ნაშრომის „თბილისის მოსახლეობა“ გამოცემის მხარდაჭერა; პროექტი „ქესტური სამყარო“ ყრუ და სმენადაქვეითებული ბენეფიციარების მონაწილეობით; პროექტი „ისტორიული სცენიური სამოსელი“ მოსამზადებელი ეტაპის მხარდაჭერა; რეჟისორ ნინი ჩაკვეტაძის რომანის „1-13“ გამოცემის მხარდაჭერა; კრებულის „ქართული საფორტეპიანო მუსიკა“ IV და V ტომების გამოცემა; „ქართული თეატრალური ენციკლოპედიის“ საინფორმაციო ვებ-გვერდის განახლების ხელშეწყობა; არტისტ კონსტანტინე მინდაძის პროექტის „სიცოცხლის ფორმები“ მხარდაჭერა; პროექტი

“მუსიკალური სახლი” ფარგლებში, ნატო თოთიბაძის საავტორო სიმღერების კრებულის გამოცემა და კონცერტი; კულტურულ-შემოქმედებითი საახალწლო ღონისძიება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მონაწილეობით; 2014 წლის “საახალწლო იუმორინა” და სხვა.

კულტურული ღონისძიებების ცენტრის მომსახურების ფარგლებში: (თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრის თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება, კავშირგაბმულობა, მივლინების, ტრანსპორტის ექსპლუატაციის და დაზღვევის ხარჯები, სხვა ხარჯები (მანქანის რეცხვა, კარტრიჯების შეძენა, ცენტრის საქმიანობის ეფექტურობის კვლევა, ცენტრის ვებ-გვერდის (www.tbilisiculture.com) ახალი დიზაინის შემუშავება, სხვადასხვა რუბრიკების, ფუნქციების დამატება და განახლება, სასაჩუქრე თაიგულის და ქართველი მხატვრების ნამუშევრების შეძენა, ბანკის მიერ დარიცხული სარგებლის თანხიდან გაწეულია ცენტრის ტექნიკური ბაზის განახლებისათვის საჭირო კომპიუტერული ტექნიკის შეძენის ხარჯები და სხვა).

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: სახელმწიფო, სახალხო და რელიგიური დღესასწაულები - 41 ღონისძიება; გაცვლითი კულტურული პროგრამები ქალაქებს შორის - 16 ღონისძიება; თავისუფალი თეატრალური პროექტები - 32 პროექტი; ფესტივალები, კონკურსები და საიუბილეო ღონისძიებები 81 ღონისძიება; სხვადასხვა სახელოვნებო სფეროს შემოქმედებითი პროექტები - 53 პროექტი.

8.6 სპორტის განვითარების ხელშეწყობა დაფინანსებულია 14,362.1 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 14,651.2 ათასი ლარის 98%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

8.6.1 სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები

განმახორციელებელი ორგანიზაცია: განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური

2014 წლის გეგმა 3,920.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 3,840.5 ათასი ლარით. რაც გეგმის 98%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: ქვეყნის ნაკრები გუნდების შევსება ახალგაზრდა პერსპექტიული სპორტსმენებით; სპორტის სხვადასხვა სახეობებში ადგილობრივი და საერთაშორისო რანგის შეჯიბრებებში სპორტსმენტა წარმატებული გამოსვლა; ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება; ახალგაზრდული ორგანიზაციების აქტივობების ზრდა; კულტურულ-შემოქმედებით და საერთაშორისო ღონისძიებებში ჩართული ახალგაზრდები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში სპორტული ღონისძიებების ფარგლებში ჩატარდა სპორტის სხვადასხვა სახეობებში თბილისის პირველობები და ჩემპიონატები, მათ შორის: მერიის თასის გათამაშება ჯომარდობაში, მინი ფეხბურთში, ღია პირველობა ცურვაში ჭაბუკთა და გოგონათა შორის, შესარჩევი ტურნირი მშვილდოსნობაში, სამთო-სათხილამურო სპორტში ტრადიციული ტურნირი „აბუ“, სულხან-სულხანიშვილის სახელობის ტრადიციული შეჯიბრი „სუხია“, ძიუდოში თბილისის ტრადიციული ტურნირი, ევროპის ჩემპიონატის მზადებისათვის სასწავლო შეკრება, ფრენბურთის ქალთა ნაკრები გუნდის საწვრთნელი შეკრება, ქ.თბილისის მერიის, საკრებულოსა და რაიონული გამგეობების თანამშრომლებს შორის ცურვაში, წყლის ფრენბურთისა და კალათბურთში მხიარული სტარტები; ამასთან, სხვადასხვა სახეობის საქართველოსა და თბილისის ეროვნულ ფედერაციებს სპორტული ღონისძიებების ჩატარებისთვის, ა(ა)იპ „ქთბილისის მერიის ოლიმპიური მზადების კომპლექსური სპორტული ცენტრს“ (კომუნალური ხარჯების დაფარვის მიზნით), ა(ა)იპ „საცურაო აუზი-90 გლდანს“ (ობიექტის დენის ქსელზე მიერთების საფასურის ნაწილის, საცურაო აუზის მიერ აღიარებული ვალის დაფარვის მიზნით), ა(ა)იპ „თბილისის პარასპორტის განვითარების ცენტრს“ (გერმანიის ქალაქ მაღზოვში, ეტლით ფარიკაობაში მსოფლიო თასის ეტაპში პარაფარიკაობის გუნდის მონაწილეობის მისაღებად და ასევე პარაფარიკაობისა და პარამშვილდოსნობის გუნდების საწვრთნელი სარეაბილიტაციო პროცესის წარმართვის მიზნით) და წყალბურთის გუნდს „თბილისი“ (ამერიკის შეერთებულ შტატებში, ქალაქ ლოს-

ანჟელესში წყალბურთელთა გუნდის საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობის მისაღებად, ხელფასების და გუნდის ვარჯიშისათვის საჭირო აუზით მომსახურების დაფინანსების მიზნით) გაეწიათ ფინანსური დახმარება. ასევე, დაფინანსდა: ჩოგბურთის პოპულარიზაციის მიზნით, სარეკლამო ფილმის გადასაღებად საქართველოს ჩოგბურთის ფედერაცია, „კულტურათა გადაკვეთის ასოციაციის“ პროექტი – „სახალისო ფეხბურთის ღია სკოლები“, სპორტკომპლექს „არენასა“ და „არენა 2“-ში 23 წლამდე მოფარიკავეთა შორის ევროპის ჩემპიონატი, საქართველოს K1-ის და მუი-ტაისში მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოსაპოვებლად სპორტის სასახლეში გაიმართა გიგა ჭიკაძისა და სხვა მებრძოლთა ორთაბრძოლები, ესპანეთის ქ.მალაგაში მსოფლიო ჩემპიონატზე ფუსტალში საქართველოს სტუდენტური ნაკრების მივლინება, „მოდრაობა ხელმისაწვდომი გარემოსათვის“ პროექტი "აქტიური ცხოვრება ჩემი სტიქიაა", ჯუმბერ მეძმარიაშვილის 85 წლის იუბილისადმი მიძღვნილ საერთაშორისო ექსპედიციაში ქართველი მთასვლელის გიორგი კალაძის მონაწილეობა, თბილისის ნაკრები გუნდების მონაწილეობა რესპუბლიკურ, საერთაშორისო ტურნირებში და სასწავლო-საწვრთნელ შეკრებებში; ასევე, ქონების გადასახადის (ავანსი) დაფარვის მიზნით დაფინანსდნენ ქ.თბილისის თვითმართვლი ერთეულის მიერ დაფუძნებული სპორტული ცენტრები. საქართველოს ნიჩბოსნობის ფედერაცია დაფინანსდა ნიჩბოსნობის საშეჯიბრო ნაგების და ნიჩბების შესაძენად, ასევე საქართველოს სპორტის საწყლოსნო სხეობათა ფედერაცია - ქ.თბილისის წყალში მხტომელთა ნაკრები გუნდის წევრების საცურაო აუზზე ვარჯიშისათვის, ქ.ბათუმში ზაურ თავაძის ხსოვნისადმი მიძღვნილ ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირზე ფარიკაობაში თბილისის მოფარიკავეთა ნაკრები გუნდის მონაწილეობა, კრივში ქ.თბილისის ნაკრები გუნდის სასწავლო-საწვრთნო შეკრება ქ.ქობულეთში, ქ.თბილისის ღია პირველობა სპორტულ ტანვარჯიშში, ქ.თბილისის ღია ჩემპიონატი ცურვაში, სპორტულ ტანვარჯიშში სასწავლო/საწვრთნო შეკრება ქ.თბილისში, ბელორუსიის ქალაქ ბრესტში, ღია პირველობაზე აკადემიურ ნიჩბოსნობაში სპორტსმენის და მისი მწვრთნელის მონაწილეობა; შეკვეთილში სასწავლო-საწვრთნო შეკრება ბ/რ და თავისუფალ

ჭიდაობაში, იტალიის ქ.რაიანოში მსოფლიო ჩემპიონატზე ფარიკაობაში ქ.თბილისის მოფარიკავეთა გუნდის მონაწილეობა, ქ.ბათუმში რ. სიხარულიძის სახ. I საერთაშორისო ტურნირზე სპორტულ ტანვარჯიშში ქ.თბილისის გუნდის მონაწილეობა, ქ.ქობულეთში სამბოს ნაკრების სასწავლო-საწვრთნო შეკრება, დ.ბაკურიანში ქართული ჭიდაობის ნაკრების სასწავლო-საწვრთნო შეკრება, ქ.ერევანში სპორტსმენისა და მისი მწვრთნელის მივლინება ჩოგბურთის საერთაშორისო ტურნირზე, ბაზალეთის ტბაზე საქართველოს თასის გათამაშებაში კანოე-კაიკში ქ.თბილისის ნაკრები გუნდის მონაწილეობა, ქ.თბილისის ნაკრები გუნდის მონაწილეობა დ. სტეფანწმინდაში მთასვლელ ვახტანგ ქირიკაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ მემორიალში, ქ.თბილისის თასის ღია გათამაშება მშვილდოსნობაში, ქ.თბილისში საერთაშორისო ტურნირი საპლიაჟო ფრენბურთში "თბილისის თასი", ქ.ბათუმში ტანვარჯიშში სპორტულ-გამაჯანსაღებელი შეკრება; კალათბურთში 3X3-ზე მსოფლიო ტურნირის საკვალიფიკაციო ტურში მონაწილეობა, ჩოგბურთელისა და მისი მწვრთნელის ქ.თელავში საერთაშორისო ტურნირზე მონაწილეობა, ქ.თბილისში 15 წლამდე მორაგბეთა შორის საერთაშორისო ტურნირი, თბილისის ნაკრები გუნდის მონაწილეობა აჭარის მე-20 საერთაშორისო ტურნირზე მშვილდოსნობაში, ჭადრაკში თბილისის თასის გათამაშება ყველა ასაკობრივ ჯგუფში ჭაბუკთა და გოგონათა შორის, თბილისის ნაკრები გუნდის მონაწილეობა ევროპის ჩემპიონატში 8-18 წლამდე ასაკის ჭაბუკთა და გოგონათა შორის ჭადრაკში, თბილისის ღია პირველობა ცურვაში, თბილისის მოფარიკავეთა ნაკრები გუნდის მონაწილეობა ფარიკაობაში საქართველოს თასის გათამაშებაში, თბილისის თასის გათამაშება სპორტულ აკრობატიკაში, ქ.თბილისის ორგანიზაციების თანამშრომელთა სპარტაკიადა.ქ. რიგაში I ბალტიის ღია ჩემპიონატზე უშუში თბილისის ნაკრები გუნდის წევრების (3 კაცის) მონაწილეობა. თბილისის პირველობა სამბოში 1998-1999წწ. და 2000-2001წწ. დაბადებულ ჭაბუკებს შორის, მონაწილეობა საქართველოს პირველობაზე სამბოში 1998-1999წწ. დაბადებულ ჭაბუკთა შორის, მონაწილეობა საქართველოს პირველობაზე აკადემიურ ნიჩბოსნობაში და კანოე-კაიკში, ქ.თბილისში არსებული სამედიცინო დაწესებულებების თანამშრომელთა II სპორტული

ფესტივალი, თბილისის თასის ღია გათამაშება ტყვიით სროლაში, 25–26 ოქტომბერს "თბილისობა–2014"-ის ფარგლებში, რიყის ტერიტორიაზე და ევროპის მოედანზე, მასობრივ–სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების მოწყობა, თბილისის ღია პირველობა 1998–1999წწ. დაბადებულ კადეტთა შორის ბ/რ და თავისუფალი სტილით ჭიდაობაში, თბილისის ღია პირველობა ჯაბუკებსა და გოგონებს შორის ცურვაში, თბილისის ღია ჩემპიონატი ჯადრაკში (სახლწლო ტურნირი ბლიცში), იაპონიის ქალაქ ნარიტაში მსოფლიო ჩემპიონატზე სამბოში თბილისელი სპორტსმენის ნინო ოძელაშვილის მივლინება, თბილისის საშემოდგომო პირველობა სასტენდო სროლაში, თბილისის ჩემპიონატი სასტენდო სროლაში, თბილისის ზამთრის ჩემპიონატი მშვილდოსნობაში, ბაქოში ქალაქ მინგეჩაურში, საერთაშორისო რეგატაზე კანოეში საქართველოს ნაკრები გუნდის წევრების ტრანსპორტირება, ქ.თბილისის ფრენბურთის ვაჟთა და ქალთა ნაკრები გუნდების საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატზე მონაწილეობისათვის სალიცენზიო გადასახადის დაფარვა, ქ.თბილისის თასის გათამაშება სპორტულ ტანვარჯიშში, წყნეთში არსებულ "კოპალას" ბოულინგ ცენტრში ქ.თბილისის მერიის საკრებულოსა და რაიონულ მუნიციპალიტეტების თანამშრომელთა ბოულინგის ღია პირველობა, ქ.სავონაში "ევრო თასის" გათამაშებაზე საქართველოს წყალბურთელთა გუნდის მონაწილეობა, კვიპროსის ქ.ლიმასოლში მსოფლიო ჩემპიონატზე სამბოში, საქართველოს ნაკრების წევრის გოგა ქეცხიშვილის მონაწილეობა, ს.კვარიათში სწრაფ ცოცვაში საქართველოს თასის გათამაშების დასკვნით ეტაპზე ქ.თბილისის ნაკრები გუნდების მონაწილეობა, ქ.ბათუმში საქართველოს თასის გათამაშებაზე მაგიდის ჩოგბურთში თბილისის ნაკრები გუნდის მონაწილეობა, წყალბურთის კლუბი "თბილისი"-ს ფლორიდას შტატის ქალაქ მაიამიში მე-13 სამხრეთ ფლორიდის საერთაშორისო ტურნირზე საქართველოს ეროვნული ნაკრების მონაწილეობა, ქ.დუშეთში სასწავლო საწვრთნო შეკრება ბერძნულ–რომაული და თავისუფალი სტილით ჭიდაობაში, ქ.წყალტუბოში საქართველოს თასის გათამაშების და სამგზის ოლიმპიური ჩემპიონის კახი კახიშვილის სახელობის ტურნირი, ქ.თბილისი პირველობა ქართულ ჭიდაობაში, ქ.სტამბულში საერთაშორისო ტურნირი. "International Karate

Marmara Cup", დაბა ბაკურიანში ძიუდოს ნაკრების გუნდის წევრების სასწავლო საწვრთნელო შეკრება, სპორტული ფედერაციების მიერ საახალწლო ღონისძიებების მოწყობა.

ახალგაზრდული ღონისძიებების ფარგლებში დაფინანსდა ა(ა)იპ „საქართველოს ევროპულ ფასეულობათა ინსტიტუტის პროექტი „15 წლიანი წევრობა ევროსაბჭოში და ქვეყნის შემდგომი ევროპული პერსპექტივები ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის კონტექსტში“; ა(ა)იპ "საქართველოს ახალგაზრდობის საინფორმაციო ცენტრი" - პროექტის "აქტიური და კვალიფიციური ახალგაზრდობა ადგილობრივი დემოკრატიისთვის" მეორე ეტაპის ხარჯები, ახალგაზრდობისთვის ტრენინგ - სემინარების, კონფერენციების, კონკურსების, მასტერკლასების, პროექტებისა და საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზების ხარჯები, საუნივერსიტეტო ჩემპიონატი დებატების ტექნიკაში და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ორგანიზირებული სტუდენტური საახალწლო და ახალგაზრდული ღონისძიებები. აგრეთვე, გაწეულია ახალგაზრდული ღონისძიებების განხორციელების მიზნით ტრანსპორტის მომსახურების ხარჯები და სხვა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: საქართველოს, თბილისის და მერიის თასის გათამაშება - 105; საქართველოს და თბილისის ღია პირველობა, ჩემპიონატი, ტურნირი - 21; სასწავლო-საწვრთნო შეკრება - 16; საერთაშორისო ტურნირი - 36; ევროპის ჩემპიონატში მონაწილეობა - 6; მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობა - 4; სპორტული ფესტივალი - 4; თბილისობის და ახალი წლის დღესასწაულზე 30 სხვადასხვა სპორტული ღონისძიება.

8.6.2 მწვრთნელთა მხარდაჭერა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური

2014 წლის გეგმა 2,983.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 2,981.1 ათასი ლარით. რაც გეგმის 99.9%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: მატერიალურად წახალისებული და მოტივირებული ბავშვთა ჯგუფებთან მომუშავე მწვრთნელ-მასწავლებლები; ნიჭიერ სპორტსმენთა გამოვლენა და მსოფლიო დონის სპორტსმენთა აღზრდა, რაც საერთაშორისო მაშტაბით სახელს გაუთქვამს საქართველოს.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ფინანსური მხარდაჭერა გაეწია სპორტულ დაწესებულებებში მომუშავე სპორტის სხვადასხვა სახეობის 420 მწვრთნელ - მასწავლებელს.

8.6.4 სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და მშენებლობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური

2014 წლის გეგმა 2,344.2 ათასი ლარი, დაფინანსდა 2,139.2 ათასი ლარით. რაც გეგმის 91.3%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: გაუმჯობესებული სპორტული ინფრასტრუქტურა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია გ.ეგნატაშვილის სახელობის ტანვარჯიშის სახეობათა ოლიმპიური მზადების სპორტული ცენტრის სამ სართულზე განთავსებული ადმინისტრაციული ნაწილის, სასადილოს, მოსაცდელების, შესასვლელის, გასახდელებისა და საშხაპეების სარემონტო სამუშაოები, სატრენაჟორო სპორტული დარბაზის მოწყობისა და საჭირო ტექნიკითა და ინვენტარით აღჭურვის სამუშაოები; განხორციელდა ვ.კაჭარავას სახელობის ფრენბურთის ოლიმპიური მზადების სპორტული ცენტრის სველი წერტილების რეაბილიტაცია, გასახდელებისა და კაბინეტების კარების გამოცვლა, საპლიაჟო მოედანზე ქვიშის გამოცვლა და ღამის განათების დამონტაჟება; „თბილისის პარასპორტის განვითარების ცენტრი“ დაფინანსდა სპორტული კომპლექსის ადაპტირებული ინვენტარით, განათებით, უსაფრთხოების სისტემებით, კომუნიკაციებით (გაზი, დენი) ავტომატქანებითა და

კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვის მიზნით. ასევე, კაპიტალური რემონტი ჩაუტარდა ქ.თბილისის მერიის მ. გეგელიას სახელობის ტანვარჯიშის სახეობათა აკრობატიკის სპორტული ცენტრი"-ს სპორტულ დარბაზს; დაფინანსდა ა(ა)იპ "საცურაო აუზი-გლდანის" კომუნალური ხარჯებისა და ხელფასების დასაფარად, ასევე, ქიმიური და სადეზინფექციო ხსნარების შესაძენად და ცენტრისთვის მიმდინარე რემონტის ჩასატარებლად; დაფინანსდა ქ.თბილისის მერიის ფეხბურთის სპორტული ცენტრი "იმედი", საფეხბურთო მოედნისა და საცურაო აუზის სარემონტო სამუშაოებისთვის.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: გაიზარდა საერთაშორისო სტანდარტების და თანამედროვე ინვენტარით აღჭურვილი სპორტული ობიექტებისა და სპორტული ობიექტით მოსარგებლე პირთა რაოდენობა.

8.6.5 წარმატებული სპორტსმენი ბავშვების წახალისება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური

2014 წლის გეგმა 354.6 ათასი ლარი, დაფინანსდა 353.5 ათასი ლარით. რაც გეგმის 99.7%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: წახალისებული ახალგაზრდა, პერსპექტიული სპორტსმენები; სპორტულ ცხოვრებაში აქტიურად ჩაბმული ბავშვები და მოზარდები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სპორტის სხვადასხვა სახეობის 18 წლამდე ასაკის 238 წარმატებული სპორტსმენი ბავშვი.

8.6.6 პარასპორტის განვითარების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური

2014 წლის გეგმა 700.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 700.0 ათასი ლარით, რაც გეგმის 100%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: არანაკლებ 3 სპორტულ სახეობაში საწვრთნელ - სარეაბილიტაციო პროცესი; სხვადასხვა პარასპორტულ საერთაშორისო - სარეიტინგო შეჯიბრებებში ქართველი პარასპორტსმენების მონაწილეობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა თბილისის პარასპორტის განვითარების ცენტრის საწვრთნელ-სარეაბილიტაციო პროცესის ორგანიზების, სპორტული გუნდების საერთაშორისო სარეიტინგო შეჯიბრებებში მონაწილეობის ხარჯები. ამასთან, გაწეულია პარასპორტის განვითარების ცენტრისათვის მსოფლიო თასის სარეიტინგო ეტაპზე ეტლით ფარიკაობაში მონაწილეობისათვის კანადის საელჩოს სერვის ცენტრში განაცხადის შევსებისა და მოსაკრებლის გადასახდელად, ასევე პარაფარიკაობის, პარამშვილდოსნობის და პარატენისის ფუნქციონირების ხარჯები და საფრანგეთის ქალაქ სტრასბურგში ევროპის ჩემპიონატში ეტლით ფარიკაობაში, პარაფარიკაობის რვაწევრიანი გუნდის მონაწილეობისათვის წინასწარი 50% შესატანის გადახდის ხარჯები. ასევე, გაწეულია ცენტრის მიმდინარე ხარჯები, სასწავლო – საწვრთნელი შეკრებებისა და საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობის ხარჯები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: რესოციალიზაციის პროცესში ჩაერთო 20 პარასპორტსმენი.

8.6.7 კალათბურთის ხელშეწყობის ღონისძიებები

განმახორციელებელი ორგანიზაცია: განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური

2014 წლის გეგმა 349.4 ათასი ლარი, დაფინანსდა 348.1 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.6%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: კალათბურთელთა მომზადების ღონისძიებების ამაღლება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა ქ.თბილისში, ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი (მერიის თასი);

კალათბურთის "სამოყვარულო ლიგა", კალათბურთის სამოყვარულო ლიგის რეგულარული ჩემპიონატის მეორე სეზონის ჩასატარებლად; საკალათბურთო კლუბი "სოხუმი" კლუბის ფუნქციონირებისათვის; საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაცია საკალათბურთო ღონისძიებებისა და ტურნირების, თბილისის ჩემპიონატების 13,14,16 და 18 წლამდელობა შორის ჩასატარებლად.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: გაიზარდა საკალათბურთო ღონისძიებებში და ტურნირებში მონაწილე სპორტსმენთა რაოდენობა.

8.6.8 ბ. პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონის განვითარება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: სსიპ ტექნოლოგიური განვითარების ფონდი

2014 წლის გეგმა 4,000.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: სტადიონზე მისული ქართველი და უცხოელი გულშემატკივარის უსაფრთხოება; მაქსიმალურად კომფორტული გარემო.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ბორის პაიჭაძის სახელობის დინამო არენას 2015 წლის 11 აგვისტოს უფასო ეგიდით გასამართი სუპერ თასის მატჩისთვის მოსამზადებელი სამუშაოების შესყიდვის მიზნით გაფორმებულ იქნა ხელშეკრულებები, მათ შორის: ტურნიკეტების შეძენა და მონტაჟი, ტაბლოს შეძენა და მონტაჟი, სტადიონის გამაგრებითი სამუშაოების პროექტირება და შესრულება.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: საქონლისა და მომსახურების შესყიდვის მიზნით დაგეგმილი ყველა ხელშეკრულების გაფორმებულია; გაფორმებული ხელშეკრულებები შესაბამისობაშია 2015 წელს გასამართი სუპერ თასის მატჩთან დაკავშირებულ მოთხოვნებთან.

8.7 „თბილისი – 2015“ ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის მოსამზადებელი ღონისძიებები

განმახორციელებელი ორგანიზაცია: განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური; კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური

2014 წლის გეგმა 22,975.4 ათასი ლარი, დაფინანსდა 22,821.5 ათასი ლარით. რაც გეგმის 99.3%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის მაღალ დონეზე ორგანიზება.



საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: პროგრამის ფარგლებში გრძელდება „თბილისი – 2015“ ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის საორგანიზაციო და მოსამზადებელი სამუშაოების დაფინანსება. ამასთან, საანგარიშო პერიოდში ოლიმპიური ფესტივალის სპორტული ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფის მიზნით, ფინანსური დახმარება გაეწია საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციას: მძლეოსნობაში გასამართი შეჯიბრებების მასპინძლობისათვის, „დინამო-არენა“-ს სტადიონზე სარბენი ბილიკების სრული რეაბილიტაციის განსახორციელებლად, ახალი თბილისის ტერიტორიაზე „ჭალებში“ მძლეოსნობის არენის მშენებლობისთვის, საქართველოს ფრენბურთის ფედერაციას - ახალი თბილისის ტერიტორიაზე ფრენბურთის დარბაზის მშენებლობისთვის.

პროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ "ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტი" აგრძელებს საორგანიზაციო და ოლიმპიადის პოპულარიზაცია/რეკლამირებას და ოლიმპიადის სპორტული ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფის მიზნით სამშენებლო, საპროექტო, სარეკონსტრუქციო/ სარემონტო და აღჭურვის საქმიანობას, მათ შორის: მზიურის ტერიტორიაზე, რამიშვილის ქუჩაზე ფრენბურთის კორტების, ახალი თბილისის ტერიტორიაზე "დიდმის ჭალებში" ტანვარჯიშის დარბაზის და სასტუმრო "მოხალისე"-ს მშენებლობისა. ასევე, წერეთელის ქ.N105ა-ში მდებარე ა(ა)იპ „თბილისის მერიის მ.კეკელიძის სახელობის ოლიმპიური მზადების კალათბურთის სპორტული ცენტრის“, ვერის-პარკის ტერიტორიაზე ა(ა)იპ „მ.კეკელიძის სახელობის ბავშვთა და მოზარდთა კალათბურთის სასახლის“ და

ბელაშვილის ქ. N5-ში მდებარე ა(ა)იპ „თბილისის მერიის ოლიმპიური მზადების კომპლექსური სპორტული ცენტრის“ სარეაბილიტაციო სამუშაოებს. პროგრამის ფარგლებში დაფინანსებულია თბილისის ზღვის ტერიტორიაზე ოლიმპიური სოფლის საკანალიზაციო სისტემით უზრუნველყოფის და ოლიმპიური სოფლის წყალსადენის გარე ქსელის მოწყობის სამუშაოები.

მირჩეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: მოწესრიგებული ოლიმპიური ინფრასტრუქტურა.

❖ საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება




9.1 საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: სსიპ საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვის სააგენტო

2014 წელს ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 22,643.3 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ - 22,587.1 ათასი ლარი, გეგმიური მაჩვენებლის 99.8% და 2013 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 962.4 ათასი ლარით მეტი. გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 97%, „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლის – 2.8%.

(ათასი ლარი)




დასახული შუალედური შედეგები: მოქალაქეთა უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში სააგენტოს მიერ თანხები დახარჯულ იქნა შემდეგ ღონისძიებებზე, მათ შორის: მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება, შტატგარეშე მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება, მივლინება ქვეყნის გარეთ, საწვავის ხარჯები, ტრანსპორტის ექსპლუატაცია-შეკეთების ხარჯები, მაწანწალა-უზედამხედველო ცხოველების (ძაღლი, კატა) ჰუმანური დაჭერა-იზოლაციის და ვეტერინარული ზედამხედველობის მომსახურების ხარჯები, კომუნალური ხარჯები, დასუფთავების გადასახადი, მეხანძრე-მაშველთათვის სპეც.ტანსაცმლის და ფეხსაცმლის შეძენა, ავტოტრანსპორტის დაზღვევის ხარჯები, მეხანძრე-მაშველთა ჯანმრთელობის

დაზღვევა, საკანცელარიო საქონელის ხარჯები, პოლიგრაფიული მომსახურების ხარჯები, სამეურნეო საქონელის შეძენა, აუდიტის მომსახურების ხარჯები, დეზინფექცია-დერატიზაციის ხარჯები, ექსპერტიზის მომსახურების ხარჯები, საჯარო რეესტრში შენობების დარეგისტრირების და სატენდერო განცხადებების გამოქვეყნების საფასური, პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯები, სახანძრო-სამაშველო აღჭურვილობის შეძენა, 3 ერთეული დასაკიდი ძრავის შეძენა, დავით აღმაშენებლის გამზირის #89/24-ში მდებარე შენობის კაპიტალური შეკეთების ხარჯები, ცინცადის #6-ში რამდენიმე ოთახის რემონტის ხარჯები, 10 ერთეული ელ.დენის გენერატორის შეძენა, გათბობის სისტემის შეკეთების ხარჯები, საოფისე ტექნიკის ხარჯები, კომპიუტერული ტექნიკის ხარჯები, 2 ერთეული მაღლი გამავლობის ავტომანქანის შეძენა და სხვა. გარდა საბიუჯეტო შემოსავლებისა სააგენტოს აქვს არასაბიუჯეტო შემოსავალიც. 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შემოსავლების ნაშთი შეადგენდა 18,9 ათას ლარს, 2014 წლის 12 თვის შემოსავალმა შეადგინა 84,2 ათასი ლარი; გახარჯულია 103,1 ათასი ლარი.

❖ ქ.თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები



10.1 ქ.თბილისის საკრებულოსათვის საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტით გამოყოფილმა ასიგნებებმა შეადგინა 14,174.5 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ 13,351.4 ათასი ლარი, რაც გეგმის 94.2%-ია, მათ შორის:

თანამდებობრივი სარგო – 3,988.6 ათასი ლარი, პრემია – 4,213.4 ათასი ლარი, დანამატი - 36.4 ათასი ლარი, საქონელი და მომსახურება – 4,744.1 ათასი ლარი, სოციალური უზრუნველყოფა – 30.6 ათასი ლარი, სხვა ხარჯები – 107.4 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივები – 230.8 ათასი ლარი, ვალდებულებები – 0.1 ათასი ლარი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაცია, საქალაქო სამსახურები და რაიონული გამგეობებისათვის საანგარიშო პერიოდში გამოყოფილმა ასიგნებებმა შეადგინა 56,264.8 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ - 52,691,9 ათასი ლარი, რაც გეგმის 93.6%-ია. მათ შორის: თანამდებობრივი სარგო - 25,131.0 ათასი ლარი, პრემია - 11,620.5 ათასი ლარი, დანამატი - 3,207.6 ათასი ლარი, საქონელი და მომსახურება – 10,757.3 ათასი ლარი, სოციალური უზრუნველყოფა - 470,5 ათასი ლარი, სხვა ხარჯები – 144.7 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივები - 1,338.4 ათასი ლარი, ვალდებულებები - 21.9 ათასი ლარი. ამასთან, წარმოდგენილია საანგარიშო პერიოდის ხარჯები ცალკეული სამსახურებისა და რაიონული გამგეობების მიხედვით, მათ შორის:

მერიის ადმინისტრაცია (10.2) დაფინანსებულია 22,921.6 ათასი ლარით; საფინანსო საქალაქო სამსახური (10.3) – 898.5 ათასი ლარით, ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახური (10.4) – 566.9 ათასი ლარით, სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახური (10.5) – 1,065.1 ათასი ლარით, მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური (10.6) – 540.9 ათასი ლარით, ზედამხედველობის საქალაქო სამსახური (10.7) – 2,221.5 ათასი ლარით, ტრანსპორტის საქალაქო სამსახური (10.8) – 847,5 ათასი ლარით, შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახური (10.9) – 475.8 ათასი ლარით, კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური (10.10) – 1,330.3 ათასი ლარით, ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახური (10.11) – 625.3 ათასი ლარით. იურიდიული საქალაქო სამსახური (10.12) – 822.2 ათასი ლარით, უსაფრთხოების საქალაქო სამსახური (10.13) – 5,048.2 ათასი ლარით, ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური - 119.4 ათასი ლარი, კულტურის საქალაქო სამსახური - 55.7 ათასი ლარი, განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური - 68.1 ათასი ლარი.

10.27 გლდანის რაიონის გამგეობა – 1,529.5 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 1,600.5 ათასი ლარის 95.6%-ი). საანგარიშო პერიოდში ხარჯები

მიმართულია: შრომის ანაზღაურებაზე, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე, ოფისის ხარჯებზე (მათ შორის: კომუნალური ხარჯები, შენობა-ნაგებობის და მათი მიმდებარე ტერიტორიების მოვლა-დასუფთავების, კავშირგაბმულობისა და საფოსტო მომსახურების ხარჯები), ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის და მოვლა - შენახვის ხარჯებზე (ავტომანქანების რეცხვა და ვულკანიზაციის მომსახურება), სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურებაზე (ექსპერტიზა, ნოტარიუსი, აუდიტი, სარქივო მასალების შენახვა, ინფორმაციული პროგრამების მომსახურება), დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალურ დახმარებაზე, არაფინანსურ აქტივებზე და სხვა ხარჯებზე.

10.28 ნაძალადევის რაიონის გამგეობა – 2,403.7 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 2,465.1 ათასი ლარის 97.5%-ი). საანგარიშო პერიოდში ხარჯები მიმართულია: შრომის ანაზღაურებაზე, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე, ოფისის ხარჯებზე (მათ შორის: კომუნალური ხარჯები, კავშირგაბმულობის ხარჯები, მცირეფასიანი ინვენტარის შეძენა, საფოსტო-საკურიერო მომსახურება, ნორმატიული აქტების, საცნობარო და სპეციალური ლიტერატურის სასტამბო-საგამომცემლო და ბეჭდვით მომსახურება, სანიტარული საგნებისა და საჭირო მასალების შეძენა, გამგეობის და მუნიციპალიტეტების მოვლა-შენახვა და სხვა), ტრანსპორტისა და ტექნიკის მოვლა-შენახვაზე (ავტომანქანების რეცხვა, ტრანსპორტის დაქირავების (გადაზიდვა-გადაყვანის), სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურებაზე (საარქივო მომსახურება, ტენდერების გამოცხადების მომსახურება, კურიერის მიმოსვლის ხარჯი), დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალურ დახმარებაზე და არაფინანსურ აქტივებზე (ახალი ადმინისტრაციული შენობის მშენებლობის სამუშაოები, ელექტრომექანიკური შლაგბაუმის შეძენა-მონტაჟი, შეძენილია საოფისე ავეჯი, ციფრული ფოტოაპარატი, 3 ცალი ტელევიზორი). ამასთან, დაფარულია 2013 წლის კრედიტორული დავალიანება 0.5 ათასი ლარის ოდენობით.

10.29 დიდუბის რაიონის გამგეობა – 1,171.3 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 1,184.4 ათასი ლარის 98.9%-ი). საანგარიშო პერიოდში ხარჯები მიმართულია: შრომის ანაზღაურებაზე, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე,

ოფისის ხარჯებზე (მათ შორის: კომუნალური ხარჯები, კავშირგაბმულობის ხარჯები, საკანცელარიო საქონლის შეძენის ხარჯები, კომპიუტერების აქსესუარების და კატრიჯების შეძენის ხარჯები, ადმინისტრაციული შენობის დაგვა დასუფთავების ხარჯები, საკურიერო მომსახურების, სხვადასხვა მცირეფასიანი ინვენტარის შეძენის ხარჯები და სხვა) რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის ხარჯებზე (ქ.თბილისის გამგეობებს შორის ჩატარებული სპორტული შეჯიბრებისთვის შეძენილი იქნა სხვადასხვა სპორტული ფორმები), ტრანსპორტისა და ტექნიკის მოვლა-შენახვის ხარჯებზე (ავტომანქანების რეცხვა), სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურებაზე (საარქივო მომსახურება, ტენდერების გამოცხადების მომსახურება, განახლებადი საკანონმდებლო ბაზის უზრუნველყოფა, „საკანონმდებლო მაცნეს“ მომსახურება), დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალურ დახმარებაზე, არაფინანსურ აქტივებზე (შეძენილია პლანშეტური კომპიუტერი). ამასთან, დაფარულია 2013 წლის კრედიტორული დავალიანება 0.2 ათასი ლარის ოდენობით.

10.30 ჩუღურეთის რაიონის გამგეობა – 1,123.0 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 1,158.4 ათასი ლარის 96.9%-ი). საანგარიშო პერიოდში ხარჯები მიმართულია: შრომის ანაზღაურებაზე, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე, ოფისის ხარჯებზე (მათ შორის: კომუნალურ ხარჯები, კავშირგაბმულობის ხარჯები, საფოსტო მომსახურების ხარჯები, ადმინისტრაციული შენობების დაგვა - დასუფთავება, კომუნიკაციების და ტექნიკის შეკეთება, სპეციალური ბლანკების, მოწმობების და სავიზიტო ბარათების დამზადება, კომპიუტერული აქსესუარების და საკანცელარიო საქონელის შეძენა, კატრიჯების დატენვა), ტრანსპორტისა და ტექნიკის მოვლა - შენახვის ხარჯებზე (ავტომანქანების რეცხვა), სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურებაზე (საარქივო მომსახურება, ტენდერების გამოცხადების მომსახურება, განახლებადი საკანონმდებლო ბაზის უზრუნველყოფა), დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალურ დახმარებაზე, არაფინანსურ აქტივებზე (ბალანსზე არსებული ინვენტარის კაპიტალური შეკეთება, ბმა-ს გაყოფილებისათვის სპეციალური კომპიუტერული პროგრამის შეძენა).

10.31 ვაკის რაიონის გამგეობა – 1,469.8 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 1,497.5 ათასი ლარის 98.2%-ი). საანგარიშო პერიოდში ხარჯები მიმართულია: შრომის ანაზღაურებაზე, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე, ოფისის ხარჯებზე (მათ შორის: კომუნალურ ხარჯები, კავშირგაბმულობის ხარჯები, საკანცელარიო საქონლის შეძენა, საფოსტო მომსახურება, პრინტერების შეკეთება, სასმელი წყლის აპარატის მომსახურება, მცირეფასიანი ინვენტარის შეძენა, საინფორმაციო მომსახურებაზე, კომპიუტერული ტექნიკის ტექნიკური მომსახურებზე), ტრანსპორტისა და ტექნიკის მოვლა-შენახვის ხარჯებზე (ავტომანქანების რეცხვა), სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების ხარჯებზე (კოდექსის განახლება, არქივის მომსახურება, საპრეზენტაციო მასალების ბეჭდვა, რუკების შესყიდვა, აუდიტის მომსახურება), დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარების ხარჯებზე (ბიულეტენის ანაზღაურება), არაფინანსურ აქტივებზე.

10.32 საბურთალოს რაიონის გამგეობა – 1,351.2 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 1,328.2 ათასი ლარის 98.3%-ი). საანგარიშო პერიოდში ხარჯები მიმართულია შრომის ანაზღაურებაზე, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე, ოფისის ხარჯებზე (მათ შორის: კომუნალურ ხარჯები, კავშირგაბმულობის ხარჯები, საკანცელარიო საქონლის შეძენა, საფოსტო მომსახურება, 2013 წლის ანგარიშის დაკაბადონება - ბეჭდვა, საკანცელარიო საქონლის შეძენა, კომპიუტერული ტექნიკის მომსახურება, მცირეფასიანი ავეჯის და ტექნიკის შეძენა), წარმომადგენლობით ხარჯებზე (არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის და მედიისთვის 2013 წლის ანგარიშის წარდგენისათვის დარბაზით მომსახურებისა და ვიდეო მომსახურების შესყიდვა), ტრანსპორტისა და ტექნიკის მოვლა-შენახვის ხარჯებზე (ავტომანქანების რეცხვა), სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების ხარჯებზე (კოდექსის განახლება, სატენდერო დოკუმენტების გამოქვეყნება), დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალურ დახმარებაზე (თანამშრომელთა საავადმყოფო ფურცელზე და დეკრეტულ შვებულებაში ყოფნის პერიოდის ანაზღაურება), სხვადასხვა კაპიტალურ ხარჯებზე (სმენადაქვეითებულ ბავშვთა სკოლისათვის გადასაცემი ვიდეო კამერის და

მეხსიერების ბარათის შეძენა), არაფინანსურ აქტივებზე (პროცესორების და გასაშლელი სავარძლის შეძენა). ამასთან, დაფარულია 2013 წლის კრედიტორული დავალიანება 1.1 ათასი ლარის ოდენობით.

10.33 ისნის რაიონის გამგეობა – 1,389.7 ათასი ლარი (გეგმიური მაჩვენებლის 1,398.0 ათასი ლარის 99.4%-ი). საანგარიშო პერიოდში ხარჯები მიმართულია შრომის ანაზღაურებაზე, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე, ოფისის ხარჯებზე (მათ შორის: კომუნალურ ხარჯები, კავშირგაბმულობის ხარჯები, საკანცელარიო საქონლის შეძენა, საფოსტო მომსახურება), რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენაზე, ტრანსპორტისა და ტექნიკის მოვლა-შენახვის ხარჯებზე (ავტომანქანების რეცხვა), სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე (სატენდერო განცხადებების გამოქვეყნება, მუნიციპალიტეტის დაცვის მომსახურება, საინფორმაციო მომსახურება, საარქივო მასალების შენახვა), დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალურ დახმარებაზე, არაფინანსურ აქტივებზე (ტელევიზორების და კონდიციონერების შეძენა). ამასთან, დაფარულია 2013 წლის კრედიტორული დავალიანება 0.7 ათასი ლარის ოდენობით.

10.34 სამგორის რაიონის გამგეობა – 1,876.3 ათასი ლარი (გეგმიური მაჩვენებლის 2,095.7 ათასი ლარის 89.5%-ი). საანგარიშო პერიოდში ხარჯები მიმართულია შრომის ანაზღაურებაზე, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე, ოფისის ხარჯებზე (მათ შორის: კომუნალურ ხარჯები, კავშირგაბმულობის ხარჯები, საფოსტო მომსახურების ხარჯები, კომპიუტერული აქსესუარების და საკანცელარიო საქონელის შეძენა, კარტრიჯების დატენვა და სხვა), სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე მომსახურებაზე (სატენდერო განცხადებების და დოკუმენტაციის გამოქვეყნება, ბმა განყოფილების პროგრამის მომსახურება, მუნიპალიტეტების შენობების დაცვა, საარქივო მასალების შენახვა და სხვა), სხვადასხვა მიმდინარე ხარჯებზე, დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალურ დახმარებაზე, არაფინანსურ აქტივებზე სხვადასხვა სახის ინვენტარის შესაძენად. ამასთან, დაფარულია 2013 წლის კრედიტორული დავალიანება 1.3 ათასი ლარის ოდენობით.


10.35 კრწანისის რაიონის გამგეობა – 1,129.0 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 1,230.9 ათასი ლარის 91.7%-ი). საანგარიშო პერიოდში ხარჯები მიმართულია: შრომის ანაზღაურებაზე, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე, ოფისის ხარჯებზე (მათ შორის: კომუნალური ხარჯები, კავშირგაბმულობის ხარჯები, საფოსტო ხარჯები, სხვადასხვა მცირეფასიანი ინვენტარის შეძენა, სასმელი წყლის აპარატით მომსახურება, პრინტერის შეკეთება, ტიტულოვანი და სპეციალური ბლანკების დამზადება, ადმინისტრაციული შენობის დასუფთავება), ტრანსპორტისა და ტექნიკის მოვლა-შენახვის ხარჯებზე (ავტომანქანების რეცხვა), სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურებაზე (მათ შორის: გამგეობის ადმინისტრაციული შენობის იჯარა, ფონიჭალის მუნიციპალიტეტის შენობის იჯარა, მუნიციპალიტეტის შენობის დაცვა, სატენდერო განცხადებების გამოქვეყნება, დოკუმენტაციის აკინძვა, საარქივო მომსახურება), დამქირავებლის მიერ გაწეულ სოციალურ დახმარებაზე (თანამშრომელთა საავადმყოფო ფურცელზე ყოფნის პერიოდის ანაზღაურება), არაფინანსურ აქტივებზე (შეძენილია 2ც პერსონალური კომპიუტერი და 2ც კონდიციონერი). ამასთან, დაფარულია 2013 წლის კრედიტორული დავალიანება 3.7 ათასი ლარის ოდენობით.

10.36 მთაწმინდის რაიონის გამგეობა – 1,664.4 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 1,694.4 ათასი ლარის 98.2%-ი). საანგარიშო პერიოდში ხარჯები მიმართულია: შრომის ანაზღაურებაზე, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე, ოფისის ხარჯებზე (მათ შორის: კომუნალური ხარჯები, კავშირგაბმულობის ხარჯები, საფოსტო მომსახურება, ოთახების დაგვა-დასუფთავება, საკანცელარიო საქონელის შეძენა, კომპიუტერების პერიფერიული მოწყობილობების შეკეთება და კარტრიჯების შეძენა, გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში სხვადასხვა დაზიანებების შეკეთება, კომპიუტერული აქსესუარების შეძენა, მოსაწვევი ბარათების და სხვა ნაბეჭდი მასალის შეძენა და სხვა), ტრანსპორტისა და ტექნიკის მოვლა-შენახვის ხარჯებზე, სხვა დანარჩენ საქონელზე და მომსახურებაზე, სხვადასხვა მიმდინარე ხარჯებზე (სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების ხარჯები), დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალურ დახმარებაზე, არაფინანსურ

აქტივებზე (შეძენილია სტანდარტული პორტაბელური/სატარებელი კომპიუტერი, ფოტოაპარატი, ტელევიზორი, მობილური ტელეფონის აპარატები). ამასთან, დაფარულია 2013 წლის კრედიტორული დავალიანება 7.2 ათასი ლარის ოდენობით.

10.20 სსიპ - თბილისის არქიტექტურის სამსახურისათვის 2014 წლის ბიუჯეტით გამოყოფილმა ასიგნებებმა შეადგინა 2,680.7 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ 2,660.4 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 99.2% და 2013 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 151.9 ათასი ლარით მეტი. სამსახურისათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 96.4%, „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლის – 2.8%.

ათასი ლარი)



